ამირან გოდერძიშვილი

იეთიმ-გურჯი
იოსეგ სტალინის
მეგობარი

(საუკუნის საიდუმლო)

თბილისი
2009

ბუძღვნი მამის გიორგი გოდერძიშვილის
ნათელ ხსოვნას

რეალაქტორი და დამფინანსებელი
ბიორგი გოდერძიშვილი

მხატვარი
როზა მელანაშვილი

ყდის დიზაინერი
ბიორგი წოწკოლაური

სურვილებისა და შენიშვნებისათვის გთხოვთ
დამიკავშირდეთ ტელ: 79-87-10; 893 22-55-40

წინასიტყვაობის მაგიერ

იეთიმ-გურჯის ცხოვრება და შემოქმედება შეძლებისდაგვარად განხილულია სრულიად ახალი, განსხვავებული ხედვით, შესწავლილია და მზის სინათლეზეა გამოტანილი მისი პოეზიის ერთადერთი მთავარი გმირის, დღემდე მის პოეზიაში ტაბუდადებული პიროვნების იოსებ სტალინის სახე.

ახლა, როდესაც ორივე დიდი პიროვნება, იოსებ სტალინი და იეთიმ-გურჯი ცხოვრების ასპარეზიდან ფიზიკურად გავიდა, ახლა, როდესაც იეთიმ-გურჯს თავისი დიდი საიდუმლოს სახალხოდ გამომზეურებისათვის აღარ დაატყდება თავს სტალინის რისხვა, აუცილებელია ქართველმა ხალხმა იცოდეს იეთიმ-გურჯის შემოქმედების რეალური იდეა და რეალური დანიშნულება.

„ვის გავანდო საიდუმლო გულისა
გამოიცნოს ჩემი ჩანგის ჟღერანი“

ანდა: „დღემდინ ვერვინ გამოიცნო
მე რა ნოტზედ, რასა ვმღერი“ —

წერდა ორპირი მეგობრისაგან შერისხული და მიტოვებული პოეტი.

დღეს უკვე შესაძლებელია ამ დიდ საიდუმლოს აეხადოს ფარდა და ლიტერატურათმცოდნეობაში იეთიმ-გურჯის შემოქმედებას მიეცეს სწორი, კვალიფიციური ახსნა.

მკითხველს ვთავაზობთ იეთიმ-გურჯის შემოქმედების რეალურ ახსნას და განხილვას, აგრეთვე მის მხოლოდ რევოლუციურ და იოსებ სტალინის მისამართით პირდაპირ და გადატანითი მნიშვნელობით დაწერილ ლექსებს. წიგნში შეტანილია იეთიმ-გურჯის ამავე თემაზე შექმნილი 23 ლექსი, რომელიც მიკვლეულია გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში და გასაგები მიზეზების გამო იბეჭდება პირველად.

წიგნის შემდგენელი
ამირან გოდერძიშვილი

მადლობას ვუთვლი გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ იზა ორჯონიკიძეს და მის თანამშრომლებს მათი ნებართვით იეთიმ-გურჯის ხელნაწერების პირადად გაცნობისათვის და მისი შესწავლისათვის.

ავტორი

იეთიმ-გურჯი — იოსებ სტალინის მეგობარი
(საუკუნის საიდუმლო)

კაცს რომ პოეტური ნიჭი ექნება, წერაც რომ არ იცოდეს, მაინც გამოთქვამს ლექსს, ხოლო თუ წერა-კითხვა ეცოდინება, იმას წინ რაღა დაუდგება და დაწერს ვისზეც და რაზეც მოესურვება, დაწერს რაც გულს გაუხარდება, რაც გულს აუმღერებს, ან შეუშფოთებს.

იეთიმ-გურჯიც ერთი იმათთაგანია, ვისი გზაც იავარდით არ ყოფილა მოფენილი და მამით ობოლი, სიღარიბის ურჩხულთან შეჭიდებული ყმაწვილი თამამად ასღევნებია საყვარელი თბილისის ქუჩებს.

ქართული ანბანი დედისაგან უსწავლია, ლუკმა პურის საშოვნელად და ოჯახის სარჩენად იეთიმი შეგირდად დამდგარა მუსიკალური საკრავების ოსტატთან, რომელსაც ხელობაც უსწავლებია და ბავშვის პოეტურ სულზეც უზრუნია, აუხსნია რითმისა და რიტმის, მარცვლისა და ტონალობის საიდუმლოებაც. ბუნებით პოეტს ადვილად შეუთვისებია თბილისური სასიმღერო ჰანგები და თავადაც უცდია ახალი ლექსისა და სიმღერის „ამოღება“, უცდია და სანიმუშოდაც გამოსვლია.

ამის შემდეგ გულმოდგინედ და ხალხისათვის სასიამოვნო საკითხავად იწერებოდა ანაბაჯის გმირული ეპიზოდები, „ბრუნავს ქვეყანა“, „ჩვენს თამადას გაუმარჯოს“, „წინაპრებით ქართველი ვარ“ და მრავალი სხვა, რომლებიც გამომზეურებისთანავე თბილისელების საყვარელ სიმღერებად გადაიქცეოდა ხოლმე.

პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული ჭაბუკისათვის გულისგარეთ არ დარჩენილა თბილისში გავრცელებული

პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც არსებული წეს-წყობილების შეცვლა და „შრომის ახსნა“ ჰქონდა მიზნად დასახული.

1896 წელს 21 წლის იეთიმი ჯარში გაუწვევიათ. იგი ჯარიდან გამოპარულა და არალეგალურ ცხოვრებაში ჩაბმულა. ჩვენთვის უცნობია, კერძოდ ვისთან მეგობრობდა და რა საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ ცხადია, რომ მთავრობის დევნისგან თავის დასაღწევად თავშესაფარს მთავრობის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იპოვიდა. ასეთი ბანაკი კი სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო, რომელსაც ქართველი სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ...

ქართველ სოციალ-დემოკრატებში ძირითადად ორი მიმდინარეობა ბატონობდა. პირველი, რომელიც სოციალიზმის დამყარებას ბურჟუაზიასთან შეთანხმებით ცდილობდა და მეორე, რომელიც უარყოფდა ბურჟუაზიას და მუშათა და გლეხთა დიქტატურის დამყარებით მოითხოვდა სოციალიზმის აშენებას. ორივე ფრთის წინამორბედად საქართველოში ითვლებოდა „მესამე დასი“.

არალეგალურად მყოფი იეთიმ-გურჯი ჩაერთო ამ პოლიტიკურ მოძრაობაში და როგორც მისივე ლექსებიდან ჩანს, იგი თავიდანვე მუშათა და გლეხთა დიქტატურის მომხრე ყოფილა და ბოლომდე მუშათა კლასის მხარდამჭერად დარჩენილა. გავიხსენოთ 1903 წელს დაწერილი მისი ლექსი „მუშას უფრთხილდით“:

„მუშის სისხლით მაძღარნო,
დღეს რომ ხარობთ რთველშია,
მუშას უფრთხილდით, ერიდეთ,
ნუ სჩაგრავთ ყველაფერშია.“

პოეტი თავის იდეალს, თავისი შემოქმედების მთავარ თემას გარკვევით გვიხსნის ლექსში „ლამაზებზედ მეტად მიყვარს“:

ბევრი მეტყვის სიყვარულზე
არ იციო ლექსის წერა,
თქვენ რომ ამბობთ, მართალი ხართ,
ძე რომ მკითხოთ, არა მჯერა.

მე რა მიყვარს, რას ვლოცულობ,
ან რა არის ჩემი ვალი,
ჩემი წმინდა სიყვარული,
ჩემი რწმენა, იდეალი.

ჩემისთანა სიყვარული
რომ ვიცოდე, თქვენში არი.
მე რომ მიყვარს, მერე ვინა?
ჩვენი მუშა-პროლეტარი.

მას ეტრფის და მას უმღერის
ეს ტანჯული ჩემი გული,
ცეცხლთან იბრძვის, ჩაქუჩს ურტყამს
ჩემი მუშა გამურული.

ლამაზებზე მეტად მიყვარს
მუშის ოფლი ჩამოსული,
ხელის ტყავი, ვით „პადოში“,
და ზედ სოკო ამოსული.“

ლექსის დასასრულს წერს:

„იეთიმ-გურჯის სიყვარულსაც
მუშა ჰქვია, მართლად ვთვალე.
ცოცხალი ვარ, მას ვუმღერი,
მოვკვდე, მუშას ვენაცვალე.“

რევოლუციურ საქმიანობაში ჩართული პოეტი წერს არა მხოლოდ პროლეტარულ ლექსებს, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც მონაწილეობს სოციალიზმის იდეალებისათვის ბრძოლაში. ლექსში „შეხვედრის დღეს“ წერს:

„ჩემს წილად მეც მიშრომია,
არ ვიყავ გამორჩეული,
მეფის ღალატიც გავწიე
ვიყავი გამომწყვდეული“.

აქ ჩვენ არც შეგვიძლია და არც ვაპირებთ იეთიმ-გურჯის რევოლუციური საქმიანობის შესწავლას და დაფიქსირებას, ჩვენ გვაინტერესებს დავაზუსტოთ ვისთან ჰქონდა პირადი მეგობრული ურთიერთობა და ვისგან დარჩა მთელი ცხოვრება გულმოკლული და დაჩაგრული:

„მე მიყვარხარ და კიდეც მეყვარები,
დაუკვირდი თუ ჯიგარი გაბია,
შენსა ლხინში მიმიხურე კარები,
იეთიმ-გურჯსა ენა აღარ მაბია“...

ლექსში „რასტი“ იეთიმი წერს:

„შენმა ენამ, სილამაზემ შემიპყრო
ყმაწვილობით დღემდე შენ გემსახურე“...

აქედან ნათლად ჩანს, რომ პოეტი ბავშვობიდანვე იყო ჩართული პარტიულ წრეში, რომელსაც თუნდაც „მესამე დასი“ ერქვას და თუნდაც სოციალ-დემოკრატიული პარტია. ეს კი ცხადია, რომ ჭაბუკი იეთიმი მეგობრობდა პიროვნებას, რომელსაც ყმაწვილობიდან სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა და უერთგულა. იეთიმ-გურჯის მეგობარი იყო იოსებ ჯუღაშვილი. ეს ადვილად მტკიცდება იეთიმ-გურჯის შემოქმედების და ცხოვრების კარგად შესწავლისას.

ცნობილია, რომ იოსებ ჯუღაშვილი დაიბადა 1879 წელს, ხოლო იეთიმ-გურჯი 1875 წელს, ოთხი წლით უმცროსი ჯუღაშვილისათვის ძნელი არ იყო ოთხი წლით უფროსი იეთიმ-გურჯი თავისი ზეგავლენის ქვეშ მოექცია.

ჯერ გორის სასულიერო სემინარიისა და შემდეგ თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის წარჩინებული სტუდენტი იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც საფუძვლიანად იცნობდა მარქსის, ენგელ-

სის, ლენინისა და პლეხანოვის ნაშრომებს, ადვილად მოაქცევდა თავისი ზეგავლენის ქვეშ თავისზე ოთხი წლით უფროს „სკოლის კარების უნახავ“ იეთიმ-გურჯს:

„არც სკოლის კარი მინახავს,
არც დედა ენა რჩეული,
დაბალი მუშის შვილი ვარ
ტანჯვით გაზრდილი, ეული“,

— წერს იეთიმ-გურჯი.

იეთიმ-გურჯი ამ მეგობართან (ჩვენი დადასტურებით, იოსებ ჯუღაშვილთან) ურთიერთობას ასე გვისურათებს:

„ქვეყნად ერთი მოძმე მყავდა,
დიდი ხანი მემსახურა,
რომელ გზაზეც მატყუებდნენ —
ჩემ მაგივრად მან იყურა.

სხვისგან წართმეული ქუდი
დამიბრუნა, კვლავ დამხურა,
მახვილივით პირში ეცა,
ჩემი მტრები სულ გამურა.

ბოლოს მითხრა — ამხანაგო,
ჩემი ძმობა არ ინებე,
შენთვის წალკოტს ვაშენებდი,
შენ კი წახველ, ეკალს ებე.

ჩემი ენა წერით გაცვდა,
დღემდის ხელზედ მონად გებე,
არც ფასდები, არც მაფასებ,
მოდი, თავი დამანებე."

ე.ი. მოძმე იეთიმ-გურჯს ნამდვილ მეგობრობას უწევდა, სხვისგან წართმეული ქუდი დაუბრუნა და კვლავ დაახურა, მის მტრებს მახვილივით პირში ეცა და სულ გამურა, მაგრამ როგორც ჩანს, მათ შორის მოხდა რაღაც გაუგებრობა და მოძმეს უთქვამს იეთიმისათვის: „ამხანაგო, ჩემი ძმობა არ ინებე, შენთვის წალკოტს ვაშენებდი შენ კი წახველ ეკალს ებე". ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რომელი პარტიის წარმომადგენლების იდეური მიმართვაა „ამხანაგო", რა თქმა უნდა ეს მიმართვა ბოლშევიკურია, სტალინურია. „ამხანაგოო, — თანაც იძახი, პირზე ბადე გაქვს აფარებული" — წერს სხვა ლექსში იეთიმი. იოსებ ჯუღაშვილი, ჩამოყალიბებული მარქსისტი, ლენინის ერთგული მოწაფე, ბოლშევიკური დისციპლინის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ალბათ, დიდხანს ვერ შეეგუებოდა თბილისური ბოჰემის ტრფიალსა და ყარაჩოღელთა ჭეშმარიტ წარმომადგენელს იეთიმ-გურჯს. ხოლო თავად თბილისელ ყარაჩოღელს, ყარაჩოღლურ წეს-ჩვეულებებზე აღზრდილ იეთიმს, თავისთავად ცხადია, პროფესიული რევოლუციონერის წესებით ცხოვრება გაუჭირდებოდა:

„არც ფასდები, არც მაფასებ,
მოდი თავი დამანებე“, —

ეტყოდა ალბათ პროფესიონალი რევოლუციონერი და გაემიჯნებოდა მას. იეთიმ-გურჯი ლექსში „დავთმობ ქვეყნის დიდებასა“, რომელიც დაწერილია 1903 წელს, ეფიცება და ემუდარება მეგობარს, რომ ნუ გასწირავს და ნუ მიატოვებს:

„თვითონ გამჩენს გეფიცები
წმინდა დროშას რომ მიყვარხარ“.

იეთიმი ახსენებს მეგობარს, რომ ორი წელი გემსახურე და ახლა რატომ მიღალატე, რატომ გახდი სხვისაო.

„რად გამეცან სულ პირველად,
რისთვის მომე მტკიცე ხელი,
მიღალატე გახდი სხვისა,
რად შაიქენ გამყიდველი.

რად ივიწყე შენი ფიცი,
რაზე გახდი ჩემი მტერი,
ორი წელი გემსახურე,
ბოლოს თავი რად მომჭერი?“

იეთიმ-გურჯისათვის, ბუნებრივია, ძნელი იქნებოდა „ყმაწვილობის“ მეგობრის ჩამოშორება და ლექსში „მრწამს“ იგი წერს:

„მე რაცა მრწამს, იგი მწამდა,
მე ის მიყვარს, ვინც მიყვარდა,
გულიდგან ვერ ამომგლეჯენ,
ვინც რომ გულში ჩამივარდა.

მე სიცოცხლე მისთვის მინდა,
მსურს რომ თავიც ვანაცვალო,
თუ გინდ მომცენ მთლად ქვეყანა,
არ გეგონოთ, რომ გავცვალო.

არ ელოდოთ იმისაგან
ჩემი გული აიყაროს,
ბევრი ელის, მაგრამ სცდება,
რომ მან ჩვენზედ გაიხაროს.

იმის გზაზედ რაც რომ შემხვდეს,
ყველა ტანჯვა ავიტანო,
მისი წმინდა სიყვარული
სამარეშიც ჩავიტანო.“

იეთიმ-გურჯი, შეიძლება ითქვას მთელი სიცოცხლე ელოდა ძველი მეგობრის შემობრუნებას, მის მოკითხვას, მის სალამს, მის ღიმილს, მაგრამ ამაოდ; ლექსში

„ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს", პოეტი ჩივის:

„გულში სევდა ვერ დავტიე,
ველარ ვითმენ მე.
ქანდაკების ქვა გამხდარხარ,
აღარ მისმენ მე.

რბილი ენით გაგიცანი,
ბოლოს მაგრობ შენ,
ცეცხლის ალში გამახვიე,
აღარ მაქრობ შენ.

მშვიდი, წყნარი გული გქონდა,
რად გახდა თუჯი,
ვისმა ენამ შეგაძულა
შენ იეთიმ-გურჯი".

ლექსში „მეც დრო მქონდა" იეთიმი კიდევ მეათასედ სთხოვს ძველ მეგობარს, რომ მასთან ურთიერთობა აღადგინოს:

„რა მოგთხოვე, სიცოცხლე თუ განძები,
მდიდარი ხარ, რომ ლამაზი ბრძანდები,
არასა გთხოვ, ამნისტია გაეცი,
გამიცინე, ან სალამი მამეცი".

ლექსში „რასტი" იეთიმ-გურჯმა მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა შეაჯამა და თავისი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირს (ჩვენი დაკ-

ვირვებით და ახსნით იოსებ ჯუღაშვილს) მიმართავს:

„შენმა ენამ, სილამაზემ შემიპყრო,
ყმაწვილობით დღემდი შენ გემსახურე,
შენმა რწმენამ სალოცავად დამიპყრო,
ვარდს გიფენდი, მე კი ძეძვი ვიხურე.

შენს სურათსა მე ხატად ვატარებდი,
გინათებდი, სანთელივით ვდნებოდი,
შენსა სახეს სულყველას ვაყვარებდი,
რა ვიცოდი, თუ მე ბნელში ვრჩებოდი.

შენს წალკოტის ლობედ ვიყავ ქცეული,
გდარაჯობდი, ვიყავ ყარაულადა,
შენ აშენდი, მე ვარ ჩამოქცეული,
არც გინდივარ ახლა ეზოს მურადა,

არ გემდური, მაგრამ კარგს არა შვრები,
ერთი მაინც მოიგონე ასშია,
აბა კარგად დაუკვირდი, რას შვრები,
თბილად გძინავს, მე კი მცივა კარშია.

მე მიყვარხარ და კიდეც მეყვარები,
დაუკვირდი, თუ ჯიგარი გაბია,
შენსა ლხინში მიმიხურე კარები,
იეთიმ-გურჯსა ენა აღარ მაბია.“

„შენსა ლხინში მიმიხურე კარები“ მიმართავს ძველ მეგობარს, ვისთანაც მრავალი განსაცდელი აქვს გადატანილი. ამ ლექსის შექმნის დროს გორელი სოსო ჯუღაშ-

ვილი უკვე უდიდესი ავტორიტეტით და სიყვარულით არის გარემოსილი, ის უკვე „მოჩვენებაა პლანეტაზე", მას უკვე მილიონები ემორჩილებიან, ის უკვე ხალხის რჩეულია, ხოლო იეთიმ-გურჯი კი, მისი ერთგული მეგობარი, შავი ნაბდით, უსახლკაროდ, ღამეს სიცივეში ატარებს. „თბილად გძინავს, მე კი მცივა კარშია"-ო — წერს უნუგეშო პოეტი.

„შენსა სახეს სულყველას ვაყვარებდი,
რა ვიცოდი თუ მე ბნელში ვრჩებოდი"...

ღა კიდევ:

„შენ აშენდი, მე ვარ ჩამოქცეული,
არც გინდივარ ახლა ეზოს მურადა"...

იეთიმ-გურჯი არსებული ტოტალიტარული რეჟიმის დროს ცდილობდა თავისი აზრები ისე გამოეხატა, რომ ცენზურას არ გაეგო მისი ჭეშმარიტი დამოკიდებულება ქვეყნის პირველი პირის მიმართ. მან აირჩია სატრფიალო ლექსების თემა და ამ თემას ამოფარებული გულიდან ილებდა თავის დარდსა და სევდას, ვითომ შეყვარებული კაცის პოზიციიდან ერტფოდა და სიყვარულს ეფიცებოდა ვითომ თავის სატრფოს, სინამდვილეში კი ევედრებოდა, ელაღადებოდა, არცხვენდა, სწყევლიდა და კვლავ სიყვარულს ეფიცებოდა თავისი ყმაწვილობის მეგობარს — სტალინს. რევოლუციის ქარცეცხლში გამოვლილი კაცი ცდილობდა დაემალა თავისი ნამდვილი სატკივარი. თორმეტი წლით თავისი საყვარელი

თბილისიდან გადასახლებული „პოლშის“ ციხეში გამომწყვდეული, ცხოვრებისაგან ნატანჯი და ნაჯაფი ადამიანი, რომელსაც ბედმა არც ცოლ-შვილი აღირსა და არც საზოგადოებაში თავისი კუთვნილი ადგილი, მღეროდა სიყვარულზე:

„თანა ვმღერი, თან ცრემლები მდენია,
შეიბრალე იეთიმ-გურჯი შენია“.

ჩვენ, კომუნისტური რეჟიმის მომსწრე ადამიანებმა კარგად ვიცით, როგორ უსწორდებოდა ხელისუფლება ოდნავ სხვაგვარად მოაზროვნე პირებს, მილიონობით კაცი შეეწირა თავისი აზრების გამომზეურებას, რომელიც კრიტიკული თვალით ზომავდა კომუნისტური პარტიის აღმშენებლობით კურსს და საერთოდ კომუნისტურ იდეოლოგიას.

ამ დასჯილ მილიონებში მრავალი უბრალო, უდანაშაულო კაციც იყო გარეული, რომელსაც მისდამი მტრულად განწყობილი პირი ცილს დასწამებდა და დააბეზღებდა გარკვეულ ადგილას, მის მიმართ შურის ან წყენის გამო. ეს იყო განუკითხაობის ეპოქა. რა თქმა უნდა, დასჯილ მილიონებში უმრავლესობა მართლაც იყო იდეური ან პრაქტიკული მოწინააღმდეგე ახალი წეს-წყობილებისა და მისი მეთაურისა. მათ ხელისუფლება თავისი პოზიციებიდან სამართლიანად სჯიდა, როგორც არსებული წესწყობილებისა და ქვეყნის მტერს. დასჯილ მილიონებში იყვნენ უდანაშაულო, პატიოსანი, მშრომელი ადამიანებიც, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა. მე მხოლოდ იმიტომ გავამახვილე ყურადღება

მასზე, რომ მეთქვა — აი, ასეთ წლებში მოუხდა იეთიმს ცხოვრება და მოღვაწეობა და არც არის გასაკვირი თუ რატომ უნდა დაემალა თავისი დამოკიდებულება თავის ძველი მეგობრის მიმართ და რატომ უნდა ამოფარებოდა სატრფიალო თემას.

აქ თავისთავად წარმოიშობა კითხვა — იოსებ ჯუღაშვილი თუ 1902-1903 წლიდან გაემიჯნა იეთიმ-გურჯს, მაშინ ხომ ჯერ არ იყო კომუნისტური წეს-წყობილება დამყარებული, მაშინ ხომ ჯერ სოსო ჯუღაშვილი რიგითი რევოლუციონერი იყო, რატომ თამამად ხმამაღლა არ გამოთქვა იეთიმმა თავისი პრეტენზიები?

პასუხი ასეთია: სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და წესდება ითვალისწინებდა იდეურ მოწინააღმდეგეთა ფიზიკურად მოსპობას (გავიხსენოთ ილიას მკვლელობა 1907 წელს). სწორედ ამიტომ იეთიმის მხრიდან პატარა ბიჭურად საქმის გარჩევა და ჩივილი არ იყო სწორი გზა. თანაც „სად ვიჩივლო, რუსთაველი მკვდარია“ და „სუდიაც დედინაცვლობსო“, — ჩიოდა იეთიმ-გურჯი. ანდა, იქნებ, იოსებ ჯუღაშვილმა თავისი რკინისებური ლოგიკითაც დაუმტკიცა იეთიმს მისი შეცდომები და იეთიმი მიხვდა, რომ მასთან კამათს აზრი აღარ ექნებოდა და ამიტომ, მხოლოდ ალეგორიული ფორმით ლექსებისა და სიმღერების შექმნით იოხებდა გულს:

„შენთვის კალამს არ დავაგდებ,
ცრემლითა ვწერ, შენთვის ვტირი,
იმდენ ლექსებს დავწერ შენზე —
მთლად მოვფინო მიწის პირი“.

უნდა ითქვას, რომ იეთიმმა 1903 წელს დადებული ეს პირობა შეასრულა. მან უამრავი ლექსი დაუწერა თავის ორპირ მეგობარს, რომლებიც სატრფიალო ლირიკის სამოსელში გახვეული მაშინვე ქართველი კაცის ლამაზ სიმღერებად გადაიქცა.

უნდა ითქვას, რომ იეთიმ-გურჯმა ალეგორიული ფორმა დიდი წარმატებით გამოიყენა და ცენზურამ ვერაფერი გაუგო, ხოლო, თუ მის გვერდით მყოფი მეგობრები მიხვდებოდნენ, მათგან იეთიმი არ იქნებოდა გაცემული და სამსჯავროზე გადაცემული.

ხშირად არა, მაგრამ პერიოდულად იბეჭდებოდა იეთიმის წიგნები. ქართველი მკითხველი მის ლექსებს ღებულობდა, როგორც სატრფიალო ლირიკას, როგორც ცალმხრივად შეყვარებული კაცის მოთქმასა და ამომღერებას, მისი თითქმის ყველა ლექსი სიმღერად იყო გადაქცეული და მღეროდნენ ლხინსა და ჭირში, მღეროდნენ შრომისა და დასვენების დროს, უმღერდნენ თავიანთ სატრფოს. ხალხს უყვარდა იეთიმ-გურჯი და უყვარდა მისი ლექსები.

მან სიცოცხლეშივე მოიპოვა ხალხის სიყვარული და აღიარება:

„ბევრი ხალხი მომიგონებს,
როცა ამ სოფლიდან გავალ,
მე სიყვარულს თან წავიღებ,
უიმისოდ არსად წავალ“.

თბილისის ნებისმიერ უბანში, დღესასწაულზე, წვეულებებზე თუ დუქანში მოქეიფე კაცები ახლო-მახლო შემთხვევით გამოჩენილ იეთიმ-გურჯს ყველა თავისკენ უხმობდა, მისი მისვლით სუფრას ლაზათი და ეშხი ემატებოდა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში დროებით თბილისში უცხოვრია მამაჩემს, რომელიც იეთიმთან შეხვედრის ეპიზოდებს ასე მიყვებოდა: სუფრაზე მსხდომი მოქეიფე ბიჭები დავინახავდით თუ არა იეთიმს, ყველა ვცდილობდით, რომ ჩვენს მაგიდასთან მიგვეწვია. „ძია იეთიმ, მობრძანდი, დაგვლოცე", „ძია იეთიმ, თუ შეიძლება დაგვეწვიე", „ძია იეთიმ, გვითხარი რამე!" ...იეთიმი არავის გააწბილებდა; კახური ქუდით, შავ ჩოხაში გამოწყობილი, ხელში ჯოხით, დინჯად მოვიდოდა მოქეიფეებთან, დაგვლოცავდა, ყარაჩოღულად სადღეგრძელოს იტყოდა, ყოველივე სიკეთეს გვისურვებდა, მიწვდილ ღვინოს ცოტას მოსვამდა და ზრდილობიანად გაეცლებოდა სუფრას. მოქეიფეებთან კი ტოვებდა სიხარულს, ღიმილს, ახალი სადღეგრძელოს თქმის ეშხსა და სურვილსო, — იხსენებდა მამაჩემი.

დიახ, უყვარდა ხალხს იეთიმ-გურჯი და მას ვერ გაიმეტებდნენ მგლებისათვის დასაგლეჯად რომ გადაეცათ.

მაგონდება ერთი ძველი ანეკდოტი: სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ლენინს სტალინისათვის უთქვამს: „ჩემი სიკვდილის შემდეგ, ვეჭვობ, რომ ხალხი შენ გამოგყვესო", სტალინს უპასუხია: „ვინც მე გამომყვება — მათ გავიყოლებ, ხოლო ვინც მე არ გამომყვება შენ გამოგყვებაო".

აქ ყველაფერია ნათქვამი. მკაცრი პარტიული დისციპლინისა და რეჟიმის მოყვარე სტალინმა, მართლაც ბევრი გაუყენა ლენინის გზას და იეთიმი ვინ იქნებოდა, რომ ისიც არ გაესტუმრებინა მოუსავლეთში, თუ არა იეთიმის დიდი სიფრთხილე და ქალის სიყვარულს საიმედოდ ამოფარებული პოეზია.

მახსენდება ლეო ქიაჩელის ნაწარმოები „ტარიელ გოლუა". იქ ასეთი ეპიზოდია:

„ერთობის" ერთ-ერთი მოთავე ლევან გოლუა და „ერთობის" მტერი, მზაკვრულად „ერთობის" მხარეზე გადასული გაიოზ გადალენდია ტყეში ღამით ერთად მიდიან, გაიოზი ეუბნება ლევანს: „ლევან, შენ ისეთი კარგი ხარ, კაცს რომ შენი მოკვლა უნდოდეს — ვერ მოგკლავსო". აი, ეს სიტყვები მთლიანად ესადაგება იეთიმის პიროვნებას. იეთიმი ისეთი საყვარელი პიროვნება იყო მთელი თბილისისათვის, მთელი საქართველოსათვის, რომ მას სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებდნენ. ცენზურას თუნდაც ეჭვი აეღო მისი პოეზიის ალეგორიულ თემაზე, ცენზურაც კი მოერიდებოდა მის მხილებას და სამართალში მიცემას.

ლექსში „რასაც ვნატრობდი, მოვესწარ" პოეტი თავის ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის:

„რასაც ვნატრობდი, მოვესწარ,
ძლივს გავახილე თვალია,
დაინგრა მეფის მთავრობა,
ვარ სიხარულით მთვრალია.

ჩემი სიცოცხლე შეკვნირე,
არ დამიზოგავს თავია,
ეხლა „მაღარიჩს“ მივირთმევ,
ჩვიდმეტი წლისა თავია.

დავბერდი უცოლშვილოდა
და აღარ მეტრფის ქალია,
ღვინო მავიწყებს დარდებსა,
სულა ვქორწილობ მოვრალია.

ღვინო და დროშა ორივე,
ერთფერ წითელი ლალია,
დროშა მომავალს დავუთმე
და მოვიხადე ვალია.“

დიახ, იეთიმ-გურჯი დაბერდა უცოლშვილოდ, ლუკ-მა-პურის მაძიებელს და რევოლუციის საქმიანობაში ჩაბმულს, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ პატიმარს, „პოლ-შის“ ციხეში გამომწყვდეულს, ნამდვილად არ ეცალა ქა-ლებისათვის.

„შენ გახდებოდი პოეტის ცოლი,
რომ სიყვარულის ნება მქონოდა“

ეს სტრიქონები არ ეკუთვნის იეთიმ-გურჯს, მაგრამ მასაც თავისუფლად შეეძლო რომ ასე ეთქვა. მას არ ჰქონდა სიყავრულის ნება და საშუალება:

„მე ჩემი თავი დავღუპე,

ძალად მახეში გავაბიო", — ეს კი მისი საკუთარი ამონაკვნესია.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, 12 წლის უნახავ თბილისში დაბრუნებული პოეტი ძველმა მეგობრებმა კი მიიღეს სიყვარულით და სუფრიდან სუფრაზე ინვევდნენ, მაგრამ რისთვისაც და ვისთვისაც მოიხადა ეს სასჯელი, იმ წრემ და იმ საზოგადოებამ აღარ მიიღო, რადგან თვითონ ამ წრის, ამ საზოგადოების ხელმძღვანელის იოსებ ჯუღაშვილის ნება იყო ასეთი და ეს ნება — იყო შეუვალი.

ძნელი ასატანი იყო იეთიმისათვის იმ ადამიანისაგან ხელის კვრა, ვისაც „ყმაწვილობით დღემდე"ემსახურა, ვისაც ვარდს უფენდა და თვითონ კი ძეძვს იხურავდა, ვის სურათსაც ხატად ატარებდა და ვის სახესაც „სულყველას აყვარებდა", ვისი წალკოტის ღობედაც იყო გადაქცეული, ვისაც დღე და ღამ ყარაულობდა და ვის იდეებსაც გულწრფელად ავრცელებდა.

სწორედ მან მიუხურა „სიხარულის კარები", სწორედ მან არ მიიღო და არც სხვას მისცა ნება მისი მიღებისა და იეთიმი იძულებულია თქვას: „გარე-გარე მთვრალი დავიარებიო".

მართალია, იეთიმს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გალაკტიონ ტაბიძესთან, იოსებ გრიშაშვილთან, პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან და მრავალ ცნობილ და ღირსეულ მწერალთან, მაგრამ მაინც, კარგა

ხანს არ ღებულობდნენ მწერალთა კავშირში და სხვა საბ-ჭოთა დაწესებულებებიც იგნორირებას უწევდა ყოფილ რევოლუციონერსა და ყოფილ პოლიტიკურ პატიმარს.

„რედაქციაში წავედი
ჩემს დარდებს დასანერად,
პრისტავის სახლი გამოდგა,
შევიქენი დასაჭერად“.

— წერდა თავის უიღბლობაზე და ობლობაზე ობოლი ქართველი.

ასეთი დარდითა და ვარამით სავსე გულით და-დიოდა იეთიმი საყვარელი თბილისის ქუჩებში და თა-ვის დარდს ალეგორიული ლექსებითა და ჯადოსნური, გულშიჩამწვდომი ჰანგით ჰფანტავდა ნაცნობებსა და უცნობებს შორის.

იეთიმისათვის ლამაზი ქალების სიყვარული და „აბანოში ლხინები“ მეორეხარისხოვან, ანდა მეათეხ-არისხოვან გართობად და სიამოვნებად ითვლებოდა.

ცხოვრებისაგან ხელნაკრავი, უცოლშვილო, ჯან-გატეხილი პოეტისათვის მხოლოდ ღვინო და ლექსები გამხდარიყვნენ ერთგული მეგობრები:

„მე ახალი დარდი მიყიდია,
წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკიდია“

ანდა:

„დარდიანად დამიწყია მღერა,
ცოცხალი ვარ, მე კი არა მჯერა“,

— მღეროდა სულიერი სიკვდილის პირას მისული პოეტი და ლოგიკურია, რომ მას, ასეთ დეპრესიაში ჩავარდნილს ლამაზი ქალი ვერ გაახსენდებოდა.

იეთიმ-გურჯის ვითომ სატრფიალო ლექსები ყველა ერთი თემატიკისაა, ერთი ჩივილისაა, ერთი ნატვრისაა, ერთი პიროვნებისადმია მიძღვნილი, დაწყებული 1903 წლიდან, დამთავრებული მის გარდაცვალებამდე (1940).

ყოვლად შეუძლებელია, 1903 წელს ვითომ თავის სატრფოს უნერდეს „ორი ნელი გემსახურე, ბოლოს თავი რად მომჭერიო", (საინტერესოა, ამ დროს რამდენი წლისა იქნებოდა ადრესატი?) და 1922 წელს მასვე უწერს:

„გაუტეხავი ქვისა ხარ,
მოუნათლავი ჭკვისა ხარ,
ჯერ ხომ თვრამეტი წლისა ხარ,
რად გამიცან თუ სხვისა ხარ?"

ცხადია, იეთიმ-გურჯი „სატრფოს" ასაკს ცენზურის თვალის ასახვევად წერს. იეთიმ-გურჯმა იცოდა, რომ მისი მორჩენა აღარავის შეეძლო: „ჩემსა წამალსა ვერვინ იშოვნის, მთელი ქვეყანა შემოიარონ" და შემდეგ:

„ერთი მე ვიცი და ერთი იმან,
ვინც მე გამხვია ცეცხლის ალშია,
მე ის მომარჩენს, ანდა დამმარხავს,
ან გადამაგდებს შუა წყალშია.

მე რომ სენი მჭირს, ის თვითონ არის,
ჩემი წამალი მისივე ენა,

იეთიმ-გურჯს წამლად მისი თვალები
და მეღირსება მაშინ მორჩენა."

ასეთ გარიყულობაში მყოფი კაცისათვის, ასეთ უიმედობაში ჩავარდნილი ადამიანისათვის სირცხვილია, რომ უთხრა: „სიყვარული შაგყრიაო", კაცს, რომელსაც იმგვარი ცეცხლი მოჰკიდებია, რომ მისი „ყვირილი ადის ცაშია", უხერხულიც კი არის რომ მის სატრფიალო ლირიკაზე, მის სამიჯნურო ლექსების საერთოდ არსებობაზე ვისაუბროთ.

სამიჯნურო ლექსების თემატიკა, სახე, თვითონ იეთიმ-გურჯმა შექმნა თავისი რეალური მდგომარეობის დასაფარავად; ვითომდა სატრფოსადმი მიძღვნილი ლექსით იეთიმი გულს იფხანდა და ამბობდა თავის დარდსა და სათქმელს იმ ადამიანის მისამართით, ვისაც „ყმაწვილობით დღემდი" ემსახურა და ვინც ცნობის დღიდან მიუხურა კარები. ეს კაცი, მისი ყმაწვილობის მეგობარი იოსებ ჯუღაშვილი იყო.

როგორც აღვნიშნეთ, არ არსებობს ისტორიული, საარქივო დოკუმენტები იეთიმისა და ჯუღაშვილის მეგობრობისა, მაგრამ არსებობს იეთიმის ლექსები, სადაც დაკვირვებული მკვლევარი იპოვის მათი ურთიერთობის რეალურ სურათს.

სტალინის სახის ნათლად წარმოდგენისათვის განვიხილოთ იეთიმის ლექსი „პასუხი".

ამ ლექსს „პასუხი" კი ჰქვია, მაგრამ ვის კითხვებზე ვისი პასუხია ლექსად ქცეული ეს არის მთავარი. ეს არის სტალინის პასუხი იეთიმის დაუსრულებელი მოთქმისა და მოთხოვნის შესახებ. რა თქმა უნდა, ამ პასუხის ტექს-

ტი იეთიმის შედგენილია, მაგრამ ნაგულისხმევია, რომ იეთიმს „ესაუბრება“ სტალინი, აი, ეს ლექსიც:

ლამაზი ვარ და კიდეც მიხარიან,
ერთი ვინმე დამიწვია ძალიან,
ვერ ჰკურნავენ რაც ექიმნი არიან,
იეთიმ-გურჯო, შენთვის არა მცალიან.

ბევრი იწვის ჩემს სახელის სმენაზე,
მოჩვენება ვარ ქვეყნისა სცენაზე,
ერთი ძლიერ დამიჩაგრავს ყველაზე,
იეთიმ-გურჯსა ვაწერივარ ენაზე.

მე ჩავაგდე წამებისა გზაზედა,
ბოუცლია მარტო ჩემსა თქმაზედა,
დამისვია გაყინული ქვაზედა,
მაინც კიდევ ვერ მოსულა ჭკვაზედა.

იეთიმ-გურჯო, მწარე ცრემლით ინამე,
მოგიშალე სახლი, კარი, ბინა მე,
ხნიერი ხარ, სად შენა და ვინა მე,
ვერ მომხარშავ, ვარ ფოლადი, რკინა მე.

მაისის თვის ყვავილივით მშვენი ვარ,
იეთიმ-გურჯო, შენთვის ცეცხლის გენი ვარ,
შენ ძია ხარ, მე კი შევარდენი ვარ,
არ დამწყევლო, ბოლოს მაინც შენი ვარ.

ლექსი დაწერილია 1922 წელს, ამ დროს სტალინი უკვე მოსკოვშია, კრემლშია, ორჯონიკიძისაგან უკვე მიღებული აქვს პატაკი: „ლენინს, სტალინს. თბილისის თავზე ფრიალებს წითელი დროშა...“ ამით იმის ხაზგასმა მინდა, რომ სტალინი დიდ რუსეთის იმპერიაში უკვე პირველი თუ არა, მეორე სახეა ლენინის შემდეგ. ბევრი იწვის მისი სახელის სმენაზე და იგი უკვე ნათლად ჩანს „ქვეყნის სცენაზე“, სტალინი უკვე „მოჩვენებაა პლანეტაზე“.

„ვერა ექიმი ველარ მომარჩენს,
რაც კი მე მტანჯავს ერთი წყლულებაო“,

— რომ ამბობს იეთიმი, სტალინი უდასტურებს:

„ვერ ჰკურნავენ, რაც ექიმნი არიან,
იეთიმ-გურჯო, შენთვის არა მცალიან“.

იეთიმი რომ ამბობს: „წერით, მღერით დავიღალე, მარტო შენთვის მამიცლიაო“, სტალინი ამ „პასუხში“ ადასტურებს:

„მე ჩავაგდე წამებისა გზაზედა,
მოუცლია მარტო ჩემსა თქმაზედა“.

დიახ, მართლაც იეთიმი მხოლოდ მის შესახებ თქმაზე იყო მოცლილი, მას არავინ და არაფერი აგონდებოდა ამქვეყნად, გარდა იმ მოღალატე, ორპირი მეგობრისა, რომელსაც ორი წელი ემსახურა და მერე კი ხელი ჰკრა და უთხრა:

„არც მაფასებ, არც ფასდები,
მოდი, თავი გამანებეო“.

შემდეგ ამ „პასუხში“ სტალინი (ჩვენი დადასტურებით) ეუბნება იეთიმს:

„ იეთიმ-გურჯო, მწარე ცრემლით ინამე,
მიოგიშალე სახლი, კარი, ბინა მე,
ხნიერი ხარ, სად შენა და ვინა მე,
ვერ მომხარშავ, ვარ ფოლადი, რკინა მე“.

რა თქმა უნდა უკვე ხნიერად გამოიყურებოდა ოთხი წლით მასზე უფროსი, გადასახლებაში ნამყოფი, ჯანმრთელობა შერყეული, ჯოხით ხელში კოჭლობით მოსიარულე იეთიმი. იეთიმი ამ დროს ძია იეთიმი იყო, ხოლო სოსო ჯუღაშვილი — ამხანაგი სტალინი, მართლაც სად იეთიმი და სად სტალინი, „სად შენა და ვინა მე“.

ამ სტროფში იეთიმმა სიფრთხილის აღვირი ოდნავ მიუშვა და ათქმევინა სტალინს: „ ვერ მომხარშავ, ვარ ფოლადი, რკინა მე“, ე.ი. მე ფოლადი ვარ, я сталь, я Сталин -- ეუბნება სოსო ჯუღაშვილი თავის ბავშვობის მეგობარს — შენ ვერაფერს დამაკლებო, ვერ მომხარშავო.

მართლაც, სხვას კიდევ რას უნდა ველოდოთ ამ ლექსიდან? სტალინი ხომ ვერ ეტყოდა „შენ მე ვერაფერს დამაკლებ, მე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ვარო“.

ბოლო სტროფში სტალინი მაინც „სთხოვს“ იეთიმ-გურჯს:

„შენ ძია ხარ, მე კი შევარდენი ვარ,
არ დამწყევლო, ბოლოს მაინც შენი ვარ".

შევარდენი ვარო — ეუბნება სოსო ჯუღაშვილი იეთიმს, შევარდენი ხომ არწივის ნაირსახეობაა, ჩვენ გვახსოვს, რომ სტალინმა საოცარი გამბედაობისა და შემართებისათვის ლენინს — მთის არწივი უწოდა. თუ ლენინი მთის არწივია, დასაშვებია, რომ სტალინმა თავისი თავი შევარდენს გაუტოლოს.

ამრიგად, სიტყვებში „მე ვარ ფოლადი" — უტყუარად სტალინის სახეა დახატული.

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში იეთიმ-გურჯის ხელნაწერების საფუძვლიანად გაცნობისას აღმოჩნდა ლექსი, რომლის სათაურია „სტალინ". აღნიშნულ ლექსში ანალოგიურად სტალინი პირველ პირში გადმოგვცემს თავის ძლევამოსილებას და სისასტიკეს ცარიზმისა და თავისი მონინააღმდეგების მიმართ. გასაგები მიზეზების გამო ამ ლექსს სტალინის ზეობის პერიოდში და საერთოდ კომუნისტური წყობილების პერიოდში არ შეიძლებოდა რომ ეხილა დღის სინათლე. (ნაძირალა ნიკიტა ხრუშჩოვს ხელი რომ მისწვდომოდა, თავისი ვერაგული მიზნების განსახორციელებლად სიამოვნებით გამოიყენებდა ამ ლექსს). ამჟამად კი რადგანაც ყველა ვნებათა ღელვა გადავლილია ამ ლექსს ვაქვეყნებთ მთლიანად:

სტალინს

სამასი წლისა არწივსა,
ორთავი გავაგდებინე,
ღმერთსაც მოვხადე გვირგვინი
მიწაზე დავადებინე.

ნაკოცნ-ნაფურთხი ჯვარები,
რეიკად გავადებინე,
ის მოკვდა, ეხლა ჩვენა ვართ,
ქვეყანას გავაგებინე.

ვინცა სთქვა: „ეგრე არ უნდა"
მას შხამი ჩავადებინე,
ვიფრინე, ვჟლიტე ათასნი,
ძვლები ქვად დავაყრევინე.
ტურავ და მელავ, რას მიზამთ,
აქ რისთვის დარჩი, ირბინე,

— აქ შემომხედე თვალებში, —
ბევრ ბრმას ვერ გავაგებინე.
იეთიმ-გურჯმა რო შემხედა,
კალამი დავაგდებინე.

ლიტ. მუზეუმი ფონდი 5996-6 იეთიმ-გურჯის
ლექსები, ფურცელი 120.

ამ ლექსის პირველ ორი სტრიქონი:

„იეთიმ-გურჯმა რო შემხედა,
კალამი დავაგდებინეო“

მთლიანად ანალოგიურია ყველასათვის კარგად ცნობილი ლექსის „პასუხის“ შინაარსზე. მოვიყვანოთ ამ სტრიქონის ანალოგები „პასუხიდან“, რომელიც ასევე სტალინის „საუბარია“ იეთიმ-გურჯთან:

„ერთი ძლიერ დამიჩაგრავს ყველაზე,
იეთიმ-გურჯსა ვაწერივარ ენაზე“

მსგავსია ამ „ახალი“ ლექსის ბოლო სტრიქონებისა:

„იეთიმ-გურჯმა რო შემხედა
კალამი დავაგდებინე“

და კიდევ:

„მე ჩავაგდე წამებისა გზაზედა,
მოუცლია მარტო ჩემსა თქმაზედა,
დამისვია გაყინული ქვაზედა,
მაინც კიდევ ვერ მოსულა ჭკვაზედა“

და კიდევ:

„იეთიმ-გურჯო, მწარე ცრემლით ინამე,
მოგიშალე სახლი, კარი, ბინა მე“.

და კიდევ:

„იეთიმ-გურჯო შენთვის ცეცხლის გენი ვარ“.

ეს ყველაფერი სხვადასხვა ინტერპრეტაციით გამოთქმული მხოლოდ ერთი აზრის მატარებელია:

„იეთიმ-გურჯმა რომ შემხედა
კალამი დავაგდებინე“.

აღნიშნული ლექსის გამომზეურებამ საბოლოოდ ნათელი მოჰფინა იეთიმ-გურჯის პოეზიის ინკოგნიტო აღრესატის — იოსებ სტალინის პიროვნებას.

იეთიმ-გურჯს რომ ყველა „სატრფიალო“ ლექსი ერთი პიროვნების იოსებ სტალინის მისამართით აქვს დაწერილი ამის დასადასტურებლად განვიხილავ ორ ერთი და იმავე შინაარსის ლექსს, ამათგან ერთი „მთლად ქვეყანას მირჩევნიხარ“ დაწერილია 1919 წელს, რომელიც პოეტის ყველა კრებულშია შეტანილი და მკითხველმა კარგად იცის, ხოლო მეორე „დილის სალამს მოგილოცავ“ რომელიც ლიტერატურულ მუზეუმში ინახება და მზის სინათლეს დღეს პორველად ნახავს, დაწერილია 1933 წელს და შეიძლება ითქვას რომ ეს ლექსი მხოლოდ ავტორს აქვს წაკითხული. დავიწყოთ სტრიქონების შედარებები:

„მთლად ქვეყანას მირჩევნიხარ,
შენ კი გინდა ცრემლი ვღვარო,
რაგინდ ტანჯვა მომაყენო —
მაინც გეტყვი — ჩემი ხარო“, —

დაწერილია 1919 წელს და მკითხველმა ზეპირად იცის ეს სტრიქონები.

„ღმერთად, ხატად, სალოცავად
ამ ქვეყნადა შენა მწამხარ,
მომკლავ, დამწვავ, ეგ შენ იცი,
მე კი გეტყვი, რომ მიყვარხარ“.

ეს კი დაწერილია 1933 წელს და იმეორებს იგივე აზრს.

ანდა:

„სამდურავსაც არ შეგასმენ —
დანა დამკრა, სისხლი ვღვარო,
ქვა მომაბა წყალს ჩამაგდო —
დავიყვირებ — ჩემი ხარო.

მაინც თითებზე გემთხვევი,
თუგინდ თვალები დამთხარო,
ბრმად დავივლი შენს სახსოვრად,
სულ ვიყვირებ — ჩემი ხარო“

ცოცხლად მიწაში დამმარხო,
ზედ ქვა ლოდი დამაყარო,
ვიტყვი: — ღმერთო, აპატიე —
ამოგძახებ — ჩემი ხარო!“ — დაწერილია 1919 წელს და ყველამ ზეპირად ვიცით.

ხოლო ახლახან „აღმოჩენილ“ 1933 წელს დაწერილ ლექსში იგივეს იმეორებს:

„მკლავეპს დამჭრი, თვალებს დამთხრი,
ამომგლიჯო პირში ენა,
რაც გსურს მიყავ, კარგად იყავ,
მხოლოდ იცოცხლევი შენა“.

„მე რაში ვარ დამნაშავე:
სიყვარულის გამჩენს ჰკითხე,
მაგ თვალებში გენაცვალე,
მიხვდი, კარგად წაიკითხე“.

ორივე ლექსში მგოსანი თავის ცალმხრივ სიყვარულს უმტკიცებს თავის ყმაწვილობის მეგობარს, იეთიმი ყველაფერს მოითმენს, ყველა სასჯელს აიტანს, ოღონდ კი სტალინი კარგად იყოს, ოღონდ მან იცოცხლოს.

„მეფე იყავ, ტყვედ ჩამთვალე,
კმარა, კარი გამიღევი,
შვიდი თვეა ტყვედა გყევარ,
მანიფესტი მაიღევი“.

იეთიმ-გურჯის ხელნაწერთა სამუზეუმო ფონდში ინახება ალეგორიული ლექსი „მამიკონა“, რომელიც დაწერილია 1922 წელს. ლექსში წარმოდგენილია მგალობელი ჩიტი მამიკონა, რომელმაც მგოსანი ისე მოხიბლა, ისე შეაყვარა თავი, რომ იეთიმი მას „ღმერთისავით“ დარაჯობდა, რომ არსად წასულიყო:

„სუფრის თავში ისა მყავდა,
როგორც მაზა, ვარდის კონა,
ჩემსა ხატად ვლოცულობდი,
არ გამიწყრეს მამიკონა.

ერთი კვირა მეჭიკჭიკა,
ტკბილად თავი მამაწონა,
სიყვარული გულს ჩამიგდო,
და გაფრინდა მამიკონა.

აღარა ვარ კაცი ჭკვაზედ,
იეთიმს გული დამილონა,
რათ მეჩვენე, რისთვის წახველ,
სირცხვილი შენ, მამიკონა"...

რა თქმა უნდა, რომ ეს ლექსიც სტალინის მისამართით არის დაწერილი, რომელმაც იეთიმს თავი შეაყვარა, სიყვარული გულს ჩაუგდო და შემდეგ კი გაფრინდა და მიატოვა, თითქმის სამუდამოდ.

იეთიმ-გურჯის ხელნაწერებში ინახება ლექსი „ერთი მიყვარს", რომელიც დაწერილია 1921 წელს. ამ ლექსში ავტორი ინკოგნიტო ადრესატს და ჩვენი დადასტურებით კი იოსებ სტალინს უწუნებს მასთან არამეგობრულ დამოკიდებულებას და სთხოვს, რომ მანიფესტი (ალბათ ამნისტია) გამოსცეს და შეიბრალოს პოეტი:

„ერთი მიყვარს, ისიც მყვარობს,
მაგრამ ქცევამ გამაკვირვა,
თითქოს მისი კუკლა ვიყო —
მათამაშებს თავდაყირა.

ჩემსა ხატად მას ვლოცულობ,
მოწყალება გამიძვირა,
რაღაც ძვირად მევაჭრება,
მას ვგონივარ ყალბი ლირა.
.....
და შემდეგ წერს:

„მე რაში ვარ დამნაშავე,
სიყვარულმა შამიპირა.
რა დღიდანაც გავიცანი,
იეთიმ-გურჯი შამიწირა,
ღმერთს შახედე, შამიბრალე,
მანიფესტი, რა ქენ, სირა!“

ამავე ხელნაწერში არის ლექსი, სადაც მგოსანი ირწმუნება, რომ თავის რწმენას არ შეიცვლის და იქნება მხოლოდ მის სამსახურში, თუნდაც მისცენ ქვეყნის მეფობა ხმელეთსა და ზღვაზე, ის მაინც ეყვარება სიცოცხლის ბოლომდე, სამარის კარამდე, თუნდაც აწამონ და სტანჯონ:

„ანუ მიმცენ წამებასა, წყვილნი თვალები
დამთხარონ,
სათითაოღა კბილები მე პირიდან
ამომყარონ,
გახურებული შამფური შიგ ენაში
გამიყარონ,
არა-მეთქი-კიდევ ვიტყვი — მე სხვა რამე
შამაყვარონ“.

იქნებ აქაც ზოგიერთს ეგონოს, რომ შგოსანი ამ სიყვარულს თავის სატრფოს ეფიცება, მაგრამ იეთიმი ბოლო სტროფში ხსნის ამ საიდუმლოს და აცხადებს:

„აი, გითხრათ, ჩემი ღმერთი, მუშა-გლეხი
მიწერია,
სამარისა კარამდინა წითელი დროშა
მიჭერია,
სოციალიზმი სამოთხეა, მითქვამს და
დამიჯერია,
წყეულ იყოს იეთიმ-გურჯი, თუ ტყვილად
დამიწერია“.

ლექსი დაწერილია 1920 წელს, მენშევიკების ბატონობის პერიოდში და მაშინაც იეთიმს მხოლოდ ყმაწვილობის მეგობრის იოსებ ჯუღაშვილის რწმენა ჰქონდა და მის იდეალებს ერთგულობდა.

იეთიმი რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდში მრავალ ცნობილ რევოლუციონერთან მეგობრობდა და თანამშრომლობდა, ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო საშა გეგეჭკორი; საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდანვე საშა გეგეჭკორი დაინიშნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, ხოლო შემდეგ მიწათმოქმედების სახალხო კომისრად, ერთდროულად ასრულებდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობასაც.

იეთიმ-გურჯი, რომელიც ყველასაგან იგნორირებული და გარიყული აღმოჩნდა, როგორც ირკვევა ხშირად მიმართავდა თავის ძველ პარტიულ მეგობრებს დახ-

ვარებისათვის, სამუშაოს მოთხოვნით, მაგრამ ამაოდ, მისი დამხმარე არავინ აღმოჩნდა.

მის ხელნაწერებში ინახება უსათაურო ლექსი, მიძღვნილი ძველი პარტიული მუშაკის მისამართით, რომელსაც ახსენებს თავის დამსახურებას და სთხოვს სამსახურს, სავარაუდოა, რომ ეს ლექსი მიმართულია ს.აშა გეგეჭკორისადმი, რადგან ამ დროს საქართველოში მას ეკავა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. აი ეს ლექსიც:

„პირველად სალამს მოგიძღვნი,
მერე მოკითხვას ძმურადა,
რევოლუციის ბანაკშიდ
მეც ხო ვწერივარ დგმურადა.

თვრამეტი წელი შენც მიცნობ,
ვყოფილვართ მეგობრულადა.
წითელ ქვეყანას ველირსეთ,
მე დამივიწყეთ სრულათა.

ჩემსა ტანჯულსა ცხოვრებას,
არავინ ისმენს ყურათა,
დავდივარ ლობის გარედან,
თითქოს ვენერო ტურათა.

მითხარით აბა, შაშვენის
ძველ მუშას უსაქმურადა?
ცამეტი კომისარიატი,
შენ ხელში არი, მთელია,

განა ეგრეა, ძმობილო,
ჩემზედ აიღე ხელია?
ერთი პატარა ადგილი,
ჩემთვის კი შამოგელია?

ცუდობისაგან გავმხდარვარ
ხელობით ღვინის მსმელია.
ზამთარსა დახვედრა უნდა
რას მარგებს დელა-დელია?!"

ლექსი სავარაუდოდ დაწერილია 1924 წლამდე, სანამ საშა გეგეჭკორი იმყოფებოდა 13 კომისარიატის („ცამეტი კომისარიატი, შენ ხელში არი მთელია") თავმჯდომარის მოადგილედ. 1924 წლიდან კი ჩამოყალიბდა 11 სახალხო კომისარიატი.

იეთიმ-გურჯს გულწრფელად უყვარდა საშა გეგეჭკორი, 1928 წელს მისი მოულოდნელი სიკვდილის გაგებისთანავე, იეთიმმა დაწერა მის მიმართ ხუთსტროფიანი ლექსი, რომელიც იმხანებში თბილისში საყოველთაო სიმღერად გადაიქცა:

„ჩვენი იყავ და ჩვენი ხარ
შენსა სახელს ქება, ვაშა
იეთიმ-გურჯიც გიმღერის
გეგეჭკორო, ჩვენო საშა".

იეთიმ-გურჯი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყო მწერალ ვასილ ბარნოვის ნათესავთან, ალექსი ბარნოვთან, რომელსაც რამდენიმე ლექსი მიუძღვნა.

იეთიმ-გურჯის გაჭირვებულ ცხოვრებას ადასტურებს ალექსისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ლექსი, რომელიც შენახულია იეთიმის ხელნაწერებში. აი ეს ლექსიც:

„ალექსიჯან ჩემი საქმე
ძრიელ ჭაკად წასულია,
ჯავრისაგან ავადა ვარ
სასო ყელში მოსულია.

რითა ვცხოვრობ ღმერთმა იცის,
ვერავის ვერ გაუგია,
ორი თვეა ცუდადა ვარ,
კაპიკი არ მამიგია.

არ მაქვს ფული, არც თუ თანხა,
ცოტა რამე მოვიტანო,
არც „ვეში“ მაქვს იმნაირი,
გასაყიდად გავიტანო.

ისევ ძმაო, შენ გაიგე,
რაც მაქვს შენთან სათხოვარი,
გაჭირვებაში გვიშველის,
მისთვის გვინდა მეგობარი.

მეც კაცი ვარ, და ვისნავლი,
თუ ვინ გამიმართავს ხელსა,
დაღონებულ გუნებაზედ
ალექსას იეთიმა სწერსა“.

აი, ასეთ მათხოვრულ ცხოვრებაში იყო ჩაძირული ძველი რევოლუციონერი და მას რომ თბილისელი ლამაზმანებისაკენ ვერ ექნებოდა გადატანილი აზრები და სურვილები — ეს ყველამ უნდა იცოდეს.

ლექსში „იეთიმ-გურჯი შენ მოჰკალი“ — პოეტი ჩვეული სინანულით წერს:

„შენ გადიდებ, შენ გლოცულობ,
შენი რწმენის ბერი ვარ,
რა დღიდანაც გაგიცანი,
ჩემი თავის მტერი ვარ,

ღვინით დავალ მოწამლული,
მარტო შენთვის ვმღერივარ,
იეთიმ-გურჯი შენ მოჰკალი,
ცოცხლივ მკვდრებში ვწერივარ“, —

იეთიმი გასაგებად წერს „მარტო შენთვის ვმღერივარო“ ანდა:

„იმღენ ლექსებს დავწერ შენზე,
მთლად მოვფინო მიწის პირიო“.

დიახ, მას სხვა თემა, სხვა საფიქრალი, სხვა სადარდებელი არა აქვს, ამიტომ „ამბობს“ სტალინი: „მოუცლია მარტო ჩემსა თქმაზედაო“.

ყოფილი მეგობრის უყურადღებობით აღშფოთებული იეთიმი წერს:

„ხის გული გაქვს, ქვის ჯიგარი,
და ტვინი აგურისა,
დამიმონე ყმა გამხადე
შენი სიყვარულისა.

მიმიხურე, დამიკეტე
კარი სიხარულისა,
დამავიწყე ღმერთი, რჯული,
რწმენა სამსახურისა".

იმდენად ძლიერია მეგობრისგან ხელის კვრით გამოწვეული ტკივილი, იმდენად მოუშუშებელია ძველი მეგობრისაგან სულში მიყენებული ჭრილობა, რომ იეთიმს აღარ ახსოვს თვით ღმერთი, რჯული და რწმენა სამსახურისა. ამ დროს მართლაც რა სატრფოზეა და მიჯნურზეა ლაპარაკი. ეს ყოვლად წარმოუდგენელია, ეს არსებულ რეალობასთან შეუსაბამობაა.

იეთიმ-გურჯი ლექსში „ჩემ ბედს" ასე ჩივის:

„ახ, ბედო ჩემო, რისთვის შემომწყერ,
პირსა მარიდებ, შორს იარები,
ტანჯვას ჩამაგდე, მწარედ მატირებ,
შორით იცინი, არ მეხმარები.

ობოლს მარგუნე ზედ სიღარიბეც,
თავიც მანებე და მემალები,
წუთისოფელი სულ გამიმწარე,
ნუთუ ჭაბუკი არ გებრალები?!"

იეთიმ-გურჯი ნანობს მასთან შეხვედრის, მისი

გაცნობის დღეს: „შენი გაცნობის დღიდანა ამერია დავთრებიო“.

ანდა:

„კარგი იყო, არ გამეცნე თავიდან,
შუა წყალში გადამაგდე ნავიდან.

ჩემი გული შენ დაკოდე, დახიე,
ხელებს ითბობ, ცეცხლის ალში გამხვიე“.

ანდა:

„ვინ დამწყევლა, ვისი წყევლა ამიხდა,
იეთიმს ცრემლი მეგობარი გამიხდა,
სიმი გაწყდა, მე ჩონგური წამიხდა
ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გამიხდა“.

ანდა: „რაც მომივა შენგან ჩემზე ახია“, — წერს იეთიმი და მიუხედავად ამისა, მაინც ძველ მეგობარს კარგად ყოფნას უსურვებს და ლოცავს:

„იეთიმ-გურჯი გლოცავს იყო მზეშია,
შენ ჩამაგდე საიათნოვას დღეშია“.

აქვე უნდა ითქვას, რომ იეთიმ-გურჯის ეგრეთწოდებული „სატრფიალო“ ლექსები დაწერილია მხოლოდ ერთ პიროვნებაზე. მოყოლებული 1903 წლიდან მის გარდაცვალებამდე 1940 წლამდე და ამ ყველა ლექსს რომ

მოვაცილოთ სათაურები და თარიღები და ვაქციოთ ერთ დიდ გრძელ ლექსად, მას დაერქმევა პოემა, რომლის მთავარი გმირები იქნებიან მხოლოდ ორნი -- იოსებ სტალინი და იეთიმ-გურჯი.

„შენ ჩამაგდე საიათნოვას დღეშიაო“, წერს პოეტი ერთ-ერთ ლექსში და საკითხავია რა დღეში იყო საიათნოვა და რატომ ამსგავსებს იეთიმი თავის მდგომარეობას, საიათნოვას ტანჯვასა და წამებას? პასუხი ასეთია:

საიათნოვა იყო ერეკლე მეფის კარის აშუღი და მეფესთან საკმაოდ დაახლოებული პირი, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ერეკლე მეორე შემოსწყრა და საიათნოვა დაითხოვა სასახლიდან:

„ნეტავ არ გაგეგდე, კარგად გეცემე,
ჩემი სულიერი დედ-მამა ხარო!“, —

დაუჩივლია საიათნოვას.

ასევე იეთიმ-გურჯი იყო სტალინის თანამებრძოლი და მეგობარი, ასევე ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, სტალინი იეთიმს შემოსწყრა და გაერიდა.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში იეთიმ-გურჯს, როდესაც წერდა „შენ ჩამაგდე საიათნოვას დღეშია-ო“...

გადასახლებიდან დაბრუნებული იეთიმი სიყვარულით მიესალმა თბილის-ქალაქს:

„გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული მოვედი“...

ბოლო სტრიქონებში იეთიმი კვლავ იხსენებს თავის ორპირ მეგობარს:

„გაყიდული ორპირ მეგობრისაო
გამარჯობა, იეთიმ-გურჯი მოვედი“.

ორპირ მეგობარშიც ნაგულისხმევია ის პიროვნება, რომლის ამგვარად ხსენებასაც ტაბუ ჰქონდა დადებული და რომელთანაც ღია შებრძოლებას, ბოლშევიკური ეთიკიდან, თავისი პირადი ღირსებიდან და რაც მთავარია „ბრალდებულის“ შეუვალი ლოგიკიდან გამომდინარე ვერ ვაბედავდა და არ იკადრებდა იეთიმი.

ჩვენი კვლევის თემა იმდენად თამამია, იმდენად სენსაციური და იმდენად ტაბუდადებულია, რომ პირადად ჩემთვის, ვისაც ღრმად მწამს და მჯერა ამ მოსაზრების სიმართლე და რეალობა, მიმძიმს ამ დიდებითა და ბრწყინვალებით შემოსილი პიროვნების — დიდი სტალინის შესახებ იეთიმის სიტყვების გამომზეურება და მისადაგება:

„ხის გული გაქვს, ქვის ჯიგარი
და ტვინი აგურისა,
დამიმონე ყმა გამხადე
შენი სიყვარულისა“.

ანდა:

„ბევრი რამ გწერე მოვღალე ჭკვაო,
ვერა გასმინე უყურო თავო,

არ გრძნობ სიკეთეს, გულში გაქვს ქვაო,
ახლა კი უნდა გინერო სხვაო,
ისე გაგმურავ, ვერ გრეცხავს ზღვაო,
უპურმარილო მგელო და სვავო". — და ა.შ.

დიახ, ჩვენ მიჩვეულები ვიყავით სტალინის შესახებ სახოტბო ლექსების მიძღვნას, ვიხიბლებოდით და ვიხიბლებით მისი გენიალურობით, მისი მტკიცე, ბოლშევიკური დისციპლინითა და პირდაპირობის სიდიადით.

„მე ჯარისკაცში გენერალს არ გავცვლიო" —ყველას გვახსოვს ტყვე გენერალ პაულიუსში თავისი ტყვე შვილის — იაკობის გაცვლის მოლაპარაკების ჩაშლის ეპიზოდები.

„დიდი სარდლის — სტალინის სახელი საუკუნეებში იცოცხლებს და ყველაზე საყვარელი იქნება რუსი ხალხის ისტორიაში. მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობით და ახალი ურთიერთობით გაამაყებული, ვისმა დიდებამაც მარტო რუსეთს კი არა, მთელ მსოფლიოს გადაუარა", — წერდა ჩერჩილი. სტალინის შესახებ შემამკობელ ეპითეტებს გამოთქვამდა რაღა ჩერჩილი და რაღა რუზველტი. შემდეგ ტრუმენი და მაო ძე დუნი, დე გოლი და თავად ჰიტლერიც კი. მრავალი ცნობილი და უცნობი პოლიტიკოსი და მოაზროვნე აქებდა და ადიდებდა სტალინის სიბრძნეს და საერთოდ სტალინის პიროვნებას.

ასე ყოველმხრივ ღირსეულ კაცს, რომელიც „მოჩვენებაა პლანეტაზე" იეთიმი საყვედურობს:

„შენ მიზეზით ამრევია დავთრები,
ქრისტიანი გამხდომიან თათრები,

რო გიგონებ ჯავრისაგანა ვთვრები —
იეთიმ-გურჯი ბოლოს შენგან ჩავქრები".

იეთიმ-გურჯის ხელნაწერებში მრავალი ლექსია შემონახული, რომელიც თავის ყმაწვილობის მეგობრის მისამართით არის დაწერილი: ლექსები სავსეა საყვედურით, თხოვნით, ლოცვით, წყრომით და წყევლითაც კი თავისი არეული ცხოვრების გამო, ლექსში „ვინც რო ძიყვარს" პოეტი ეფიცება ძველ მეგობარს, რომ ის ჰყავს სალოცავად და ხატად და ნუ სვამს ნარ-ეკალზე:

„ვინც რომ მიყვარს, იმას ვუმღერ,
აღარ ვწერავ ლექსებს სხვაზე,
რა დღიდანაც გავიცანი,
დავიკარგე სუმთლად ჭკვაზე.

ოდეს ვხედავ ენა მეკვრის,
მონასავით ვუმზერ თვალზე,
ოცნებისა ნავში ვზივარ,
სადღაც მიმაქანებს ზღვაზე.

ერთხელ აღარ მეკითხება,
სიტყვას სევდიანსა ხმაზე:
„ძლიერ წვალობ, მეგობარო,
ეგრე ვინ გწვამს ცეცხლის ალზე?"

და შემდეგ წერს:

„იცან სიყვარულის მონა,
ესე ნუ მსვამ ნარ-ეკალზე,

თვალი შენს გზაზე მიჭირავს
იმის იქით მიწის კარზე,
მომკალ, ანუ შემიბრალე —
ამასა ვწერ პირობაზე".

სწორედ ძველ მიცემულ პირობას ახსენებს და აყვედრის პირობის დარღვევას ლექსში „ბულბულის გალობა მესმა". ბულბულმა პირობა მისცა, რომ სულ იეთიმთან იქნებოდა, მას არასოდეს მოშორდებოდა, რომ ჩვენ მარტო სიკვდილი გაგვყრისო. იეთიმმაც შეიყვარა ეს ბულბული და სალოცავად გაიხადა, მაგრამ მალე მოტყუვდა პოეტი:

„ბულბულის გალობა მესმა,
არ მოშორდა ბაღის არეს,
ტკბილი ენით მომატყუა
და ჩამაგდო ცრემლსა მწარეს.

მიძახოდა შენი ვარო,
ღმერთი-რჯული შემომფიცა,
ჩვენ ვერავინ ვერ გაგვყრისო —
სიკვდილი და მარტო მიწა."

მეც ვიწამე, შევიბრალე,
შევიყვარე სალოცავად,
თურმე გველი ყოფილიყო
და დამიწყო კბენა ავად.

რა დღეშიაც მე ჩამაგდო,
ისე თვითონ გაიხაროს,
იეთიმ-გურჯის კალამს ვეტყვი —
წყევლა-კრულვა მიაყაროს"

ლექსში „მიყვარხარ, გლოცულობ" პოეტი იგივე საყვედურებს უგზავნის ყოფილ მეგობარს, აფრთხილებს რომ პირობის გატეხვა ცუდია, რომ იგი ასდევს ცრუ ენას, და უსამართლოდ სჯის იეთიმს:

„მე შენი ქცევითა დიდად მაკვირვებ,
გდარაჯობ ღმერთივით, შენ კი მატირებ,
რა გიყავ ავობა, სიკვდილს მაპირებ,
ჭრილობას მიმატებ, წამალს მაყვირებ.

იცანი გამჩენი, მაღლა ახედე,
ცეცხლის ალში ვარ, ჩემს გულს ჩახედე,
გამასამართლე, კანონს ჩახედე,
შენი მონა ვარ, იეთიმს მამხედე."

ლექსში „გრცხვენოდეს" იეთიმი კვლავ ახსენებს იოსებ ჯუღაშვილს ჩემი რწმენის ხატი იყავი, მთელი სიცოცხლე შენ განაცვალე და შენ კი ფეხქვეშ გამითელე შრომაო:

„ყმაწვილობით შაგიყვარე,
ჩემსა ღმერთად შენა გთვალე,
ჩემი რწმენის ხატი იყავ,
მთლად სიცოცხლე განაცვალე.

შენი ფონა-ყმა ვიყავი,
ის არა ვარ, რაც ვიყავი,
გიხაროდეს, რაც მიყავი,
რაცა მქონდა გამაცალე.
.....
უცებ გამოგცვალა დრომა,
ფეხქვეშ გამითელე შრომა,
შენ მიყვარხარ, მიწყე წყრომა,
მეც დროს ველი, დამაცალე.

მე გაგზარდე, მტრად მექეცი,
შვილი მამას ყელში მეცი,
ჩემს სახლიდან გაგექეცი,
კმარა, გასნი, გამეცალე!"

თავს უფლებას მივცემ და აღვნიშნავ, რომ სტალინზე ალეგორიულ ლექსებს სხვებიც წერდნენ, სხვებიც უჩიოდნენ მას პირობის დარღვევაზე და ღალატზე. ამ მომჩივანთა რიცხვში ერთ-ერთი მამაჩემიც გახლდათ. იგი ძველი ყაიდის კაცი იყო, მართალი, პატიოსანი, ალალი შრომით ასაზრდოებდა ოჯახს, მამა იყო ფეხსაცმელების ხელოსანი და მთელი სიცოცხლე ეკონომიურად უჭირდა, მაგრამ „არამ ლუკმას ცოლ-შვილს არ შევაჭმევო", — იტყოდა ხოლმე, მამაჩემიც წერდა ლექსებს; მშრომელი ხალხისა და ყარაჩოღელების მოტრფიალეს უყვარდა თბილისელი აშუღი პოეტების სიმღერები და რა თქმა უნდა უპირველესად იეთიმ-გურჯისა. ალბათ, მისი ზეგავლენით და პირადი დუხჭირი ცხოვრების შედეგად წერდა ლექსებს სტალინის მისა-

მარცვით, რა თქმა უნდა ისიც ალეგორიული სახით.
აი, ზოგიერთი მათგანი:

„ძმობა მითხარი, ძმად მიგიღე,
სულმთლად გაგიღე სახლის კარები,
შენ ჩემს ბინაში, მამისეულში
გულარხეინად დაიარები,
თანაც დიდგულობ, მიყურებ შურით,
აღარ მკადრულობ, აივსე ფულით,
მინდა გახსოვდეს ჩვენი გაცნობის წამი,
ერთი პირობა მითხარი, არა თუ სამი“.

ანდა:

„დედა მომიკვდა, დავრჩი ობლადა,
სხვა გავიხადე მერე მშობლადა,
მცირე ხანშია, ამიძულა თვალშია,
გარე-გარე დამატარებს,
აღარ მიშვებს სახლშია,
ლუკმა პურსაც აღარ მაჭმევს,
მაგდებს მონობაშია“.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი მამას ლექსები ანალოგიურია იეთიმ-გურჯის ლექსისა „გრცხვენოდეს“, ისიც უნდა ითქვას, რომ იეთიმ-გურჯის აღნიშნული ლექსი არსად არ დაბეჭდილა, ალბათ, მამას თბილისში ცხოვრების დროს მოუსმენია ეს ლექსი, რომელიც რა თქმა უნდა სიმღერად იქნებოდა გადაქცეული და ალბათ მისი ზეგავლენის შედეგად თვითონაც შექმნა

სიმღერები.

„შენ ჩემს ბინაში მამისეულში
გულარხეინად დაიარები“.

ანდა:

„გარე-გარე დამატარებს,
აღარ მიშვებს სახლშია,
ლუკმა პურსაც აღარ მაჭმევს,
მაგდებს მონობაშია“.

აი, როგორი მსგავსებაა იეთიმის ზემოთ აღნიშნულ ლექსთან:

„მე გაგზარდე, მტრად მექეცი,
შვილი — მამას ყელში მეცი,
ჩემს სახლიდან გაგექეცი.“

მამაც თავის ლექსებში, თუ ჩვენთან პირად საუბარში სტალინის მიმართ საყვედურს გამოთქვამდა პირობის დარღვევაზე, საბჭოთა წყობილების პირველ წლებში პარტიის პროგრამა ითვალისწინებდა, რომ საბჭოთა მთავრობა მხოლოდ კაპიტალისტებსა და მემამულეებს ჩამოართმევდა ქონებას და მშრომელ ხალხს არ დაჩაგრავდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ შეძლებული მშრომელიც მოჰყვა ამ წნეხში, 30-იან წლებში შეძლებულ გლეხობას ძალით ჩამოართვეს საქონელი და მინა და იძულებით გააერთიანეს კოლექტივში, ვინც გაუძალიანდა, მათ კულაკობის იარლიყი მიაკრეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ქალაქში მცხოვრებ ხელოსნებს კი 1935 წლიდან აეკრძალათ კერძო რეწვა, ჩამოართვეს

პატენტები და აიძულეს არტელებში გაერთიანებულიყვნენ, სადაც მცირე ანაზღაურება იყო. — აი, ამ პირობის დარღვევაზე საყვედურობდა მამაჩემი სტალინს და იეთიმის მსგავსად წერდა ალეგორიულ ლექსებს:

„ახ, ტურფავ, ტურფავ, ნეტა იცოდე,
რა რიგად მტანჯავს, შენი თვალები,
შენ ვერ გაიგებ, შორსა ხარ ჩემგან
და თუ გაიგებ — შეგებრალები...“

ანდა:

„საწყალი ხელოსანი ვარ,
დავალ ნახევრად მშიერი,
და ერთგულ მეგობრადა მყავს
ეს ჩემი ძველი შინელი“ და სხვ.

რა თქმა უნდა, ეს ლექსები ეძღვნება სტალინს, მამა ამ ლექსებში უჩივის სტალინის ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელმაც საშუალო ფენა უკიდურეს გაჭირვებაში მოაქცია. თუმცა სტალინი, როგორც ყოველთვის, მართალი იყო, ის ხომ პროლეტარიატის, მხოლოდ მშრომელი, დაჩაგრული ხალხის მამა იყო და მხოლოდ მათ ინტერესებს იცავდა.

მამაჩემი მოცლილობის, ანდა სახლში ფარულად ხელობაზე მუშაობის დროს მთელი გულით, დიდი სიყვარულით, საოცარი ტემბრით მღეროდა საიათნოვას, ჰაზირას, გივიშვილის, სკანდაროვას, იეთიმ-გურჯის და საკუთარ სიმღერებს, რომლებსაც სულგანაბული ვუსმენდით ოჯახის წევრები, შემოსწრებული მეზობლები

და ნათესავები.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ დიდ საიდუმლოსაც მამაჩემმა მაზიარა. კაცმა, რომელმაც იეთიმ-გურჯივით „სკოლის კარები არ იცოდა", მაგრამ ფლობდა ოთხ ენას. ზეპირად იცოდა რუსთაველის, საიათნოვას, გივიშვილის, სკანდაროვას, ბეჩარას, და რა თქმა უნდა, იეთიმის ლექსები. კაცი, რომელიც პირადად იცნობდა იეთიმს, და ზედმიწევნით იცოდა მისი ცხოვრება, მოღვაწეობა და ხასიათი.

როგორც აღვნიშნეთ, იეთიმ-გურჯის შემოქმედების მთავარი თემა არის მშრომელი ადამიანის გაჭირვებიდან დახსნა, მუქთახორების დასამარება და თავისი აწეწილი ცხოვრების მთავარი დამნაშავე პირის იოსებ ჯუღაშვილის მხილება, მხილება რა თქმა უნდა ალეგორიულად, შეფარვით.

იეთიმ-გურჯმა იცის, რომ ამ დიდ საიდუმლოს ვერავის გაუმხელს და ამიტომ თავის ცეცხლში მარტოდ იწვის და იდაგება.

იეთიმ-გურჯის ხელნაწერებში ინახება 1923 წელს დაწერილი ლექსი, რომელიც სტალინთან თავის ურთიერთობას ასახავს, პოეტი ჩივის, რომ „მინდა ვსთქვა და ვერა ვბედავ" ჩვენი დაპირისპირების სახალხოდ მხილებასო, რა წამალიც მე რო მინდა, არ იშოვება და ის ექიმნიც არ არიან, ვინც მე მიშველისო. გასაგები მიზეზების გამო ლექსი იბეჭდება პირველად:

„გულით სიმღერა მწადიან,
ენა შამფურს ამიგია,

მინდა ვსთქვა და ვერა ვბედავ,
ვერაფერი გამიგია.

გულში ვმღერი საიდუმლოდ
პირი კი ვერ გამიღია,
მე ვწერავ და მე ვკითხულობ —
მელნად ცრემლი ამიღია..."

და შემდეგ წერს:

„მხოლოდ ორნი ვართ სოფელში —
სასაფლაოს ქვებსა ვგევართ,
არც ვუბედავ, ვერც მიბედავს —
ორნივ უთქმელადა ვდგევართ."

რა თქმა უნდა გახსნილად საყვედურს ვერ გაუბედავდა იეთიმ-გურჯი იოსებ სტალინს, რადგან სტალინი იმ პერიოდში გახსნილად ებრძოდა ცარიზმის ურჩხულს, გახსნილად ებრძოდა რევოლუციის მტრებს, თეორიულად და პრაქტიკულად ავითარებდა მარქსიზმ-ლენინიზმს, საძირკველს უყრიდა ახალ, მშრომელთა ინტერესების დამცველი სახელმწიფოს დიად შენობას, ხოლო იეთიმ-გურჯი ორთაჭალისა და ავლაბრის დუქნებში, ყარაჩოღელთა სიყვარულით გარემოსილი, ღვინის ჭიქით ხელში, სევდიანად, გულში ჩამწვდომი ჰანგებით ღაღადებდა თავის ჭირსა და ვარამს, აქებდა და ადიდებდა ძმობას, სიყვარულსა და პატიოსნებას. და მართლაც „სად შენა და ვინა მეო" — ეტყოდა სტალინი.

„მაისის თვის ყვავილივით მშვენი ვარ,
იეთიმ-გურჯო, შენთვის ცეცხლის გენი ვარ,
შენ ძია ხარ, მე კი შევარდენი ვარ,
არ დამწყევლო, ბოლოს მაინც შენი ვარ.“

თავისი ცხოვრების გაურკვეველ მდგომარეობაზე გაოცებული იყო და დარჩა მთელი სიცოცხლე იეთიმი. ავტობიოგრაფიულ ლექსებში იეთიმი გვაცნობს თავის რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმის ნინააღმდეგ. გვაცნობს თავისი ბოლშევიკური რწმენის შეუვალობასა და სიმტკიცეს „სამარისა კარამდინა წითელი დროშა მიჭერიაო“ და გაკვირვებულია, რომ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ის ღობის გარეთ დატოვეს, რომ იგი ბედმა ქვეყნად ვერ იპოვა და მის ზღვაში ვერ ჩაატია, და სადაც რომ ვარდი დათესა, იქ ეკალი ამოსულა.

თავისი ყოფილი თანამებრძოლის, საქართველოს შინაგან საქმეთა კომისრის საშა გეგეჭკორის მისამართით დაწერილ ლექსში „ამისთანა გამოცანა“ იეთიმი საშას ახსენებს თავის დამსახურებას რევოლუციურ საქმიანობაში და გაკვირვებას გამოთქვამს, რომ მიტოვებულია უპატრონოდ, წყალში დგას და წყალი სწყურია, და რატომ ხდება ეს ვერ გაუგია:

„ამისთანა გამოცანა
არ ყოფილა ქვეყანაზე
წამების ჯვარს რად ვზიდავდი,
გავიტანჯე ანუ რაზე?

მთლად სიცოცხლე შემინირავს,
ჩვენი რევოლუციის გზაზე,

დღეს კი კაცად არა მთვლიან,
ლამის შავიმალო ქკვაზე.

მგონი, შრომა მეც მიმიძღვის,
არა ბევრი ცოტა სხვაზედ,
უპატრონო ნავისავით,
უსადგუროდ დავალ ზღვაზედ.

ვიღუპები შველას ვითხოვ,
ყურს ვინ მიგდებს გლოვის ხმაზედ,
წყალში ვარ და წყალი მწყურის,
ღმერთი რად არ მოჩანს ცაზე.

კაცი კაცის ნამალია,
ვინც გიშველის გიყვარს ძმაზე
იქნებ საშამ* გამოიცნოს,
როცა იყოს გუნებაზე."

ფონდი 5966-6

ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი პოეტი ქვეყანას შესტირის და გამჩენს ევედრება, რომ მისი წყლულების მკურნალი ექიმი მოძებნოს ამქვეყნად. დღემდე ვერავინ ვერ გამოიცნო მისი დარდები და თავისი დამფასებელი კაცი ვერ გამოჩნდა აქამდე, ვის სახელსაც იგი ადიდებდა, მაგიერად ის გმობს და უწალკო-

---

საშა გეგეჭკორი — ძველი რევოლუციონერი, იეთიმ-გურჯის თანამებრძოლი 1903 წლიდან)

ტო ბულბულივით» ღობის გარეთ ხეტიალობს, ლექსში „დღემდე ვერვინ გამოიცნო“ ყველასაგან ხელნაკრავი პოეტი უკვე ამ ახალ დროებასაც საყვედურობს, რომ მეგობრებმაც დაივიწყეს მისი ღვაწლი და ამაგი:

„მაშ, ამ დროებას რა ვუთხრა,
ლომსა რომ მელაზე მცვლიან,
მე ამ დღესაც მოვესწარი,
ძძები რომ დავთარშიც მშლიან.“

ანდა:

„ახალ ცხოვრების პროგრამის,
ვგონებ, ვიცი ყველა წესი,
დამფასებელ კაცს ვერ ვხედავ,
ეს მანუხებს, ამას ვკვნესი.“

უკვე პროლეტარიატის დიქტატორობის პერიოდში, პროლეტარიატის მომღერალ პოეტს შიმშილისგან სული სძვრება და დამხმარე არავინ ჰყავს, პოეტი ჰყიდის, თუ კი რამ აბადია ოჯახში, რათა ფული იშოვოს, ზოგიერთები დასცინიან კიდეც, რომ „რას წვალობდი, რა გეგონაო“. ასე დამცირებული და ულუკმაპუროდ დარჩენილი იეთიმი წერს:

„არ ვიცი, თუ როგორ მთვლიან,
იქნებ მეცხოს რამე მური,

ჩემი რწმენის ქვეყანაში,
მე არ მქონდეს ლუკმა-პური.

მიკვირს, ჩემს თავს ვეკითხები,
ვინ ხარ, კაცო, სადაური,
რომელ მთავრობას ეკუთვნი,
რომ არავინ გიგდო ყური.

ისევ ჩემი ძველი ბლუზა,
ჭუჭყისაგან ჩახეული,
სამი-ოთხი დღით მშიერი,
ფეხსაცმელი დახეული.

რაცა მქონდა, სულ დავყიდე,
შიმშილით სახლი დავცალე,
ბიბლოთეკა, ლამფა, თეფში,
სუყველა მჭადში გავცვალე...

და ბოლოს წერს:

„ლექსის მუზა როცა მომდის,
შიმშილისგან მეძინება,
პოეტიც ვარ, კომუნისტიც,
მე ჩემს თავზე მეცინება.“

ასეთ გაჭირვებაში ჩავარდნილი პოეტი რომ თბილისელ ლამაზმანებს ვერ გამოეკიდებოდა და მათზე

იმ შედევრება ვერ შექმნიდა, რაც დღეს ჩვენს ხელთაა, ყველასათვის უნდა იყოს ნათელი და გასაგები.

იეთიმ-გურჯის სიყვარულს რომ მხოლოდ მუშა ჰქვია, მის რწმენას რომ მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვება ჰქვია,მის ავადმყოფობას რომ ყმაწვილობის მეგობრის ჩამოშორება ჰქვია და მისი წამალი რომ მხოლოდ ამ ყმაწვილობის მეგობრის — იოსებ სტალინის ენაა — ეს ყველამ უნდა ვიცოდეთ:

„ერთი მე ვიცი და ერთი იმან,
ვინც მე გამხვია ცეცხლის ალშია,
მე ის მომარჩენს, ანდა დამმარხავს,
ან გაღამაგდებს ცოცხლივ წყალშია.

მე რომ სენი მჭირს, ის თითონ არი,
ჩემი ექიმი — მისივე ენა,
იეთიმ-გურჯს წამლად მისი თვალები
და ძელირსება მაშინ მორჩენა.“

პოეტმა იცის, რომ ამ საიდუმლოს გამჟღავნება, მისი განადგურების ტოლფასი იქნება და ამიტომ ვერავის უმხელს თავის დარდებს.

იეთიმ-გურჯის არქივში მიკვლეული ლექსები, რომლებიც დღეს პირველად იბეჭდება, ნათელს ხდის მის ალეგორიულ შემოქმედებას, ფარდას ხდის მის საიდუმლოებას და ჩვენს წინ წარმოსდგება რევოლუციონერი სახალხო მგოსანი, რომელიც ყმაწვილობის მეგობარმა — იოსებ ჯუღაშვილმა შერისხა (ალბათ პროფესიონალ-რევოლუციონერისთვის შეუფერებელი ცხოვრებისათ-

ვის) და მთელი სიცოცხლის მანძილზე იოსებ სტალინს უმღეროდა ალეგორიულ ლექსებს, უმრავლესობას სიყვარულით, ზოგიერთს საყვედურით და ზოგჯერ წყევლითაც კი. „არ დამწყევლო, ბოლოს მაინც შენი ვარო," — სთხოვს სტალინი.

„ვის ვასმინო საიდუმლო გულისა,
გამოიცნოს ჩემი ჩანგის ჟღერანი,
მუდამ გლოვა, კვნესა, ცრემლი, გოდება
ნაღვლის მელნით სევდიანი წერანი."

იეთიმ-გურჯი ადიდებს და აღმერთებს თავის „ორპირ ძეგობარს". მიუხედავად დიდი წყენისა, მაინც უყვარს და მაინც მისთვის ყველა სიკეთე ემეტება:

„თვალებს დამთხრი? ფეხქვეშ ჩაგივარდები,
რა გინდ მტანჯო, უფრო შემიყვარდები."

ანდა:

„ვინაც გშობა ქვეყანაზედ
მთლად შენ მოგცა სილამაზე,
მარტო შენ ხარ მიწა-ცაზე,
მოჩვენება პლანეტაზე."

როგორც აღვნიშნეთ, სტალინის სახე ეს არის იეთიმის პოეზიის მთავარი თემა ალეგორიულადაც და პირდაპირ დაუფარავადაც, მისი ლექსები სტალინის შესახებ, სადაც არ საჭიროებს თავის გულისთქმის დაფარვას, შემკობილია იმ ტრაფარეტული მეტაფორებითა და ჰიპ-

ერბოლებით, როგორსაც მისი თანამედროვე პოეტები უხვად იმეტებდნენ დიდი სტალინისათვის.

„იეთიმ-გურჯი გილოცავთ,
მხიარული დღისა ვარ,
ოცი წელი შესრულდა,
სიხარულის თქმისა ვარ.

სალამი ჩვენს ქვეყანას,
შვილი წითელ მზისა ვარ,
ნამგალ-ჩაქუჩს ვემთხვევი,
მე ორივე ძმისა ვარ."

.....

და ბოლოს:

„ვაშა ჩვენს მეთაურებს,
მხიარული დღისა ვარ!
ჩემი კალმით დარაჯად
იმათ კარებისა ვარ,
ჩემი თავით, ჩემი ხმით
იოსებ სტალინისა ვარ!"

ანდა:

„მსოფლიო მუშის მნათობი
საბჭოთა ქვეყნის მზე არი,
სალამი ძვირფას სტალინსა,
ვულოცავ, წმინდა დღე არი."

და სხვა.

აზრის ალეგორიულად გადმოცემა, ეზოპედან დღემდე, მრავალი მწერალი მიმართავდა, უმრავლეს შემთხვევაში ხელისუფლებისაგან შიშის გამო, დასჯის თავიდან აცილების გამო, ზოგჯერ კი გართობის მიზნით, ზმებით ერთმანეთთან შეჭიდებაში გამოხატავდნენ თავიანთ მახვილსიტყვაობასა და გონიერებას. გავიხსენოთ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავში" ხუმარასა და ორბელიძეს გაშაირება.

საერთოდ აკაკი წერეთელი თავის შემოქმედებაში ხშირად იყენებდა ალეგორიულ ფორმას. რუსეთ-იაპონიის ომის დროს პოეტის სიმპათიები იაპონიის მხარეზე ყოფილა. ლექსში „იავნანა" დედა უმღერის შვილს და ყოველი სტროფის ბოლოში იმეორებს: „ოი, ამას ვენაცვალეო." პირდაპირი გაგებით, ვითომ ვენაცვალე ჩემს შვილსო, მაგრამ სინამდვილეში „ოი, ამას ვენაცვალეო" ავტორი გულისხმობდა იაპონიის ჯარების გენერლის ოიამას მოფერებას, მისთვის კეთილ სურვილებს...

ასევე აკაკის ცნობილი ლექსები „სულიკო", „ღამურა", „ამირანი" და მრავალი სხვა ალეგორიული ფორმით არის დაწერილი.

ალეგორიული ლექსები თანამედროვე ქართულ პოეზიაშიც უხვად მოგვეპოვება. გავიხსენოთ ჩვენი საყვარელი პოეტის მუხრან მაჭავარიანის ლექსების ციკლი ვითომ 1832 წლის შეთქმულთა შესახებ, რომელიც საბჭოთა ცენზურამ აკრძალა და ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა მკითხველთა შორის. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

ალეგორიული ლექსების ფორმას ხშირად მიმართავდა საიათნოვაც. ერთხელ, ერეკლე II-ის სასახლე-

ში მიწვეულ უცხო სტუმრებსან საიათნოვას თურმე ნებადართულზე მეტი ინფორმაცია გაუმჟღავნებია უცხოელებისათვის, რისთვისაც უფროსებისაგან სამართლიანი საყვედური დაუმსახურებია. საიათნოვას ამ საყვედურის გამო უპასუხია:

„სიტყვას ვეტყვი — ვერაფერი გაიგოს,
ოქროს მივცემ — მაგრამ შინ ვერ წაიღოს.“

ე.ი. მას ისე ვესაუბრე, რომ ჩემგან ის საიდუმლოს ვერ შეიტყობდაო. საიათნოვა ხშირად მიმართავდა იგავებით საუბარს:

„არ გეწყინოს, ჩემო კარგო,
სიტყვაშიაც იგავი მაქვს,
რომელ ერთხელ გენაცვალო,
განა რამდენი თავი მაქვს.“ და სხვა.

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცულ იეთიმ-გურჯის ხელნაწერებში არის ლექსები, რომლებიც დღემდე გასაგები მიზეზების გამო არ დაბეჭდილა; აი, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მთლიანად და კარგად ასახავს იეთიმის დუხჭირი ცხოვრების სურათს:

„მე კომუნას ვეკუთვნი,
ძველი პროლეტარია,
ჩემი ბიოგრაფია,
რო აღვწერო მწარეა,

რევოლუციის გზაზედა,
მე ვარ ამაგდარია,
მთლად სიცოცხლე შავწირე
ლხინსა გავეყარია.

ჩვენი დროშა, წითელი,
ყველგან დამიფარია,
ძლივს მეღირსა, გაიღო,
ჩვენი ბედის კარია.

მე მოვესწარ ტანჯული,
ნახევარი მკვდარია,
ენა-პირი გამეხსნა,
სულით მეც მიხარია.

ვიცი, ჩემი ლექსებით,
ბევრსა გაუხარია,
ვინც რო რიგზედ ვერ მიცნობს,
იგი თავი ქარია.

ჩემ ოთახში რა უნდათ,
ვინც რო ჭკვასთან მწყრალია,
სად მწერალის მაგიდა,
სად ქანქაჩი ალია.

ბლიანჩიკსა უთხარი,
სჭედოს ვირის ნალია,
წერვაში ხელს მიშლიან,
გულმა შხამი დალია.

რა სურთ მილიციონერებს,
არ მაქვს მათი ვალია,
რატო არ სჯის კანონი,
კომისარის ბრალია."

კომისარი კი ვინც იყო და ვინც იგულისხმება — გასაგებია, ეს კომისარი იოსებ სტალინია, 1917-1923 ხლებში სტალინი არჩეული იყო ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად. ლექსი დაწერილია 1921 წლის 24 აგვისტოს. ამ დროს ახლად გასაბჭოებულ საქართველოში არასაიმედო, ნდობადაკარგულ პირებს უკვე ზღუდავენ, მათ შორის იეთიმ-გურჯსაც.

„რა სურთ მილიციონერებს,
არ მაქვს მათი ვალია."

მართალია, იეთიმ-გურჯს არ ჰქონდა მილიციონერების ვალი, მაგრამ ამ მილიციონერებს ზემდგომი ორგანოებიდან დავალებული ჰქონდათ იეთიმ-გურჯის კონტროლი და თვალთვალი.

რამდენიმე სიტყვა სტალინის გარეგნულ მახასიათებელ შტრიხებზე, რომელიც იეთიმის ლექსებშია ასახული, იეთიმ-გურჯი, რადგანაც ამოფარებულია სატრფიალო ლირიკას, მოვალეა თავისი ლექსები დატვირთოს ქალისათვის განკუთვნილი ეპითეტებით, მეტაფორებით, შედარებებით და სხვა პოეტური სახეებით. ამიტომაც ლექსში „ღმერთმა მწარე ბედი მომცა" მგოსანი ნატრულობს ისეთ საგნად გადაიქცეს, რომელიც

მას სატრფოსთან უფრო ახლოს ამყიფებს, ამ საგნების ჩამონათვალში ფიგურირებს ქალისათვის დამახასიათებელი ნივთები:

„ნეტა მოხდეს ჩემი თავი,
შენი თითის ბეჭდად იყოს.“

ანღა:

„ანუ ვიქცე კრიალოსნად,
ბროლის თითებითა მთვლიდე.“

ანდა:

„ოქროს საათად მაქცია
ზედ გეკიდო ლამაზ გულზე,
ანუ ვიქცე საყურედა,
ვქანაობდე შენსა ყურზე.“

ამ სურვილებში და ნატვრებში იეთიმს ფარულად შერეული აქვს ნატვრაც:

„სავარცხლად გადამაქცია,
ლამაზ ქოჩორს გივარცხნიდე.“

ქოჩორი მამაკაცის თმის ვარცხნილობაა, ნიკო ჩუბინიშვილის „ქართულ ლექსიკონში“ ქოჩორი ასეა განმარტებული: „მრგულად მოკვეცილთა და გარემო შემოპარსულთა ეწოდების ქოჩორი“, ე.ი. ზუსტად ისეთი

როგორიც სტალინის თმის ვარცხნილობაა, სტალინის ვიზუალურობაში ქოჩორი და ულვაშია დამახასიათებელი, იეთიმი ულვაშის შესახებ ვერ იტყოდა ვერაფერს, ამით მთლად გასცემდა თავის საიდუმლოს, მაგრამ „სავარცხლად გადამაქცია ლამაზ ქოჩორს გივარცხნიდეო" ეს პატარა მინიშნებაა ადრესატზე და ამ სიტყვაზე ცენზურასთან შეეძლებოდა თავის მართლება. ანდა სხვა ლექსში:

„თვალები გაქვს ცაზე ლურჯი,
ეგ ქოჩორი ოქროს ფუნჯი."

მართლაც ოქროს ლამაზ ფუნჯს მოგვაგონებს სტალინის „მრგულად მოკვეცილი და გარემო შემოპარსული ქოჩორი."

ზოგიერთ პიროვნებას, რომელსაც მტკიცედ სჯერა იეთიმის სატრფიალო ლირიკისა, სჯერა, რომ მგოსანი ლამაზი ქალების ეშხით მთვრალი დაიარებოდა თბილისის ქუჩებში, მათ დასარწმუნებლად კიდევ განვიხილავ ერთ-ერთი „სატრფიალო" ლექსის ერთ სტროფს და შემდეგ კი თავად განსაჯოს სიმართლე.

გავიხსენოთ ლექსი „რასტი":

„შენსა სურათს მე ხატად ვატარებდი,
გინათებდი, სანთელივით ვდნებოდი,
შენსა სახეს სულ ყველას ვაყვარებდი,
რა ვიცოდი თუ მე ბნელში ვრჩებოდი."

„შენსა სახეს სულ ყველას ვაყვარებდიო" — ამბობს პოეტი. აბა, წარმოვიდგინოთ ნორმალური შეყვარებული

კაცი, რომელიც ცდილობს, რომ თავისი სატრფო ყველას შეაყვაროს, რა თქმა უნდა, წარმოდგენა შეუძლებელია. ეს მოქმედება ნორმალური შეყვარებულისაგან ან არ ხდება, ანდა თუ ხდება — პირიქით.

შეყვარებულ კავკასიელ, ქართველ მამაკაცს ვერავინ გაუბედავს რომ გამოხატოს თავისი გრძნობები მისი მიჯნურის შესახებ.

აბა, უფრო ელემენტარულად, დაწვრილებით განვიხილოთ ეს მომენტი: შეყვარებული კაცი „სულყველას" ანდა ერთ-ერთ კაცს აცნობს თავისი სატრფოს სურათს და უხსნის: „შეხედე რა ლამაზი თვალები აქვს, შეხედე რა ბაგეები აქვს, რა დიდებული მკერდი აქვს და სხვ. და სხვ. და მოსაუბრეც პასუხობს, რომ მისი სატრფო ნამდვილად ლამაზია, ნამდვილად გადასარეკია და მეც კი შემიყვარდაო, „შენსა სახეს სულ ყველას ვაყვარებდიო" წერს იეთიმი და ნებისმიერი ნორმალური კაცი ასე არ მოიქცევა და ამ სიტყვებს თავის სატრფოს შესახებ არ დაწერს. „სიყვარულსა მალვა უნდაო," — იცის ეს ხალხური სიბრძნე კავკასიელმა კაცმა და თავისი სატრფოს სურათს არავის შეაყვარებს.

ახლა გავიხსენოთ იოსებ ერიშაშვილის ლექსი „რა კარგი ხარ, რა კარგი", ამ ლექსში ასეთი აზრია: შენ რომ ასეთი კარგი ხარ და ქებით ყველა გმოსავს, და ყველა ცდილობს შენს გულში ადგილი დაიკავოს, მე ვეცდები რომ შენ არავის უყვარდე, ყველამ შეგიძულოს და მხოლოდ მე ერთს მეკუთვნოდეო, და შემდეგ იოსებ გრიშაშვილი წერს:

„და ვიტრომაც მე მინდა, რომ ეგ სახე, ლამაზო,
ჩემის ფრჩხილით დავკაწრო, ჩემის კალმით
დავხაზო,

ლოყებზე დაგიჯღაბნო რაღაც უცნაურება,
რომ სარკეშიც შეგზარდეს შენი სახის ყურება.

ძაძინ ბრბო ძყის დაგტოვებს, ბრბო წუთით
ანათრთოლი,
გაგეცლება, როგორც ხეს შემოდგომის
ფოთოლი.

და დამრჩები მხოლოდ მე, ვით სიცოცხლეს
საწუთრო,
და შევიძლებ რომ ერთმა ერთი დაგისაკუთრო,

მხოლოდ ჩემთვის იცოცხლებ, მხოლოდ, მხოლოდ
და მხოლოდ,
და გახდები მგოსნისთვის გამოუცნობ სიმბოლოდ."
და ა.შ.

თავის სატრფოს სხვებისაგან გასამიჯნად იოსებ გრიშაშვილი ამ უკიდურესობას, სახის ფრჩხილებით დაკაწვრას, თავისი სატრფოს სილამაზის შელახვასაც არ ერიდება, ოღონდ კი მოცილეები ჩამოიცილოს გზიდან.

აქედან შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ იეთიმგურჯის სიტყვები: „შენსა სახეს სულყველას ვაყვარებდიო" სატრფოს მიმართ არ არის თქმული.

მაგრამ ბელადის სახეს, ჩვენც ყველანი, იეთიმივით ყველას ვაყვარებდით (ვისაც ნამდვილად უყვარდა

სტალინი) და იეთიმ-გურჯს რომ ნამდვილად უყვარდა თავისი ყმაწვილობის მეგობარი, ვისაც ორი ხელი ემსახურა, ექვი არავის არ უნდა შეეპაროს:

„ვინც მე მიყვარს, მაღლა მიყვარს,
მას ვერასდროს გამაცლიან,
იქნებ მაშინ მომაშორონ,
როცა თავსა მამაცლიან."

ანდა:

„ვინც მე მიყვარს, სამარემდის
მას თავი არ გავანებო,
რა ღღიდანაც შევიყვარე—
გულს მაკრია როგორც წებო,
იმის მეტი არვინ მინდა,
არ იფიქრო სხვა ვეძებო."

ლექსში „დავთმობ ქვეყნის დიდებასა" პოეტი წერს:

„შავ სამარეს ჩამასვენე,
თუ კი ბოლოს ჩემი არ ხარ,
თითონ გამჩენს გეფიცები
წმინდა დროშას, რო მიყვარხარ."

უნდა ვირწმუნოთ, რომ ნორმალური შეყვარებული კაცი თავის სატრფოს არ ეტყვის: „გეფიცები წმინდა დროშას რომ მიყვარხარო" მაგრამ ყოფილი რევოლუციონერი, რომელსაც „მიუხურეს კარი სიხარულისა", რომელიც „გარე-გარე მთვრალი დაიარება", უკვე ზე-

ნიტში მყოფ მეგობარს იოსებ სტალინს კი ნამდვილად ეტყვის „გეფიცები წმინდა დროშას, რომ მიყვარხარო“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, რა თქმა უნდა, მხოლოდ გამგები, დაკვირვებული ადამიანებისათვის.

იეთიმ-გურჯი მთელი ცხოვრება ერთგული დარჩა თავისი პირობისა და ერთგული დარჩა თავისი ყმაწვილობისდროინდელი მეგობრისა.

იეთიმ-გურჯმა თავის ღირსეულ პარტნიორს იოსებ სტალინს ღირსეული ბრძოლა გამოუცხადა, ეს ბრძოლა იყო თავისი „ორპირი მეგობრის“ მხილება სიყვარულის თემას ამოფარებული სიმღერებით, რომელსაც ქართველი ხალხი დიდი გრძნობითა და სიყვარულით მღეროდა და იმღერებს მარადიულად.

საიტერესოა, კრემლამდე, სტალინამდე თუ აღწევდა იეთიმ-გურჯის ლექსები, ალბათ, აღწევდა, ალბათ, წაიკითხავდა მოუცლელი სტალინი, ჩაიღიმებდა და ნამდვილად იტყოდა: „იეთიმ-გურჯო, შენთვის არა მცალიაო“... ვინ იცის...

სტალინი რომ ყოფილ მეგობარს, მასზე უზომოდ შეყვარებულ კაცს ამ ლექსებს შეუნდობდა და აპატიებდა დარწმუნებულნი ვართ:

„თვალებს დამთხრი? ფეხქვეშ ჩაგივარდები,
რა გინდ მტანჯო, უფრო შემიყვარდები“.

სტალინი, მიუხედავად მისი სისასტიკისა და შეურიგებლობისა, ჰუმანური და შემნდობი იყო თავისი ნაცნობებისა და ყოფილი მეგობრების მიმართ, თუ მათი და-

ნაშაული ხალხის, ქვეყნის საწინააღმდეგო ქმედებით არ განიხილებოდა.

სტალინი თავისი პირადული წყენისათვის, არ იკადრებდა ყოფილი მეგობრისა და ცხოვრებისაგან ნატანჯი ადამიანის განადგურებას.

გავიხსენოთ ერთი ინცინდენტი, რომელიც სტალინს შეემთხვა 1926 წელს თბილისში ჩამოსვლისას. მას შემთხვევით შეხვედრია ძველი ნაცნობი, ყოფილი მეწისქვილე მოხუცი ოსია. სტალინი მისალმებია, მოუკითხია: „როგორ ხარ, ოსია ძია, როგორ ცხოვრობო". მოხუცს ვერ უცვნია სტალინი და უპასუხია: აბა როგორ ვიქნები, წისქვილი ჩამომართვეს და მშიერი დავდივარ — მე რომ სტალინის დედაო... — შეუგინებია მოხუცს.

სტალინს თავისი დედისთვის ღიმილით უამბია მოხუც მეწისქვილესთან შეხვედრისა და შეგინების ამბავი და შემდეგ იქვე დაუვალებია ადგილობრივი ხელისუფლებისათვის: „მოხუცი არ დასაჯოთ და საარსებო საშუალება გამოუნახეთ რამეო".

მისი დავალება რომ შესრულდებოდა, უდაოა.

მეორე-მესამე დღეს კეკე შეხვედრია მეწისქვილეს და უსაყვედურია:

— ჩემი ბიჭისათვის რად შეგიგინებიაო?

— რას ამბობ, კეკე, შენს ბიჭს როგორ გავლანძღავდიო, — უარი უთქვამს შეშინებულ მოხუცს.

— რაღა როგორ გალანძღავდი , გუშინ შეგხვედრია, მოუკითხიხარ და შენ კი შეგიგინებიაო.

— ის შეჩვენებული, თუ თვითონ სოსო იყო, რატომ არაფერი მითხრაო, — გამოტეხილა მოხუცი.

ეს იმაზე მეტყველებს, რომ პირად წყენას სტალინი

იეთიმსაც აპატიებდა და მეწისქვილესაც, მაგრამ სახალხო საქმეში მცირე დანაშაული, ნურას უკაცრავად, მისგან არავის ეპატიებოდა.

გავიხსენოთ 1937-38 წლის სისხლიანი განუკითხავობის დღეები, რომელიც ხრუშჩოვის მსგავსმა არაკაცებმა მთლიანად სტალინს მიაწერეს.

1937-38 წლების სისხლიანი, რევოლუციური წმენდის მთავარი ავტორი ნამდვილად იოსებ სტალინი იყო, მაგრამ ის არ იყო ავტორი ათასობით უდანაშაულო, პატიოსანი მოქალაქის ლიკვიდაციისა და შორეულ ციმბირში გადასახლებისა, ამ მავნებლურ დანაშაულს სჩადიოდნენ ის ტროცკისტული ძალები, რომლებიც სტალინმა სამართლიანად ჩამოაცილა ქვეყნის მართვის სადავეებს და ცხოვრებასაც. მათ სურდათ და თავიანთი მოქმედებით კიდევაც მიაღწიეს იმას, რომ მილიონობით საქმეში ჩაუხედავი ადამიანისათვის, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ, სტალინი ჩათვლილიყო 1937-38 წლების უსამართლო, არაადამიანური ძალადობისა და ტერორის ავტორად.

რატომ არ ფიქრდებიან ასეთი მოაზროვნე ადამიანები — მაშ, რაღას საქმიანობდნენ ტროცკისტები? ასობით და ათასობით დასჯილი ნამდვილი მავნებლები? ქართული კინოფილმის „მონანიების“ მთავარი მოქმედი გმირის ათასობით პროტოტიპი არავიძეები? ათასობით ყვარყვარეები? ათასობით ჯაყოები? და სხვა მრავალი. დიდ საბჭოეთის ქვეყანაში ერთი სტალინი რომ ყველა ბოროტებას და უსამართლობას უცებ ვერ აღმოფხვრიდა, ხომ უნდა გვჯეროდეს?!

საბჭოთა სახელმწიფოს მარშალი ს. ტ'ეხაჩევსკი, საბჭოთა ჯარების სარდლები ი. იაკირი, მ. უბორევიჩი, ვ. პრიმაკოვი, სამხედრო ატაშე ვ. პუტანა სასამართლო პროცესზე არა მხოლოდ ნანობდნენ თავიანთ დანაშაულს, არა მხოლოდ პატიებას ითხოვდნენ სასამართლოსგან, არამედ თავიანთ გამოსვლებში ხაზს 'უსვამდნენ იოსებ სტალინის კეთილშობილებას და მის სამართლიანობას მათ მიმართ.

„თავს არ ვიმართლებ — თქვა თავის ბოლო სიტყვაში უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილმა სარდალმა ი. იაკირმა — ვიცი, მართლმსაჯულება ეშაფოტისაკენ მიმიჩენს გზას... და ამ გზაზე მიმავალი გავიმეორებ იმას, რაც მრავალჯერ მითქვამს: გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, დიდ სტალინს".

როგორ ჰგავს ეს სიტყვები იეთიმ-გურჯის ლექსის სტრიქონებს:

„მკლავებს დამჭრი, თვალებს დამთხრი,
ამომგლიჯო პირში ენა,
რაც გსურს, მიყავ, კარგად იყავ,
მხოლოდ იცოცხლევი შენა."

ანდა:

„თვალებს დამთხრი? ფეხქვეშ ჩაგივარდები,
რაგინდ მტანჯო — უფრო შემიყვარდები."

1938 წლის 2 მარტს უმაღლესმა სასამართლომ განიხილა ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას, კრესტინსკის, რაკოვსკის, როზენჰოლცის და სხვათა — სულ 22 კაცის დანაშაული, რომელთაც ბრალად ედებოდათ სახელმწიფო ღალატი, დივერსიები, მავნებლური საქმიანობა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების მოშლა, შპიონაჟი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სტალინს მრავალჯერ აცნობეს მათი მოღალატური ქმედების შესახებ. მაგრამ სტალინი არ აჩქარებულა. ამხანაგებს ურჩევდა კარგად შეესწავლათ საკითხი, არ მიეღოთ ნაჩქარევი გადაწყვეტილება. სტალინი პირადად დიდ პატივს სცემდა ბუხარინს, როგორც განათლებულ, მტკიცე ბოლშევიკს. მან რამდენჯერმე დააბრუნა საქმე ძიებაში, მას არ სურდა ბუხარინი, თავისი თანამებრძოლი, სამსჯავროს წინაშე რომ წარმდგარიყო, მაგრამ ფაქტები უტყუარი აღმოჩნდა, ბუხარინმა შემდეგში თვითონვე აღიარა დანაშაული, რომელიც ჩადენილი იყო ქვეყნისა და სტალინის წინააღმდეგ.

ამით იმის ახსნას ვცდილობთ, რომ სტალინი არ იყო ტირანი და ქვეყნის უსამართლო მმართველი. იგი მთელი თავისი ადამიანური შესაძლებლობების ფასად იბრძოდა მშრომელი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, ძლიერი სახელმწიფოს აშენებისათვის, მსოფლიოს პროლეტარიატის მხარდაჭერისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის, და ეს ყველაფერი ამ პიროვნებამ შესძლო საკუთარი პირადობის უკანა პლანზე დაყენებით, საკუთარი ოჯახის, საკუთარი შვილების ფუფუნებაში ცხოვრების

უარყოფით.

მისი უბრალოების და კეთილშობილების შესახებ გავიხსენოთ კიდევ ერთი ეპიზოდი. „მთავრობის ერთ-ერთი წევრის დაბადების დღის ზეიმიდან თავიანთ სახლში დაბრუნებული სვეტლანა და ვასილი მოწყენილები ყოფილან. სტალინს მოწყენის მიზეზი უკითხავს შვილებისათვის. სვეტლანას არ დაუმალავს და უთქვამს, რომ იმ ზეიმზე ყველას ძვირფასი ტანსაცმელი ეცვა და სუფრაც მდიდრულად ყოფილა გაწყობილი, ხოლო ისინი უბრალო ტანსაცმლით იყვნენ მისული და ამიტომაც ყოფილან მოწყენილები. სტალინს სვეტლანა ფანჯარასთან მიუყვანია, რომელიც პირდაპირ ქუჩას გადაჰყურებდა, მიუთითებია ქუჩაში მოსიარულე ხალხზე და უთქვამს გოგონასათვის: ჩვენ მაშინ ჩავიცვამთ მდიდრულად, როდესაც ეს ხალხი იქნება მდიდრულად ჩაცმულიო" — აქ ყველაფერია ნათქვამი — სტალინს პირადი ცხოვრება ხალხის ცხოვრებასთან ჰქონდა გაიგივებული.

ასეთი ეპიზოდები ხომ უამრავია ბელადის ცხოვრებიდან, ამით იმის დადასტურება მინდა, რომ სტალინს თუნდაც სცოდნოდა იეთიმ-გურჯის ლექსების რეალური მნიშვნელობა, მაინც არ დასჯიდა მასზე უზომოდ შეყვარებულ პოეტს და ალბათ, გაითვალისწინებდა მის რევოლუციურ წარსულსაც.

ამრიგად, იეთიმ-გურჯის შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლით დგინდება, რომ მისი ლექსები დაწერილია არა სატრფიალო, სამიჯნურო თემაზე, როგორც ეს დღემდე არის აღიარებული, არამედ მისი ლექსები შექმნილია პოლიტიკურ, ავტობიოგრაფიულ საკითხებზე და მის ლექსებში ქალის, სატრფოს სახე საერთოდ

არ არსებობს.

მისი ყოველი ლექსი ავტობიოგრაფიულია, პოლიტიკურია, ეს უნდა დამტკიცდეს და დაკანონდეს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, იეთიმ-გურჯის შემოქმედების შესწავლისათვის. იეთიმის ლექსები სამიჯნურო სამოსელშია გახვეული ზოგ-ზოგისა და ცენზურის თვალის ასახვევად. მისი ცხოვრება კი ერთი მთლიანი პოლიტიკური ტანჯვის ხიგნია, სადაც ქალზე, მიჯნურზე საუბარიც კი სათაკილო და სამარცხვინოა.

„ნეტავ ის დღე როდის გამითენდება
უსამართლოდ ცრემლი აღარ მღიოდეს“,

ანდა:

„წერით, მღერით დავიღალე
მარტო შენთვის მამიცლია,
შენთვის კალამი გავცვითე,
და მელანი დამიცლია.

რაც რომ შენზე ვიგალობე,
ენის ტყავი ამიცლია,
შენი გული ქვა ყოფილა,
ჩემ გზაზედ ვერ შამიცვლია.“

იეთიმ-გურჯი მხოლოდ ერთი პიროვნების, ერთი რწმენის შესახებ წერდა ლექსებს და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა:

„შენ გადიდებ, შენ გლოცულობ,
შენი რწმენის ბერი ვარ,
რა დღიდანაც გაგიცანი —
ჩემი თავის მტერი ვარ.

ღვინით დავალ მოწამლული,
მარტო შენზე ვმღერივარ,
იეთიმ-გურჯი შენ მოკალი —
ცოცხლივ მკვდრებში ვწერივარ."

დიახ, ასეთი დარდიანი და უიმედო იყო იეთიმ-გურჯის მთლიანი ცხოვრება და შემოქმედება, რომელსაც რკინის ხელითა და შეუვალი ნებით მართავდა ძისი „ყმაწვილობის მეგობარი", ამ პლანეტის „საოცრება" და „მოჩვენება" — იოსებ სტალინი.

იეთიმ-გურჯი

ლ ე ქ ს ე ბ ი

გთავაზობთ იეთიმ-გურჯის მხოლოდ
რევოლუციურ და იოსებ სტალინის მისამართით
პირდაპირ და ეადატანითი მნიშვნელობით
დაწერილ ლექსებს.

ლამაზებზე მეტად მიყვარს

ბევრი მეტყვის სიყვარულზე
არ იციო ლექსის წერა,
თქვენ რომ ამბობთ, მართალი ხართ,
მე რომ მკითხოთ, არა მჯერა.

მე რა მიყვარს, რას ვლოცულობ,
ან რა არის ჩემი ვალი,
ჩემი წმინდა სიყვარული,
ჩემი რწმენა, იდეალი.

ჩემისთანა სიყვარული
რო ვიცოდე, თქვენში არი.
მე რომ მიყვარს, მერე ვინა?
ჩვენი მუშა-პროლეტარი.

მას ეტრფის და მას უმღერის
ეს ტანჯული ჩემი გული,
ცეცხლთან იბრძვის, ჩაქუჩს ურტყამს
ჩემი მუშა გამურული.

ლამაზებზე მეტად მიყვარს
მუშის ოფლი ჩამოსული,
ხელის ტყავი, ვით „პადოში“,
და ზედ სოკო ამოსული.

ცოლ-შვილს სტოვებს, წამოხტება,
საყვირის ხმა ეყურება,
გამურული ტანსაცმელით
სამუშაოდ ეშურება.

თანაც შრომობს, თან ოცნებობს,
თან თავის ბედზე ღიღინებს,
იმედი აქვს, რომ დრო დაჰკრავს,
ვუშების წყაროც იდინებს.

მიყვარს, როცა დიდ მიტინგზედ
პროლეტართა ჯარი ღელავს,
ტრიბუნაზე ჩემი მუშა
სიტყვას ამბობს, ქუხს და ღელავს.

იეთიმ-გურჯის სიყვარულსაც
მუშა ჰქვია, მართლად ვთვალე.
ცოცხალი ვარ, მას ვუმღერი,
მოვკვდე, მუშას ვენაცვალე.

მუშას უფრთხილდით

მუშის სისხლით მაძღარნო,
დღეს რომ ხარობთ რთველშია,
მუშას უფრთხილდით, ერიდეთ,
ნუ სჩაგრავთ ყველაფერშია.

მუშა — რკინისებრ მაგარი,
თქვენ კი უბრალო ლეშია,
იცოდეთ, უცებ აღსდგება
და გაიშლება წელშია.

მიანგრ-მოანგრევს, დალეწავს,
რაც რომ მოხვდება ხელშია,
მზის სხივი მასაც ენატვრის,
კმარა, რაც იყო ბნელშია.

1903 წ.

დაკარგულ ქვეყნის დიდებასა

ღავთმობ ქვეყნის დიდებასა,
ჩამოვივლი კარდაკარად,
ყოველ დილით შენ სახლის წინ
ხელს მოვიშვერ მათხოვარად.

შენ ხარ უკვდავების ვარდი,
შენი სუნისთვისა ვკვდები,
პეპელად გადავიქცევი,
საცა იყო — მოვფრინდები.

შავ სამარეს ჩამასვენე,
თუკი ბოლოს ჩემი არ ხარ.
თითონ გამჩენს გეფიცები,
წმინდა დროშას, რო მიყვარხარ,

შენთვის კალამს არ დავაგდებ,
ცრემლითა ვწერ, შენთვის ვტირი,
მე იმდენ ლექსს დავწერ შენზე,
მთლად მოვფინო მიწის პირი.

მეეზოვედ გადვიქცევი,
ხელთ დავიჭერ ცოცხის კონას,
ყოველი დღე კარს გიგვიდე,
მნახულობდე, როგორც მონას.

მაღლა ცაში გავფრინდები
და იქიდან ვითხოვ შველას,
მთელ ქვეყანას დავუყვირებ,
შავაბრალებ თავსა ყველას.

ღმერთმა მისთვის გაგაჩინა,
რო შეიქმნე კაცის მკვლელად?
ფრინველებს ნერიოლს გავატან
გამჩენელთან საჩივლელად.

რად გამიცან სულ პირველად,
რისთვის მომე მტკიცე ხელი?
მილალატე, გახდი სხვისა,
რად შაიქენ გამყიდველი?

რად ივიწყე შენი ფიცი,
რაზედ გახდი ჩემი მტერი?
ორი წელი გემსახურე,
ბოლოს თავი რად მომჭერი?

მე შენს მეტი არვინ მინდა,
იცან ღმერთი, შემიბრალე;
სანამ ქვეყნად ვიარები,
იეთიმ-გურჯი გენაცვალე!

1903 წ.

უქმად რას ზიხარ, ძმობილო

უქმად რას ზიხარ, ძმობილო,
და რას შესცქერი სხვასაო,
ეს ხიდი საერთო არის,
რო აკეთებენ გზასაო.

იქ ჩაუყრიათ ძვალები
საძირკვლად ჩვენსა ძმასაო;
რამდენი მსხვერპლი მოუნდა
ამ საშინელსა გზასაო.

და ერთი ძვალიც რომ შენი
იქ მიემატოს ასსაო,
მეტი სიმაგრე ექნება
და დავამთავრებთ გზასაო.

სახელი ძეგლად დაგვრჩება,
ვიხსენვით მომავალსაო,
ჩვენსა ძმებსა და შვილებსა
თუ დავუტოვებთ გზასაო.

ქვეყნად ჭაობებს დავაშრობთ,
და მოვესწრებით ხსნასაო,
თავისუფლადაც გავივლით
არსად დავტოვებთ ხრამსაო.

დრო არი თვალი გააღო,
ნუ ედარები ბრმასაო,
საით მიდიან მშრომელნი,
შენც მიჰყე იმათ გზასაო.

მე შენ გიყვირებ, ძმობილო,
შენც გადაეცი სხვასაო,
რაძდენიც ბევრი ვიქნებით —
მალე გავიყვანთ გზასაო.

მაშ, არ ჩამორჩე, ძმობილო,
და ნუ დაჰკარგავ ხმასაო,
გინდ მოკვდი, არ გადუხვიო
ჩვენსა დაწყებულ გზასაო.

ისმინე, ყური დაუგდე
იეთიმ-გურჯის თქმასაო,
თუ რომა გინდა ელირსო
ახალ ცხოვრების გზასაო.

ბაქო, 1905 წ.

შენა გთხოვ შველას

არა ვარ ჭკვაზე, როგორც რომ გემი
მღელვარედ ზღვაზედ;
მე შენ მიყვარდი, მარტო შენ მყავდი
მთელ ქვეყანაზე.

მხოლოდ შენ ერთი მწამდი, ვით ღმერთი.
მიწა თუ ცაზე,
დავკარგე სმენა, დამიდგა ენა,
ვტირი ჩემს თავზე.

შენა გთხოვ შველას, ვებრალვი ყველას,
შენც გახველ განზე!
რისთვის დამტოვე და მიმატოვე
უნიჩბოდ ნავზე?

შენ გენაცვალე, სიტყვა მაცალე,
მიწყრები რაზე?
სად წაიკითხე, არ დამეკითხე,
გამცვალე სხვაზე!

შენ დაიბრალე, თუ მნახო მალე
სამარის კარზე;
ისმინე თხოვნა, მაკმარე გლოვნა,

მიცანი სმაზე.
ცრემლი მადინე, შენ გაიცინე,
თავს ვახლი ქვაზე,
იქნებ იფიქრო, დღე არ გამიქრო,
მოხვიდე ჭკვაზე,

და შამიბრალო, შამომითვალო,
— ვარ გუნებაზე!
რაც ვქენი, ვქენი, ეხლა ვარ შენი,
იეთიმის გზაზედ!

1919 წ.

მეგობარს ვერსად იპოვნით

მეგობარს ვერსად იპოვნით
ამ ვერან ქვეყანაზედა,
მაშინ ბევრი გყავს ძმაკაცი,
როს სწორედ დგახარ გზაზედა,
ყველას უყვარხარ, გაქებენ,
და გევლებიან თავზედა,
თუ ფეხი გადაგიბრუნდა
და შეცდი რაღაცაზედა,
პირს იბრუნებენ ყველანი,
გაგიდგებიან განზედა.

1915 წ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ, ᲩᲔᲛᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲝ

გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული მოვედი.

მთაო, წმინდავ, მამა დავითისაო,
შენ, დარაჯო ქალაქ თბილისისაო,
წმინდა მიწავ, უკვდავ მწერლებისაო,
მათ საფლავზე სალოცავად მოვედი.

ჩვენო ციხევ, ძველო ნარიყალაო,
საქართველოს ძველო მკვიდრო ძალაო,
შენი შვილი პოლშის ციხემ მმალაო,
სისხლგამშრალი საჩივლელად მოვედი.

დიდო ზარო, ჩვენი სიონისაო,
ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო,
ჩვენო მტკვარო, ძმაო რიონისაო,
ნაწამები საბანაოდ მოვედი.

ძმანო ჩემნო: ჰაოს, ქართლოსისაო,
გატანჯულსა მიცნობთ დიდი ხნისაო,
გაყიდული ორპირ მეგობრისაო,
გამარჯობათ! იეთიმ-გურჯი მოვედი!

ნეტავ ბოლო როდის უნდა მოეღოს

ნეტავ ბოლო როდის უნდა მოეღოს,
რომ ეს გული მე აღარა მტკიოდეს,
ნეტავ ის დღე როდის გამითენდება,
უსამართლოდ ცრემლი აღარ მღიოდეს.

წამების გზა როდის უნდა გათავდეს,
ცოდვის შვილმა ერთხელ კაცად ვიარო,
სად ვიპოვო ჩემი დარდის გამგები,
ჩემი სევდა ძმურად გავუზიარო!

ვისა ვთხოვო, რომ ჩემს ბედთან
გამყაროს,
სამუდამოდ მოვრჩე იმ უსამართლოს,
ახ, სად არის მართლმსაჯული სუდია,
ჩემი ბედი ჩემთან გაასამართლოს.

ვის ვასმინო საიდუმლო გულისა,
გამოიცნოს ჩემი ჩანგის ჟღერანი,
მუდამ გლოვნა, კვნესა, ცრემლი, გოდება,
ნაღვლის მელნით სევდიანი წერანი.

სულ წამებას მოკვდეს კაცი, სჯობია,
სამუდამოდ მორჩეს და მოისვენოს,
მარად იყოს სამარეში დებული,
განუტევოს სული და განისვენოს.

რისთვის ჭინდა მე ის მოძმე

რისთვის მინდა მე ის მოძმე,
კარგა ვიყო, მკოცნოს პირში
როცა საქმე გაბრუნდება,
არ მიკითხოს გასაჭირში.

მეგობრები ბევრნი მყვანან
ქორწილშია ანუ ლხინში,
ვენაცვალე იმ მეგობარს,
ვინც გამომადგება ჭირში.

ჰე, კაცო, ფასი იცოდე,
ქუდი რომ დაგიხურია,
ყველა თანაბრად გიყვარდეს —
ქართველი — სომეხ — ურია.

ყველას სიკვდილი მოგველის,
რად გინდა იყო მშურია.
კაცურად ვინც არ მოიქცეს,
იეთიმ, ნაუსვი მურია.

1917 წ.

ყველა მოკვდება, რაცა ჩანს

ყველა მოკვდება, რაცა ჩანს,
უკვდავი უხილავია.
რასაც კი თვალით ვიხილავთ,
სულ ყველა წასავალია.

სიცოცხლე ტყვეობა არის,
ესე ქვეყანაც — გალია,
დარაჯად გვიდგა სუყველას
თითო სიკვდილის თვალია.

ვერვინ გაიგო ჯერეთა,
გამჩენი ვინ უფალია
და ვინ ბატონობს სამყაროს
ანუ რომელი ძალია?..

ჰაერი მიუწვდომელი,
არა აქვს ბოლო, თავია,
ჩვენი ქვეყანაც ჰაერში
მიჰქრის — პატარა ნავია.

ისეც ჩავქრებით სწრაფადა,
რად გინდა თოფი, ხმალია.
უნდა ძმურადა ვცხოვრობდეთ
გრიქულ, ივანე, ალია.

კეთილი საქმე ვაკეთოთ,
ქვეყანა შესაბრალია,
ზავი, მშვიდობა, ერთობა,
იეთიმ, თქვი, ვისი ვალია...

კაცი მეგონე

კაცი მეგონე, გველი ყოფილხარ
და კაცის ტყავში გამოხვეული,
კაცი მეგონე, მაგრამ მოვტყუვდი,
ქვეშმძრომელი ხარ და გამყიდველი.

გარედან სადა, შიგხიდან ჭრელი,
გული ეესლით გაქვს ამოვსებული.
ამხანაგო, — თანაც მეძახი,
პირზე ბადე გაქვს აფარებული.

რატომ არ გინდა, რომ კაცი იყო,
გესლიანობას ანებო თავი,
სიყვარულს სთესდე ამქვეყნად მარად,
რომ არ დასტოვო სახელი ავი.

პატიოსნება მაღლა ვაყენოთ,
ძმურად ვიცხოვროთ ამ სოფლად ყველამ,
ვინ რა ნაიღო საიქიოში,
რომ შენ წაიღო გველმა და მელამ.

ვათრაცი

ზოგს საწყინოდ დარჩება,
მე რომ დამიწერია,
სიმართლისა მოამბე
ყველა თავის მტერია,

ძე კი ჩემსას დავიწყობ,
თუ ხალხსაც ეყურება,
უკაცრავად იმათთან,
ვინც რომ დამემდურება.

ვინცა სტყუის, გავმურავ,
მე არ ვიცი მელობა,
ჩემთვის ყველა ერთია,
რას მიქვია ფერობა.

მუშა გლეხის შვილი ვარ,
ხელობად მაქვს მწერლობა,
საქვეყნოდ გავაშავებ, —
ვისაც ზნეთ აქვს გველობა.

რასაც ვნატრობდი, მოვესწარ

რასაც ვნატრობდი, მოვესწარ,
ძლივს გავახილე თვალია,
ღაინგრა მეფის მთავრობა,
ვარ სიხარულით მთვრალია.

ჩემი სიცოცხლე შევნირე,
არ დამიზოგავს თავია,
ეხლა „მაღარიჩს" მივირთმევ,
ჩვიდმეტი წლისა თავია.

დავბერდი უცოლშვილოდ
და აღარ მეტრფის ქალია,
ღვინო მავიწყებს დარდებსა,
სულა ვქორწილობ მთვრალია.

ღვინო და დროშა ორივე,
ერთფერ წითელი ლალია,
დროშა მომავალს დავუთმე
და მოვიხადე ვალია.

მე ფულთან ცნობა არა მაქვს,
არც მაქვს ვისიმე ვალია,
სიმღერას ვუქმნი მუსიკას,
და იმითა ვარ მთვრალია.

1934 წ.

ციხე საკნად აღარ არი

თექვსმეტი წელი შესრულდა,
რაც მოისპო მეფის გვარი,
საქართველოს ზეიმია,
მოკვდა მეფე, აღარ არი.

ჩვენი ქვეყნის ტაძარ-ძეგლსა
დღე უთენდა გასახარი,
უხაროდეს ძველ მეფესა,
ციხე საკნად აღარ არი!

ვინც რომ ისხდნენ ხუნებშია —
ხალხის მოძმე ამაგდარნი,
იქ შენდება მუზეუმი,
საპყრობილე აღარ არი.

გაუმარჯოს მებრძოლ ხალხსა,
ჩამოიღეს რკინის კარი.
საქართველოს საპატიმრო
ღღეს მეტეხი აღარ არი.

სალამს ვუძღვნი ქალაქ თბილისს
იეთიმ-გურჯი პროლეტარი!
ციხეს ამნისტია მოხდა,
ის ტუსაღად აღარ არი.

ვინ დამწყევლა

სიყვარულო, ვინ რა იცის, რა ხარო,
უხილავი სატკივარით ბრმა ხარო,
ღამიღამდა, გული რითღა ვახარო,
ისღა დაძრჩა, თავი ქვაზე ვახალო.

გამიფრინდა ვიზედაც რომ ვხარობდი,
მთელ სიცოცხლეს იმისათვის ვწვალობდი,
იმის გამო მთელ ქვეყანას ვყვარობდი,
აღარა ჩანს, ვიზედაც რო ვგალობდი.

ვის სწამს ღმერთი, რომელს შევებრალები,
შველას ვითხოვ, ტანჯვის მახეს გავები,
დაძიბნელდა მთვარე და ვარსკვლავები,
გზა მიჩვენეთ, აღარ მიჭრის თვალები.

ვინ დამწყევლა, ვისი წყევლა ამიხდა,
იეთიმს ცრემლი მეგობარი გამიხდა,
სიმი გაწყდა, მე ჩონგური ნამიხდა,
ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გამიხდა.

1918 წ.

ჩემს ბედს

ახ, ბედო ჩემო, რისთვის შემომწყერ,
პირსა მარიდებ, შორს იარები,
ტანჯვას ჩამაგდე, მწარედ მატირებ,
შორით იცინი, არ მეხმარები.

ობოლს მარგუნე ზედ სილარიბეც,
თავიც მანებე და მემალები,
წუთისოფელი სულ გამიმწარე,
ნუთუ ჭაბუკი არ გებრალები?!

დამანატრულე თავისუფლება,
ყველგან დამიხშე ლხინის კარები,
მახეს გამაბი, არც ის მაკმარე,
ღობეთ მომავლე ეკალნარები.

რა მქონდა ბრალი, წამებას მიმე,
რაზედ მომიდე ტყვილად შარები,
ფრთა შემაკვეცე, სანთელიც მიქრე
და მომიტანე წყლულ-იარები.

რაც დავწერე

ქვეყანაზე ბედნიერად
ჯერ არავის უცხოვრია,
ეს სოფელი ყველასათვის
ცუდი, ყალბი სასწორია.

რაც დავნერე, დამერწმუნეთ,
არ გეგონოთ თქვენ ჭორია,
და, თუ მე რამე დამაკლდა,
გითხრობთ ქართლის ისტორია.

თვალები გაქვს ცაზე ლურჯი

დაილოცოს გურჯისტანი,
კაი შვილების მომყვანი,
შენი გამზრდელი აკვანი,
ვინც შეგიმკო კოხტა ტანი.

რომელ დედამ გითხრა ნანა,
რა თითებმა აგიყვანა?
ცხონდეს მომნათლავიც თანა,
კიდევ შობონ შენისთანა,

ვინაც გშობა ქვეყანაზედ,
მთლად შენ მოგცა სილამაზე.
მარტო შენ ხარ მიწა-ცაზე,
მოჩვენება პლანეტაზე.

ბრილიანტი სარ, დიდ ზღვისა,
ანგელოზი — მაღლა ცისა.
თაიგული — სამოთხისა,
ხელმწიფე ხარ ამქვეყნისა,

თვალები გაქვს ცაზე ლურჯი,
ეგ ქოჩორი ოქროს — ფუნჯი,
ხუ ხარ ქვიტკირისა ბურჯი,
შეიბრალე იეთიმ-გურჯი.

ცივ ზამთარი უსახლკაროდ

ცივ ზამთარი უსახლკაროდ
სიცივეში გავატარე,
გაზაფხულსა მოველოდი,
იმაზე ცუდს შევეყარე.

მზეს ველოდი, მის მაგივრად,
ვხედავ, მთვარე გამოსულა,
სადაც რომ ვარდი დავთესე,
იქ ეკალი ამოსულა.

მე მაისი მარტად მექცა,
მერცხლის ადგილს ჩხავის ყვავი.
გაღმა გასვლას ვაპირებდი,
მაგრამ ჩამეძირა ნავი.

ბულბულის გალობა მესმა,
მისმა ეხამ გამახარა,
ჩემს მებაღეს ვარდი ვთხოვე,
ნარ-ეკალი მომაყარა.

ჩემი გაზრდილი შვილები
ეხლა მამას დამცინიან,
იეთიმ-გურჯმა კარგად იცის,
ვინც რომ მასზე იცინიან.

1919 წ.

შუა წყალში გადამაგდე ნავიდან

კარგი იყო, არ გამეცნე თავიდან,
შუა წყალში გადამაგდე ნავიდან.

ჩემი ვული შენ დაკოდე, დახიე,
ხელებს ითბობ, ცეცხლის ალში გამხვიე.

დამიმონე, შენი შიშით ვკანკალებ,
მომერიე, გიხარიან, ხარხარებ...

როდემდისინ გქონდეს ქვისა გულია,
მე რომ ვტირი, შენთვის სიხარულია.
ფიქრობ, ტანჯვით შემაძულო თავია,
ცდები, შენ ხარ ჩემი სალოცავია.

თვალებს დამთხრი — ფესქვეშ ჩაგივარდები,
რა გიხდ მტანჯო, უფრო შემიყვარდები!

სულ არ გესმის ჩემი წერა-კითხვები,
რად მიყვარხარ, რატომ არ მეკითხები?

რომელ მსაჯულს ვთხოვო სამართალია,
ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია!

შენი სიყვარული მშივა

ზამთრის ყინვა არ მაშინებს,
შენ რომ გხედავ, მაშინ მცივა.
მე ჭამა-სმა აღარ მახსოვს,
შენი სიყვარული მშივა.

კარგად იცი, შენთვის ვიწვი,
ვით თონეში ხმელი თივა,
გაიცინე, თან მაცინე,
ეს ჭრილობა შენგან მტკივა.

შემოდგომა მოიგონე,
როს ფოთოლი ხეებს სცვივა,
სარკე არი თვით ბუნება,
დამერწმუნე, შენც მოგივა.

სილამაზეს თავის დრო აქვს,
ეგ სიმდიდრეც გადაგივა.

ეს სოფელი ვინ მოჭამა,
ყველა სამარეში ძივა.

ჟამი დაჰკრავს აღსასრულის,
ტკბილი სული ამოგივა,
ძაგ შენ თვალებს მინა შესჭამს,
ეგ წარბებიც ჩამოგივა.
ბოლოს ძეხს სულს ეკითხება,
შენგან იეთიმს რაც მომივა.

ლამაზების პრეზიდენტო

ლალ-ზურმუხტი, ფირუზი ხარ,
ქვეყანას თვალად უზიხარ,
ედემის თაფლის ბუზი ხარ.
ლამაზებში ჯვრის ტუზი ხარ.

მთელი სამყაროს ფასი ხარ,
სხივით პლანეტა მარსი ხარ.
ბულბულისთვის მაისი ხარ,
თუ არ ჩემი — მაშ, ვისი ხარ?

შენთვის ვგალობ, მიცან ხმაზე,
აღარა ვარ კაცი ჭკვაზე,
მარტო შენ ხარ მიწა-ცაზე,
ვოჩვენება პლანეტაზე,

ჩემო ხატო, ჩემო ღმერთო,
შენ სურათზე სანთლად ვენთო,
გთხოვთ, წყალობა გაიმეტო,
ლამაზების პრეზიდენტო.

სანამ შენ სახესა ვმზერდე,
სულ იცოცხლე, არ დაბერდე,
მარტო შენ ქებასა ვნერდე,
იეთიმ-გურჯი შენითვის ვმღერდე.

ღმერთმა მწარე ბედი მომცა

ღმერთმა მწარე ბედი მომცა,
გულით აღარ გამიცინა,
რად მინდოდა მე სიცოცხლე,
სულიერი გამაჩინა.

ცოცხალ არსებად არა მთვლი,
მთლად სიცოცხლე დამილამე,
ნეტა, ნატვრა ამისრულდეს,
გავმხდარიყავ მე სხვა რამე.

ნეტა მოხდეს, ჩემი თავი
შენი თითის ბეჭდად იყოს,
თითზედ იმგვარად მოგეკვრა,
ველარავინ გამომიღოს.

შენი საწოლ ტახტი ვიყო,
ჩემზე იწვე და ხვრინავდე,

ანუ ბუზი გავმხდარიყავ,
შენს სახეზე დავფრინავდე,

ანუ ვიქცე კრიალოსნად,
ბროლის თითებითა მთვლიდე,
ანუ ცოცხი გავმხდარიყავ,
შენი ფეხის მტვერსა ვგვიდე.

სავარცხლად გადამაქცია,
ლამაზ ქოჩორს გივარცხნიდე,
ნეტა, ერთი სარკე ვიყო,
ჩემ გულშია იხედვიდე.

ოქროს საათად მაქცია,
ზედ გეკიდო ლამაზ გულზე,
ანუ ვიქცე საყურედა,
ვქანაობდე შენსა ყურზე.

ბალიშად მაინც მაქცია,
ლამაზ თავსა ჩემზე სდებდე,
ან შენ სახლის სანთლად ვიყო,
ვიწოდე — შენ გინათებდე.

შენი კარის მონა ვიყო,
შენ ბრძანებას ვასრულებდე.
ანუ ვიყო მოჩვენება,
სიზმარშია გნახულობდე.

პირსახოცი ვიყო ნეტა,
საცა წახვალ, თან დაგქონდე.
როცა დილით პირს იბანდე,
შენსა სახეს ვეხვეოდე.

ანუ ვიყო რამე ნივთი,
შენა გქონდე წასაღებად,
შენს ჯიბეში მდგმურად ვიყო,
შენი სახლის გასაღებად.

მაგრამ ასეთი ბედი მაქვს,
არც ერთი არ მელირსება,
ეახსოვდეს, არ დაივიწყო,
დღეს რომ ჩემზე გეცინება.

ჩემსა ნატვრას მირჩევნია
მოვკვდე, გამჩენ ღმერთსა ვფიცავ,
ანუ შენსა კუბოდ ვიქცე,
ჩვენ ორივე გვჭამოს მიწამ.

მოისვენოს იეთიმ-გურჯმა,
სამუდამოდ აიბარგოს,
შენ წაგერთვას სილამაზე,
მეც კალამი დამეკარგოს.

1920 წ.

ᲘᲔᲗᲘᲛ-ᲒᲣᲠᲯᲘ ᲨᲔᲜ ᲛᲝᲰᲙᲐᲚᲘ

ხის გული გაქვს, ქვის ჯიგარი
და ტვინი აგურისა,
დამიმონე, ყმა გამხადე
შენი სიყვარულისა.

მიმიხურე, დამიკეტე
კარი სიხარულისა,
დამავიწყე ღმერთი, რჯული,
რწმენა სამსახურისა.

ყოველ დილით შენ სახელზედ
პირჯვარს ვიწერ, გადიდებ,
შენსა ნახვას ველოდები,
შენ კი პირსა მარიდებ.

სიკვდილს რისთვის მანატრულებ,
ჩემსა ცოდვას რად იდებ,
ცეცხლის ალზედ მატრიალებ,
ამ წამებით რას იგებ?

შენ გგონია გაჩენილხარ
მარტო ჭამა-სმისთვისა?
სიყვარული თუ არ იცი
ცოცხალი ხარ რისთვისა?

ვარდი მისთვის გაიშლება
გასახარად სხვისთვისა,
საყნოსველად, სალოცავად
მგოსან ბულბულისთვისა.

რად არ ფიქრობ, უნდა მოკვდე,
შავი მიწა გელისა,
ბოლოს უნდა კერძი გახდე
მატლი, ჭიანჭველისა,

ეგ თვალები შაგექმნება
საჭმლად ხვლიკი, გველისა,
ერთხელ ღირსი არ გამხაღე
შენი ტკბილი ენისა.

შენ გადიდებ, შენ გლოცულობ,
შენი რწმენის ბერი ვარ,
რა დღიდანაც გაგიცანი,
ჩემი თავის მტერი ვარ,

ღვინით დავალ მოწამლული,
მარტო შენთვის ვმღერივარ,
იეთიმ-გურჯი შენ მოჰკალი,
ცოცხლივ მკვდრებში ვწერივარ.

1921 წ.

სატკივარი კაცს რომ დასძლევს

სატკივარი კაცს რომ დასძლევს,
ის ექიმთან იარება,
მაშინ უნდა სწორედ შველა,
ორივ ხელის დახმარება.

ნაშრომს არავინ მიფასებს,
ხალხს შავწირე თავი რაზე,
მარტო ისღა დამრჩომია,
რომ მოვისპო ქვეყანაზე.

ოცდაშვიდი წელიწადი
ხელთ კალამი მიკავია,
ხალხის ძმობა, სიყვარული
გამილექსავს, მითავია.

საქართველოს ბევრ კუთხეში
ჩემს სიმღერებს გაიგონებთ,
მათ პანგებით ბევრი ტკბებით,
იეთიმ-გურჯს კი არ იგონებთ.

1922 წ.

შენ წალკოტში გაგატარე

ახალ ტანჯვის გზაზეღ წაველ,
საჩივლელად ცაში აველ,
სიყვარულის ზღვაში შაველ,
ვიღუპები, ვეღარ გაველ.

ტალღებში ვარ, არ მყავს მშველი,
გეხვეწები მე თვალსველი,
მოწყალებას შენგან ველი,
ვიძირები, მომე ხელი.

სიყვარული გამიღრმავდა,
სულ დავკარგე, ვინც რო მყავდა,
შენთვის ენა ამიტყავდა,
მღერით ტვინი გამიქვავდა.

გაუტეხავი ქვისა ხარ,
მოუნათლავი ხისა ხარ,
ჯერ ხო თვრამეტი წლისა ხარ.
რად გამიცან, თუ სხვისა ხარ?

რად მარგუნე ბედი მწარე,
ნუ მატარებ ღობის გარე,
ღმერთს შახედე, გამახარე,
შენ წალკოტში გამატარე.

იეთიმ-გურჯსა შენა მყევხარ,
უკვდავების წყარო შენ ხარ,
განთიადის ცისკარს გევხარ,
შენ ამოსვლას გულით შევხარ.

1922 წ.

სად არის შოთას საფლავი

სევდის სიმღერა გავაბი,
ცრემლის სიმები ავაბი,
მე ჩემი თავი დავღუპე,
ძალად მახეში გავაბი.

ნეტა რა ცოდვა-ბრალი მაქვს,
ბედი რო შემომწყრალი მაქვს.
გამჩენო, ერთხელ მიხსენი,
გათავდეს, თუ რამ ვალი მაქვს.

ნაშრომი ტყვილად მამიცდა,
აზრის მიზანი ამიცდა,
არ იქნა, ვერა ვასმინე,
საწერ-კალამი გამიცვდა.

ენა გავცვითე მღერითა,
ტვინი მოვღალე წერითა,
დაღამდა თვალის სინათლე
მისი ლოდინი-ცქერითა.

ვყვირი მთა-ბარად, ველადა,
ლოლმანის* საძებნელადა,
სად არის შოთას საფლავი,
ნავიდე საჩივლელადა!

1922 წ.

აღარც ღვერთი მწამს...

აღარც ღმერთი მწამს, აღარც სამყარო,
აღარც მსოფლიო მხიარულება,
ვერა ექიმი ველარ მომარჩენს,
რაც კი მე მტანჯავს ერთი წყლულება,

ქვეყნის დიდება და გახარება
მომცენ, სუყველა გამიზიარონ,
ჩემსა წამალსა ვერვინ იშოვის,
მთელი ქვეყანა შემოიარონ.

იმგვარი ცეცხლი მომკიდებია,
ჩემი ყვირილი ადის ცაშია,
მისი ჩაქრობა არ შეიძლება,
თუგინდ ჩამაგდონ შუა ზღვაშია.
ერთი მე ვიცი და ერთი იმან,
ვინც მე გამხვია ცეცხლის ალშია,
მე ის მომარჩენს, ანდა დამმარხავს,
ან გადამაგდებს ცოცხლივ წყალშია.

ლოლმანი — მკურნალი

მე რომ სენი მჭირს, ის თითონ არი,
ჩემი ექიმი— მისივე ენა,
იეთიმ-გურჯს წამლად მისი თვალები
და მელირსება მაშინ მორჩენა.

1922 წ.

პასუხი

ლამაზი ვარ და კიდეც მიხარიან,
ერთი ვინმე დამიწვია ძალიან,
ვერ ჰკურნავენ რაც ექიმნი არიან,
იეთიმ-გურჯო, შენთვის არა მცალიან.

ბევრი იწვის ჩემს სახელის სმენაზე,
მიჩვენება ვარ ქვეყნისა სცენაზე,
ერთი ძლიერ დამიჩაგრავს ყველაზე,
იეთიმ-გურჯსა ვაწერივარ ენაზე.

მე ჩავიგდე წამებისა გზაზედა,
მოუცლია მარტო ჩემსა თქმაზედა,
დამისვია გაყინული ქვაზედა,
მაინც კიდევ ვერ მოსულა ჭკვაზედა.

იეთიმ-გურჯო, მწარე ცრემლით ინამე,
მოგიშალე სახლი, კარი, ბინა მე,
ხნიერი ხარ, სად შენა და ვინა მე,
ვერ მომხარშავ, ვარ ფოლადი, რკინა მე.

მაისის თვის ყვავილივით მშვენი ვარ,
იეთიმ-გურჯო, შენთვის ცეცხლის გენი ვარ,
შენ ძია ხარ, მე კი შევარდენი ვარ,
არ დამწყევლო, ბოლოს მაინც შენი ვარ.

1922 წ.

რაც მომივა შენგან, ჩემზე ახია

რო იცოდე სიყვარულის ღმერთია,
შენა მყევხარ სალოცავად ერთია.

როცა მოვკვდე, მიწაში რა ჩამყვება?
მარტო ერთი — შენი ფიქრი გამყვება.

რაც მომივა შენგან, ჩემზე ახია,
გთხოვ დაესწრო, ვიყო დასამარხია.

როგორც რომ მე ვხარობ შენსა თვალებზე,
შენც მაცილე მკვდარი მიწის კარებზე.

ხმას არ გაგცემ, მაინც გამეხარება,
თუ შენ ხელით მიწა დამეყარება.

რო შახედო კუბოშია ჩემ თვალებს,
კარგად იყავ, კიდევ ამას გავალებს.

მიწად ვიქცე, ნაცარ-მტვერად ვხდებოდე,
მხოლოდ შენ კი ცოცხლად იარებოდე,

სტუმრები ვართ წუთისოფლის ხანაში,
მოვისპრიბით ერთხელ ამ ქვეყანაში.

რად მოვედით, ანუ რისთვის გავდივართ,
დარდიახად თუ მიწაზე დავდივართ?

იეთიმ-გურჯი გლოცავს, იყო მზეშია,
შენ ჩამაგდე საიათნოვას დღეშია.

არა, ვარდებს აღარ ვუმზერ

არა, ვარდებს აღარ ვუმზერ,
შენ ჩამაგდე სატანჯველში,
სასაფლაოს მკვდრებზე დაბლა
ვიმყოფები სამარეში.

ხან შენ გზისკენ ვიხედები,
ხან კი ვკეტავ კარებს მაგრა,
შენი გაცნობის დღიდამა
გული მწარედ დამეჩაგრა.

მე სიკვდილი ისეც მომკლავს,
შენ მიზეზი რადა ხდები.
ეს იცოდე, მომიგონებ,
როცა წავალ, მოგშორდები.

ჩემ ნაწერებს მაშინ ნახავ,
წაიკითხავ და მიხვდები,
თავსაც დამნაშავედ იცნობ,
იტირებ ღა დაღონდები.

მე კი შავსა სამარეში
შენს სიყვარულს შევინახავ,
კალამი ობლად დამრჩება,
იეთიმ-გურჯსაც ველარ ნახავ.

1923 წ.

რად ვინდოდა

რად მინდოდა შენ ახალად შამომხვდი,
დამიმონე, შავ თვალებით დამიხვდი,
ჩემი გლოვის მწუხარების ხმას მიხვდი,
ძველად დამწვარს, კიდევ ჭირი გამიხდი.

რად მინდოდა მე იმ დღისა ლხენა მე,
რად გათენდა, გაგიცანი შენა მე,
რად მასმინე შენი ტკბილი ენა მე,
მომიწამლე ტკვინი, გრძნობა, სმენა მე.

შენგან ვიწვი, შენ მომეცი შველა მე,
სიყვარულმა დღენი დამიბნელა მე,
რად მარგუნა ბედმა ტანჯვა-წყენა მე,
სიხარული ფეხქვეშ გამითელა მე.

თუ რომ გინდა ამა სოფლად ლხინობდე,
ვინც რო დასნვი, აღარ უნდა კბენოდე,
სიკვდილის დროს თუ არ გინდა სცხვენოდე
შენგან დაჭრილს, შენვე უნდა შველოდე.

რად მომეცი ცეცხლის ალი, გენია,
უშენობით ვტირი, მომინყენია,
თანა ვმღერი, თან ცრემლები მდენია,
შეიბრალე, იეთიმ-გურჯი შენია.

რად მაღონებ

ვფიცავ მინას, ვფიცავ ღმერთსა,
ვფიცავ ჩემ სამარის კარებს,
შენზე მეტსა ჩემი გული
ველარავის შეიყვარებს.

შენგნით ცეცხლი მიკიდია,
გავხვეულვარ სულმთლად ალებს,
თუ მიშველი, ისევ შენა,
თორემ სხვა ვინ შემიბრალებს.

თვალებს დამთხრი, მკლავებს დამჭრი,
გინდა მომჭერ ძირში ენა,
რაც გსურს მიყავ, კარგად იყავ,
მხოლოდ იცოცხლევი შენა.

მე უშენოდ არც იქ მინდა, —
გინდ გამიღონ ზეცის კარი,
მიწის ზემოდან ჩემი ხარ
და მიწის ქვეშ მეგობარი.

რად მაღონებ, რად მაწამებ,
რად შაიქენ ჩემს მტანჯველად,
ფრინველებს წერილს გავატან
მაღლა ცაში საჩივლელად.

თუ ხარ ადამისა შვილი,
ერთხელ ღვთისკენ აიხედე,
შაიბრალე იეთიმ-გურჯი,
მის გულშიაც ჩაიხედე.

მეც დრო მქონდა

მეც დრო მქონდა, სილამაზე მშვენოდა,
რა ვიცოდი, რომ სიბერე მელოდა,
მწარე, ტკბილის ამხანაგად სწერია,
დაბერდები, შენც მოგივა ჯერია.

შენი მზერა ჩემთვის არს ნეტარება,
ჩემი ნახვა მითხარ, რად გეზარება,
რას მიყურებ ამ სევდიან თვალებში,
ორივ ჩავალთ ჩვენ შავსა სამარეში.

რა მოგთხოვე, სიცოცხლე თუ განძები,
მდიდარი ხარ, რომ ლამაზი ბრძანდები,
არასა გთხოვ, ამნისტია გაეცი,
გამიცინე ან სალამი მამეცი.

დრონი წავლენ, ერთხელ სარკეს ჩახედავ,
დამჭკნარ სახეს დარდიანად შახედავ,
ჩვენ ორივეს მიწა დაგვეფარება,
იეთიმ-გურჯის ნახვა ნუ გეზარება.

სინაგოგია

ჩემი სევდის ჩანგური
ახლა დამიქოქია,
ახალ ბაღის მონა ვარ,
სადაც სინაგოგია.

აღარა მწამს ალაჰი,
აღარც ღმერთი „ბოგია",
მე ახალი ხატი მწამს —
სადაც სინაგოგია.

შაბათისა გლახა ვარ,
ხელი გამიწოდია,
მოწყალებას ვთხოულობ —
სადაც სინაგოგია.

ცრემლი მელნად ვიხმარე —
მე არ დამიზოგია,
მკვდარიც იქ დამასვენეთ —
სადაც სინაგოგია.

სიყვარულის არმცოდნე,
მე დამცინის ზოგია,
იეთიმ-გურჯი დამმარხეთ —
სადაც სინაგოგია.

ჩემ სიმღერას ვინ გაიგებს

ჩემ სიმღერას ვინ გაიგებს,
რისთვის ვტირი მე,
მოწყალებას ვინ მაიღებს,
მისი ჭირიმე!

გაზაფხულის ვარდი შენ ხარ,
ედემს რგული ხარ,
ამ სოფელში მოჩვენების
თაიგული ხარ.

გულში სევდა ვერ დავტიე,
ველარ ვითმენ მე.
ქახდაკების ქვა გამხდარხარ,
აღარ მისმენ მე.

რბილი ენით გაგიცანი,
ბოლოს მაგრობ შენ,
ცეცხლის ალში გამახვიე,
აღარ მაქრობ შენ.

მშვიდი, წყნარი გული გქონდა,
რად გახდა თუჯი,
ვისმა ენამ შეგაძულა
შენ იეთიმ-გურჯი.

ედემისა ყვავილო

ლამაზების ხელმწიფევ,
შემკობილო სრულადა,
ლამაზ საქართველოში
შენ ხარ თაიგულადა.

ედემისა ყვავილო,
ქვეყნად გადაშლილი ხარ,
ჩემსა მწველად ვინ გშობა,
ნეტა ვისი შვილი ხარ.

რად გამიცან პირველად,
ეხლა რას მემალები,
შენი მზერით გამაძღე,
დამიბნელდეს თვალები.

როცა მინდა ვიცინო,
მის ადგილას ვტირი მე,
შენი გაცნობის დღიდან
ამრევია ტვინი მე.

შენგნით ენა დამება,
ხუთი წელი მუნჯი ვარ.
შემიბრალე, მიცოდე,
შენი იეთიმ-გურჯი ვარ.

1924 წ.

თავად ჩემი ბრალი არი

წერით, მღერით დავიღალე,
მარტო შენთვის მამიცლია,
შენთვის კალამი გავცვითე
და მელანი დამიცლია.

რაც რომ შენთვის ვიგალობე,
ენის ტყავი ამიცლია,
შენი გული ქვა ყოფილა,
ჩემ გზაზედ ვერ შამიცვლია.

ჩემი შრომა ტყვილად მიდის,
უქმი საქმე მითავია,
წყალში ვდგევარ და წყალსა ვცრი,
ხელთ საცერი მიკავია.

გაიხარე ჩემი ტანჯვით,
რაც შენ საქმე მიყავია,
ღამურად გადამაქციე,
თუმც არწივი ვიყავია.

თავად ჩემი ბრალი არის,
რისთვის მყევხარ გულში მდგმურად.
ქრისტეს მცნებით რად მოვსულვარ
მაჰმადის კარს სამსახურად.

მარილის ქვით ბანს ვაკეთებ
ჩემი სახლის დასახურად;

რად მინდოდა, რო დაცდეკი
მშრალ ქვიშაზედ მებადურად.

იეთიმ-გურჯო, დაუკვირდი,
გირჩევნია, მოდი ჭკვაზე,
აგიტანია ბუმბული
საშრობად ქარიან მთაზე.

შრომა ტყვილად დაგეკარგვის,
რათა სწერავ ყინვის ქვაზე.
რომელ ვარდსაც შენ უგალობ,
იგი ვყიდის მუდამ სხვაზე.

შეხვედრის დღეს

სალამი ყველას ჩემ გამო
ვინცა ხართ აქ მოწვეული!
არ დამიწუნოთ ლექსთწყობა,
არა ვარ სწავლას ჩვეული.

არც სკოლის კარი მინახავს,
არც — დედა ენა რჩეული.
დაბალი მუშის შვილი ვარ,
ტანჯვით გაზრდილი, ეული.

ხალხის კარებზე გაზრდილი
ძონძებში გამოხვეული,

ობოლს სწავლას ვინ მომცემდა,
როს მეფე გვყავდა წყეული.

თუ თითო ასო ვისწავლე
ისიც მაქვს ნაძალეული,
ბევრი ლექსები მიწერავს,
ყველგან მაქვს გადაბნეული.

ჩემ წილად მეც მიშრომია
არ ვიყავ გამორჩეული,
მეფის ღალატიც გავწიე,
ვიყავი გამომწყვდეული.

მაგრამ მოვესწარ, ხომ ვნახე
მის ტახტი ჩამონგრეული,
ორთავიანი არწივის
დროშები ჩამოხეული.

30/XII – 1924 წ.

ათი წელი

სალამი ახალ ქვეყანას
სალამი პროლეტარებსა
მუშა-გლეხისა მთავრობას,
ჩვენსა გმირ წითელ ჯარებსა.

სალამი უკვდავ ლენინსა,
იმის საფლავის კარებსა,
სალამი, ვინც რო მის ანდერძს
გულწმინდად დაატარებსა.

სალამი თვადადებულებს,
იმათ ჩაყრილსა ძვალებსა.
მოკვდა, წავიდა, დავმარხეთ
ჯალათ-მთავრობა ძველია,

დღეს ჩვენი დროშა ფრიალებს,
ყველა ჩაგრულთა მხსნელია.
უნდა გაწითლდეს ქვეყანა,
შევხარი, კიღეც ველია.

მაშ, მოგილოცავთ, მუშებო,
შესრულდა ათი წელია;
იეთიმ-გურჯისგან სალამი,
პროლეტართ ლექსის მთქმელია!

1927 წ.

ანას

მე მიყვარხარ, გატყობ, შენ გეზარები,
შორიდან მწვავ, ახლოს არ მეკარები,
ცნობის დღიდან მიმიხურე კარები.
გარე-გარე მთვრალი დავიარები.

როცა ვდგები განთიადის ზარებზე,
პირჯვარს ვიწერ სალოცავად ანებზე,
სევდის კლიტე დამიდვია კარებზე;
რად არ მატყობ მწუხარებას თვალებზე.

ამ სოფელში ჩვენ სტუმრად მავალი ვართ,
სიყვარულთან განა დასამალი ვართ?
კარგად იცი, ბოლოს წასავალი ვართ,
შავ მიწაში ორივ ჩასავალი ვართ.

ჩემ ობლობას რაღად უნდა ჭირია,
თუმცა ვიცინი, მაინც გულში ვტირია,
სწორედ ვიტყვი, არ შამირცხვეს პირია,
სხვასთან იაფობ, ჩემთან გახდი ძვირია.

შენ მიზეზით ამრევია დავთრები,
ქრისტიანი გამხდომიან თათრები,
რო გიგონებ, ჯავრისაგანა ვთვრები,
იეთიმ-გურჯი ბოლოს შენგან ჩავქრები.

1922 წ.

ღუა ცეცხლში ვარ, არ ვარ ჭკვაზედა

უნდა ვიტირო, კიდეც ვიყვირო
ახალ გზაზედა,
შუა წყალში ვარ, ცეცხლის ალში ვარ,
არ ვარ ჭკვაზედა.

ექიმს ვთხოულობ, ვერა ვპოულობ
მიწა-ცაზედა,
ჩანგი გამიტყდა, სიმი დამიწყდა
სევდის თქმაზედა.
დროშა გლოვისა, საიათნოვისა
ვიღო ხელშია,
დავთმო წერანი, ვღვარო მელანი,
მოვწყდე ერშია.

შავად ვიქარგო და დავიკარგო
ამ სოფელშია,
რუსთაველივით, გავხდე ბერივით
მონასტერშია.

გამიცვდა გული, მიფრინავს სული,
ერთი გზისკენა
ქვადა ქცეულა, ვერ მოქცეულა
ჩემი მზისკენა.

ვუგალობ მასა, არ მოდის ჭკვასა,
მიდის სხვისკენა,
და იეთიმ-გურჯი მომამზადა
სამარისკენა.

ოცი წელი

დავბერდი ტანჯვა-წამებით,
ავადმყოფობა ძმად მიხდა,
მაგრამ დღეს ვხარობ სულითა,
შრომა ტყვილად არ წამიხდა.

სიზმარშიაც რო ვნატრობდი,
მოვესწარ, ცხადლივ ამიხდა,
კაცების თვალში მეცა ვარ,
წამი საათად გამიხდა.

ფანქარსა კოცნით ხელთ ვიღებ,
ვეალერსები რვეულსა,
ახალ ქვეყანას გილოცავთ,
მეფეს გადვურჩით წყეულსა,

მოესწრო ჩემი თვალები
მის დროშებს ჩამოხეულსა,
უკეთესს ველი მომავალს,
ნაღდად ვსაუბრობ წრეულსა.

ახალ ქვეყანას ვაშენებთ,
მოკვდა, დავმარხეთ ძველია,
წითელ ვარსკვლავსა შევხარით,
ბოლოს ქვეყანა ჩვენია;

თუმც შრომა დიდი სჭირდება,
განა მუშისთვის ძნელია?

საძირკველი გვაქვს მაგარი, —
შესრულდა ოცი წელია.

უნდა გასწორდეს ქვეყანა,
საცა უვალი ღრე არი,
სილარიბე და სიმწარე
ჩვენგან განვლილი წრე არი,

მსოფლიო მუშის მნათობი
საბჭოთა ქვეყნის მზე არი,
სალამი ძვირფას სტალინსა,
ვულოცავ, წმინდა დღე არი.

მუქთახორებსა ეყოფათ,
ცხოვრება მუშის ჯერია,
სოციალიზმის სამოთხე
ხარობდეს ყველა ერია,

წითელ ჯარს დროშა ლენინის
საფიცრად დაუჭერია,
გამარჯვება და სალამი
იეთიმ-გურჯს დაუწერია.

1937 წ.

იეთიმ-გურჯი გილოცავთ

იეთიმ-გურჯი გილოცავთ,
მხიარული დღისა ვარ,
ოცი წელი შესრულდა,
სიხარულის თქმისა ვარ.

სალამი ჩვენს ქვეყანას,
შვილი წითელ მზისა ვარ,
ნამგალ-ჩაქუჩს ვემთხვევი,
მე ორივე ძმისა ვარ.

სამოთხე რო შენდება,
მეც ამ ბაღის ხისა ვარ,
ბაყაყებს არ ვეკუთვნი,
ორაგულის წყლისა ვარ.

ჩემს რწმენას ვინ გაღუნავს,
გულით სპილოს ძვლისა ვარ,
ჭაღარას ნუ მიყურებთ,
ვანა დიდი ხნისა ვარ!

რაც რო მეფე დავამხეთ,
ეხლა ოცი წლისა ვარ,
ვაშა ჩვენს მეთაურებს,
მხიარული დღისა ვარ!

ჩემი კალმით დარაჯად
იმათ კარებისა ვარ,

ჩემი თავით, ჩემი ხმით
იოსებ სტალინისა ვარ!

1938 წ.

ჩემი ბაღი გადაშენდა

ბედს ყველასთვის თითო რამე
მიუცია, მასზე ხარობს,
მე კი დავრჩი უპატრონოდ
ობლადა ვარ, არვინ მბრალობს.

ჩემი ბაღი გადაშენდა,
სულ ჯანყშია, აღარ დარობს,
მზეც ღრუბლებში გამხვევია,
მის სხივებიც აღარ მწყალობს.

დაჭკნა სიყვარულის ვარდი,
მგოსნის ენა აღარ გალობს,
გამხმარ ბაღში ძეძვ-ეკალი
იგლოვის და ბედსა ნანობს.

გატყდა სიხარულის ჩანგი,
დღენი ჩემი ასე წვალობს,
ყველას თავი ვანაცვალე,
მაგრამ მე კი არვინ მყვარობს.

იეთიმ-გ'ურჯო, ვისთან ჩივი,
სუდიაც დედინაცვალობს,
შენ ის ლომი აღარა ხარ,
ეხლა მელაც შენზე ძალობს.

ჩემი სიმღერა

ჩემი ბედის ანგარიში
დამრჩომია გასაკვირად,
ტირილ-სიცილის სიმღერა
ახლა უნდა ვიწყო პირად.

ამ სოფელში სიხარული
ყველაფერში დამეძვირა,
რა ხომალდიც გავაკეთე,
ყველა წყალში ჩამეძირა.

ილბალი არა ჰქონია
უბედურსა ამ ჩემ თავსა,
რა ბაღიც რო გავაშენე,
სასაფლაოს დაემსგავსა.

ვისი მშობლებიც ვადიდე,
მამის სული შემიკურთხეს,
რა სტუმრებიც შევიყვარე,
ზედ სუფრაზე დამიფურთხეს.

ვინც რო შვილად მივიღევი,
მოსაკლავად თავს დამადგა,
რა ბატკანიც გამოვზარდე,
პოლოს მგელად გამომადგა.

ვისაც სიკეთე ვუყავი,
როს მიჭირდა, გამებუტა,
რომელი ხატიც ვილოცე,
მაგიერად დამაკუტა.

რა საყდარიც ავაშენე,
ბოლოს ყველა ბოსლად იქცა,
ვარდის კონას ვაკეთებდი,
ხელში ჭინჭრად გადამექცა.

ექიმის კარზედ მივედი,
სატკივარი შემეჩივლა,
სიყვარული შაგყრიაო, —
გუბერნატორთან მიჩივლა.

რედაქციაში წავედი
ჩემ სევდების დასაწერად,
პრისტავის სახლი გამოდგა,
შავიქენი დასაჭერად.

რადგან სიმართლესა ვყვირი,
მისთვის მთვლიან მე სულელად,

თითონ ვერა გამიგია,
სად წავიდე საჩივლელად.

თუ კაცს ბედი არა სწყალობს,
ზღვაზედ წყალი დაუშრება;
იეთიმ-გურჯო, მაითმინე,
არის გამჩენისა ნება.

დამეკარგა მე კალამი

ქვეყნად ერთი მოძმე მყავდა,
დიდი ხანი მემსახურა,
რომელ გზაზეც მატყუებდნენ —
ჩემ მაგივრად მან იყურა.

სხვისგან წართმეული ქუდი
დამიბრუნა, კვლავ დამხურა,
მახვილივით პირში ეცა,
ჩემი მტრები სულ გამურა.

ბოლოს მითხრა — ამხანაგო,
ჩემი ძმობა არ ინებე,
შენთვის წალკოტს ვაშენებდი,
შენ კი წახველ, ეკალს ებე.

ჩემი ენა წერით გაცვდა,
დღემდის ხელზედ მონად გებე,
არც ფასდები, არც მაფასებ,
მოდი, თავი დამანებე.

დამეკარგა მე კალამი,
შამომწყრა და აღარ სწერავს.
ხელში ვიღებ, ხმას აღარ მცემს,
ჩემი სიტყვა აღარ სჯერავს.

ჩემი ნაბადი

ღმერთო, ჩემზე მოიცალე,
თუ სხვა კიდევ დაბადია,
ყველას სიხარული მიე,
მე კი — შავი ნაბადია.

ჩემთვის კვირა არ გათენდა,
ყოველი დღე შაბათია,
უპატრონოდ ვხეტიალობ,
ჩემი მოძმე — ნაბადია.

ბედმა ქვეყნად ვერ მიპოვა,
მის ზღვაში ვერ ჩამატია,
ზამთარ-ზაფხულ მე მინახავს,
ჩემი შავი ნაბადია.

იეთიმ-გურჯსა ამა სოფლად
არაფერი აბადია,
ერთმანეთსა არ ვშორდებით
მე და ჩემი ნაბადია.

სიცოცხლის დროს ეკალს მესვრი,
მკვდარს ვარდს ნულარ დამადვია,
ზედ კუბოზე დამაფარეთ
ისევ ჩემი ნაბადია.

თქვენ გიმღერით, მეგობრებო!

ჩვენი ტურფა საქართველო
სიმღერებით მინდა ვკვებო,
ყველა ლხინში და მეჯლისში
თქვენ დაგეძებთ, მეგობრებო!

მსურს სიმართლეს ვემსახურო
და ვამჟღავნო სანაქებო,
ვინც ღირსია, ვალამაზო,
უვარგისი შავად ვღებო.

ვის ქართული ეყურება,
სიმღერებს არ დავაკლებო,
კმარა ამ სოფლად სტუმრობა,
მოისვენე ჩემო ძვლებო,

ჩემ ჩონგურსა თქვენ გიტოვებთ,
ეხლა დაუკარით სხვებო.
ვინც მე მიყვარს სამარემდის,
მას თავი არ დავანებო.

რა დღიდანაც შევიყვარე,
გულს მაკრია, როგორც წებო.

იმის მეტი არვინ მინდა,
არ იფიქროთ, სხვა ვეძებო,
თქვენ გიმღერით იეთიმ-გურჯი,
თქვენ გიმღერით, მეგობრებო!

ვრწამს

მე რაცა მრწამს, იგი მწამდა,
მე ის მიყვარს, ვინც მიყვარდა,
ვულიდგან ვერ ამომგლეჯენ,
ვინც რომ გულში ჩამივარდა.

მე სიცოცხლე მისთვის მინდა,
მსურს რომ თავიც ვანაცვალო,
თუ გინდ მომცენ მთლად ქვეყანა,
არ გეგონოთ, რომ გავცვალო.

არ ელოდოთ იმისაგან
ჩემი გული აიყაროს,
ბევრი ელის, მაგრამ სცდება,
რო მან ჩვენზედ გაიხაროს.

იმის გზაზედ რაც რომ შემხვდეს,
ყველა ტანჯვა ავიტანო,
მისი წმინდა სიყვარული
სამარეშიც ჩავიტანო.

ვინც მე მიყვარს, მაღლა მიყვანს,
მას ვერასდროს გამაცლიან,
იქმნებ მაშინ მომაშორონ,
როცა თავსა მომაცლიან.

ქართლის ქალაქ გორშია

ბედმან თბილისს მომაშორა დროებით,
სტუმრად მოველ ქართლის ქალაქ გორშია,
ვინც გავიცან, ყველას აზრი ავწონე,
დანარჩენსაც ვწოხავ მე სასწორშია.

ბევრი კარგი გულის მოძმე გავიცან,
ჩემი კვნესა თავის კვნესად უცვნიათ,
ზოგი კიდევ პირფერულად მიცინის,
ჩემი გლოვა კარგად ვერ გაუცვნიათ.

ვინც კაცია, ვიცნობ, კიდეც მიცნობენ,
კაცი სძებნო ასშიდ მხოლოდ ორია,
უვარგისი კაცი კი მეჯავრება,
როგორც მახმადს ეჯავრება ღორია.

საცა ვიყო, ჩემი აზრი თანა მაქვს,
ყველას ავწერ, სანამ მიჭრის თვალები,
ვინც ღირსია, ნახშირ მურით გავმურავ,
ვინც კაცია, იმას ვენაცვალები.

მწარე სიმღერა

ნეტა, ღმერთო, რა ცოდო ჩავიდინე,
ამ ტანჯვითა მე ფონს როგორ გავიდე,
წამების გზა როდის უნდა გავლიო,
ჯობს მოვკვდე და სამუდამოდ წავიდე.

ფიქრი ჩემი ღელავს შავი ზღვასავით.
დარღი ჩემი ყაზბეგისა მთასავით,
სევდა გულზედ სასაფლაოს ქვასავით,
მწუხარება გაუყრელი ძმასავით.

რასა ვგლოვობ, გამკითხველი ვინ არი,
რასა ვკვნესი, გამკითხველი ვინ არი,
ჩემი ცრემლის წამკითხველი ვინ არი,
ჩემებრ ტანჯულის მნახველი ვინ არი.

გულით მკვდარი ჩემგვარული სად არი,
ჩემი მთვარე დაფარული სად არი,
ბედი ჩემი დაკარგული სად არი,
ჩემთვის წუთი სიხარული სად არი.

ჩემ გულშია ჯოჯოხეთის ალია,
სიკვდილამდინ ტანჯვა ჩემი ვალია,
ვის ვემდურო, ჩემი ბედის ბრალია,
ფუ, სოფელო, შენი სამართალია.

ᲒᲐᲡᲬᲘ, ᲒᲐᲛᲨᲝᲠᲓᲘ

ბევრი რამ გწერე, მოვლალე ქკვაო,
ვერა გასმინე, უყურო თავო,
არ გრძნობ სიკეთეს, გულში გაქვს ქვაო,
ახლა კი უნდა გინერო სხვაო.

ისე გაგმურავ, ვერ გრცხავს ზღვაო,
უპურმარილო მგელო და სვავო.
მინავ ჭაობო და მოუხნავო,
წყალო მურდალო, დამპალო ჭაო,

ქვაბო დამწვარო, მოუკალავო.
ძირგავარდნილო, დაშლილო ნავო,
გადასაყრელო, მყრალო ნაგავო,
ქარმა წაგიღოს ნაცრისა მთაო,
მგლის წილი გახდე, როგორც რომ თხაო,
მომწყდე იეთიმ-გურჯს და გაათავო.

დარდიანად დამიწყია ვღერა

დარდიანად დამიწყია მღერა,
ცოცხალი ვარ, მე კი არა მჯერა —
იანა-იანა ესეც ბედისწერა.

ღმერთი ვიცან ცაზე, აღარა ვარ ჭკვაზე,
შენთვის ვგალობ, გამომიცან ხმაზე.

მე ახალი დარდი მიყიდია,
წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკიდია,
იანა-იანა ესეც ბედისწერა.

ღმერთი ვიცან ცაზე, აღარა ვარ ჭკვაზე,
შენთვის ვგალობ, გამომიცან ხმაზე.

სადღა არის კანონ-სამართალი,
გაარჩიოს მტყვანი და მართალი,
იანა-იანა ესეც ბედისწერა.

ღმერთი ვიცან ცაზე, აღარა ვარ ჭკვაზე,
შენთვის ვგალობ, გამომიცან ხმაზე.

ერთი მითხარ, ვისი ენით წახდი,
ჩემი იყავ, სხვისი რაღად გახდი,
იანა-იანა ესეც ბედისწერა.

ღმერთი ვიცან ცაზე, აღარა ვარ ჭკვაზე,
შენთვის ვგალობ, გამომიცან ხმაზე.

ვირის ჩივილი

ვირმა თქვა: საჩივარი მაქვს,
ყურს არ მიგდებენ, ვირი ვარ,
„ხმა წყვიტეო“ — კეტით მცემენ,
როცა სიმართლეს ვყვირივარ.

ყველას სიმღერა ჰგონია,—
მაღალი ხმით რომ ვტირივარ,
ბარგი მძიმე, ქერი ცოტა,
ჩემს უნალობას ვყვირივარ.

რაც შნო შემწევს, სულ ვმუშაობ,
ბოლოს კი მგლების წილი ვარ,
კურტანიც ვერ გავიახლე,
ჩემს სიღარიბეს ვყვირივარ.

ჩემთვის უქმე დღეც არ არის,
სულ მუდამ დაბარგული ვარ,
მშიან, მცივა და თან მცემენ,
უსამართლობას ვყვირივარ.

სხვისი მონა ვარ მორჩილი,
ჩემთვის არაფრად ვღირივარ,
ეგ იეთიმ-გურჯი შენა ხარ,
ტყვილად ვირზედ რად ვყვირივარ.

ᲒᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

გამიქრა მთვარე, მზე ბრწყინვალე,
        გავხდი მწუხარე;
ღაბნელდა არე, ყოველი მხარე
        გახდა სამარე.
ვინც შევიყვარე, მომიკლეს მალე,
        ჩამიქრეს მთვარე.
ღმერთო, მიფარე! ცრემლი მდის მწარე,
        რას შევეყარე?!
ვერ გავიხარე, მოდი, მაკმარე,
        მომკალი ბარე!
გემუდარები, სად ხარ მდებარე,
        მეც დამიბარე!
იეთიმს მახარე, შენ გვერდს მაკარე,
        შენთან მწოლარე,
მეზობლად მთვალე, მიწა მაფარე,
        და შემიყვარე.

1918 წ.

რასტი

შენმა ენამ, სილამაზემ შემიპყრო,
ყმაწვილობით დღემდი შენ გემსახურე,
შენმა რწმენამ სალოცავად დამიპყრო,
ვარდს გიფენდი, მე კი ძეძვი ვიხურე.

შენს სურათსა მე ხატად ვატარებდი,
გინათებდი, სანთელივით ვდნებოდი,
შენსა სახეს სულყველას ვაყვარებდი,
რა ვიცოდი, თუ მე ბნელში ვრჩებოდი.

შენს წალკოტის ღობედ ვიყავ ქცეული,
გდარაჯობდი, ვიყავ ყარაულადა,
შენ აშენდი, მე ვარ ჩამოქცეული,
არც გინდივარ ახლა ეზოს მურადა,

არ გემდური, მაგრამ კარგს არა შვრები,
ერთი მაინც მოიგონე ასშია,
აბა კარგად დაუკვირდი, რას შვრები,
თბილად გძინავს, მე კი მცივა კარშია.

მე მიყვარხარ და კიდეც მეყვარები,
დაუკვირდი, თუ ჯიგარი გაბია,
შენსა ლხინში მიმიხურე კარები,
იეთიმ-გურჯსა ენა აღარ მაბია.

ჩემი აზრი

არცა მქონია სიმდიდრე,
არც შემდეგ მინდა რომ მქონდეს,
მხოლოდ ის მინდა ამ სოფლად
წმინდა სახელი დამქონდეს.

სადაც რომ სიმართლე იყოს,
მეც იქ გამებას ლარია,
ჩემს მიზანს მე არ გადვუხვევ
დღეც რო დამადგეს მწარია.

არ მინდა სოფლის დიდება
ჩემზედ სხვას დარჩეს თვალები,
ბატონად ფულს ვერ გავიხდი,
ოქროს არ ვეთაყვანები.

მე ჩემის შრომით ვცხოვრობდე,
როგორც რომ მუშის წესია,
არავინ მყავდეს მოცილე
ყველაზე უკეთესია.

იქ მოვკვდე, სადაც ერთობა
მითქვამს და კიდეც ასეა,
მკვდარ დროს იმითი ვფასობდე,
რაც ცოცხლივ დამითესია.

ბულბულის გალობა მესმა

ბულბულის გალობა მესმა,
არ მოშორდა ბაღის არეს,
ტკბილი ენით მომატყუა
და ჩამაგდო ცრემლსა ძწარეს.

მიიახოდა შენი ვარო,
ღმერთი-რჯული შემომფიცა,
ჩვენ ვერავინ ვერ გაგვყრისო —
სიკვდილი და მარტო მიწა.

იგლოვა და იგალობა,
ჩემ კარებთან ცრემლი ღვარა,
მთელი ქვეყნის სალოცავი
მე თავდებად ჩამაბარა.

ასე მითხრა: „თავს მოვიკლავ
შენ მიზეზით გულს ქვა მედოს,
მერე ღმერთმან გაარჩიოს
ჩემი ცოდო ვალად გედოს“...

მეც ვიწამე, შევიბრალე,
შევიყვარე სალოცავად,
თურმე გველი ყოფილიყო
და დამიწყო კბენა ავად.

რა დღეშიაც მე ჩამაგდი,
ისე თვითონ გაიხაროს,
იეთიმ-გურჯის კალამს ვეტყვი —
წყევლა-კრულვა მიაყაროს...

იბეჭდება პირველად
1922 წ.

ეიყვარხარ გლოცულობII

მიყვარხარ, გლოცულობ, ჩემი ხატი ხარ,
ოქროსი ვარაყით დასახატი ხარ,
მე მიშვებ მარტოთა, სხვასთან დასტიხარ,
უფრთხილდი მახესა, ისევ ბღარტი ხარ.

მე შენი ქცევითა დიდად მაკვირვებ,
გდარაჯობ ღმერთივით, შენ კი მატირებ,
რა გიყავ ავობა, სიკვდილს მაპირებ,
ჭრილობას მიმატებ, წამალს მაყვირებ.

იცანი გამჩენი, მაღლა ახედე,
ცეცხლის ალში ვარ, ჩემს გულს ჩახედე,
გამასამართლე, კანონს ჩახედე,
შენი მონა ვარ, იეთიმს მამხედე.

ნუ აზდეკ ცრუ ენას თორე წახდები,
ჯერ ბატკანი ხარ, ლომი ნუ ხდები!
ტყვილ ფასს გაძლევენ, ნუ გასაღდები,
მაზანდას შაგიტყვენ, იაფი გახდები.

სიყვარულთანა რისთვის კლოუნობ,
ნუ ჰკარგავ ბულბულსა, ყვავს ნუ პოულობ,
ვარდსა ივიწყებ, ჭინჭარს შოულობ,
სტოვებ სიხარულს, ცრემლებს თხოულობ.

ნამარდი ხალხისა ბოლო მწარეა,
სახელის გატეხვა იგივ მკვდარია,
იწამე სინდისი შესაყვარია,
იეთიმ-გურჯისთვის გასახარია.

1921 წ.
იბეჭდება პირველად

გულში ვმღერი საიდუმლოდ

გულით სიმღერა მწადია,
ენა შამფურს ამიგია
მინდა ვსთქვა და ვერა ვპედავ,
ვერაფერი გამიგია.

გულში ვმღერი საიდუმლოდ,
პირი კი ვერ გამიღია.
მე ვწერავ და მე ვკითხულობ,
მელნად ცრემლი ამიღია.

ქვეყნად ჩემთვის ყველა ბნელა,
არაფერი მიხარიან,
რა წამალიც მე რომ მინდა
ის ექიმნი არ არიან.

მხოლოდ ორნი ვართ სოფელში
სასაფლაოს ქვებსა ვგევართ,
არც ვუბედავ, ვერც მიბედავს,
ორნი უთქმელადა ვდგევართ.

ხან ორივეს გვეცინება,
პირად რომ შევხვდებით როცა,
იეთიმ-გურჯსა მე ის მიკვირს,
არ ვიცი, ვინ შეგვილოცა.

1921 წ.

იბეჭდება პირველად

აღსრულდა

აღსრულდა, რასაც ვნატრობდი,
ვიცინი, აღარ ვტირია,
კალამს მოეხსნა ბორკილი
ამეხსნა ენა-პირია.

დღეს თავი კაცად ვიცანი,
ველარ მაშინებს ჭირია,
დაიქცა კერპთ სალოცავი,
გამოეთხარა ძირია.

აღარ გვყავს მხეცი ბატონი,
ოქროთ მორთული ვირია,
დაეცნენ, პირქვე დაემხნენ,
ვინც რომ ქვეყანა გვირია.

დღეს სათავეში ჩაუდგნენ,
ხალხის შვილები გმირია,
საძირკველი გვაქვს მაგარი,
სალი კლდე, ქვა და კირია.

დედას ვუტირებთ, ვინც რომ სთქვას
ჩვენ გამარჯვების ძვირია,
მაშ, ვაშა რევოლუციას!
ახლა კი მართლა ვყვირია!

1921 წ.

იბეჭდება პირველად,
ფონდი 5992/6

სცენაზედ

სალამი ყველას, აქ მყოფელს,
ვინცა ხართ აქ მოწვეული
ბევრი იკითხავთ ვინ არი
შინელში გამოხვეული.

ნამებულ მუშათ დავთრიდან
არა ვარ ამოხეული,
ძველი რეჟიმის ჭრილობა
კიდევ მაქვს მე შახვეული.

რომანოვისა ხელიდან
ოთხჯერ ვარ გამოქცეული,
ციხე-კრეპუსტი გავცვითე,
რვა წელი გამომწყვდეული.

არ მოვკვდი ნამებისაგან
ტანჯვას ვიყავი ჩვეული,
დღეს მე ცოცხალ ვარ, ხო ვნახე
მის „ფლაგი“ ჩამოხეული.

1918 წ.
იბეჭდება პირველად

ერთი ვიყვარს

ერთი მიყვარს, ისიც მყვარობს,
მაგრამ ქცევამ გამაკვირვა,
თითქოს მისი კუკლა ვიყო —
მათამაშებს თავდაყირა.

ჩემსა ხატად მას ვლოცულობ,
მოწყალება გამიძვირა,
რაღაც ძვირად მევაჭრება,
მას ვგონივარ ყალბი ლირა.

როგორც უხდა მე მატყვილებს,
რაში გაზდის ენის ქირა,
როცა ვხედავ, მეცინება,
ზოგჯერ კიდეც ამატირა.

მეუბნება: აღუ, ბაო,
კაკას მოგცემ, დაიპირა,
იმის სროკი არ გათავდა,
ხან თვეა, ხან ორი კვირა.

სიყვარულის ზღვაში ვგდივარ,
მე ლოდინმა ჩამაძირა,
მე რაში ვარ დამნაშავე,
სიყვარულმა შამიპირა.

რა დღიდანაც გავიცანი,
იეთიმ-გურჯი შამიწირა,
ღმერთს შახედე, შამიბრალე,
მანიფესტი რა ქენ, სირა!

1921 წ.
იბეჭდება პირველად,
ფონდი 5966/6

ზიმზილისგან მეძინება

არ ვიცი, თუ როგორ მთვლიან,
იქნებ მეცხოს რამე მური,
ჩემი რწმენის ქვეყანაში,
მე არ მქონდეს ლუკმა-პური.

მიკვირს, ჩემს თავს ვეკითხები,
ვინ ხარ, კაცო, სადაური,
რომელ მთავრობას ეკუთვნი,
რომ არავინ გიგდო ყური.

ისევ ჩემი ძველი ბლუზა,
ჭუჭყისაგან ჩახეული,
სამი-ოთხი დღით მშიერი,
ფეხსაცმელი დახეული.

რაცა ექონდა, სულ დავყიდე,
შიმშილით სახლი დავცალე,
ბიბლოთეკა, ლამფა, თეფში,
სუყველა მჭადში გავცვალე.

მართლა, კარგი მომაგონღა,
მგოსანი ვარ, ვიცი წერა,
ლექსებს დავწერ, ლექსებს შევჭამ,
მე მეტი გზა არა მჯერა.

ასე ვწერავ ამხანაგებს,
როდის არი ჩემი ხანა,
აწონონ და გაარჩიონ,
ჩემი სევდის გამოცანა.

ზოგნი კიდეც დამცინიან:
„კიდევ ეგრე დახვალ განა?
რას სწვალობდი, რა გეგონა?"
სამასხაროდ მთვლიან თანა.

ლექსის მუზა როცა მომდის,
შიმშილისგან მეძინება,
პოეტიც ვარ, კომუნისტიც,
მე ჩემს თავზე მეცინება.

იბეჭდება პირველად,
ფონდი 5991/6

გრცხვენოდეს

ყმაწვილობით შაგიყვარე,
ჩემსა ღმერთად შენა გთვალე,
ჩემი რწმენის ხატი იყავ,
მთლად სიცოცხლე განაცვალე.

შენი მონა-ყმა ვიყავი,
ის არა ვარ, რაც ვიყავი,
გიხაროდეს, რაც მიყავი,
რაცა მქონდა გამაცალე.

შენსა კეთილ დღეს ველოდი,
გაზრდილიყავ, შეგხაროდი,
ბოლოს თავში მირტყი ლოდი,
ჩალასავით, მე გამცვალე.

უცებ გამოგცვალა დრომა,
ფეხქვეშ გამითელე შრომა,
შენ მიყვარხარ, მიწყე წყრომა,
მეც ღროს ველი, დამაცალე.

მე გაგზარდე, მტრად მექეცი,
შვილი მამას ყელში მეცი,
ჩემს სახლიდან გაგექეცი,
კმარა, გასწი, გამეცალე!

იბეჭდება პირველად

ამისთანა გამოცანა

ამისთანა გამოცანა
არ ყოფილა ქვეყანაზე
წამების ჯვარს რად ვზიდავდი,
გავიტანჯე ანუ რაზე?

მთლად სიცოცხლე შემიწირავს,
ჩვენი რევოლუციის გზაზე,
დღეს კი კაცად არა მთვლიან,
ლამის შავიშალო ჭკვაზე.

მგონი, შრომა მეც მიმიძღვის,
არა ბევრი ცოტა სხვაზედ,
უპატრონო ნავისავით,
უსადგუროდ დავალ ზღვაზედ.

ვილუპები შველას ვითხოვ,
ყურს ვინ მიგდებს გლოვის ხმაზედ,
წყალში ვარ და წყალი მწყურის,
ღმერთი რაღ არ მოჩანს ცაზე.

კაცი კაცის წამალია,
ვინც გიშველის გიყვარს ძმაზე
იქნებ საშამ გამოიცნოს,
როცა იყოს გუნებაზე.

იბეჭდება პირველად,
ფონდი 5966

ჯავრისაგან ავადა ვარ

ალექსიჯან ჩემი საქმე
ძრიელ ჭაკად წასულია,
ჯავრისაგან ავადა ვარ
სასო ყელში მოსულია.

რითა ვცხოვრობ ღმერთმა იცის,
ვერავის ვერ გაუგია,
ორი თვეა ცუდადა ვარ,
კაპიკი არ მამიგია.

არ მაქვს ფული, არც თუ თანხა,
ცოტა რამე მოვიტანო,
არც „ვეში“ მაქვს იმნაირი,
გასაყიდად გავიტანო.

ისევ ძმაო, შენ გაიგე,
რაც მაქვს შენთან სათხოვარი,
გაჭირვებაში გვიშველის,
მისთვის გვინდა მეგობარი.

მეც კაცი ვარ, და ვისწავლი,
თუ ვინ გამიმართავს ხელსა,
დაღონებულ გუნებაზედ
ალექსას იეთიმა სწერსა.

იბეჭდება პირველად

პირველად სალამს მოგიძღვნი

პირველად სალამს მოგიძღვნი,
მერე მოკითხვას ძმურადა,
რევოლუციის ბანაკშიდ
მეც ხო ვწერივარ დგმურათა.
თვრამეტი წელი შენც მიცნობ,
ვყოფილვართ მეგობრულადა.

წითელ ქვეყანას ვეღირსეთ,
მე დამივიწყეთ სრულათა.
ჩემსა ტანჯულსა ცხოვრებას,
არავინ ისმენს ყურათა,
დავდივარ ღობის გარედან,
თითქოს ვეწერო ტურათა.
მითხარით აბა, შაშვენის
ძველ მუშას უსაქმურადა?

ცამეტი კომისარიატი,
შენ ხელში არი, მთელია,
განა ეგრეა, ძმობილო,
ჩემზედ აიღე ხელია?
ერთი პატარა ადგილი,
ჩემთვის კი შამოგელია?
ცუდობისაგან გავმხდარვარ
ხელობით ღვინის მსმელია.
ზამთარსა დახვედრა უნდა
რას მარგებს დელა-დელია?!

იბეჭდება პირველად

შენც გნახავ

დროებამ ფრთები შაგასხა
ნუ ფრინავ, ნუ გეშურება,
შენს სიხარულზედ საძირკვლად
უდევს სხვის უბედურება.

სოფელი მუქთი სარკეა
სუყველას შაეყურება
რათა გვაქვს თვალი, ყურები,
თუ რამე არ გეყურება.

ვინ იყო სოფელს შაბერდა,
არც თუ შენ დაგედგმურება,
შენც ჩაგიქრება სანთელი,
ეგ სისხლი გაგეწურება.

მატლების წილი გახდები,
ზედ მიწა დაგეხურება,
მხეცი და უგონო კაცი,
იეთიმს ის დაემდურება.

ხორველა შამხვდეს მირჩევნის
ვიდრე მე შენი ყურება.

1921 წ. 21 თებერვალი,
იბეჭდება პირველად

ხიდის კეთებას მეც ვიყავ

სალამი მუშათა კლუბსა,
ცხოვრების სარკეს სცენასა,
სალამი ამხანაგებსა
და დასწრებულსა ყველასა,
მუშა მგოსანი მიმიღეთ,
არვინ მოხვიდეთ წყენასა,
ოცდარვა წელი შესრულდა,
ხალხს უგალობებ ენასა.

სალამი საქართველოსა,
სადაც მირწიეს აკვანი,
რომელი ენაც მაცხოვრებს,
მისთვის მიცია თაყვანი.
წამება ბევრი მინახავს,
ტყვეობა, ციხე, საკანი,
მხოლოდ მე შემრჩა ორი რამ
კალამი — ღვინის სტაქანი.

ჩემი ცხოვრების აწერას,
სჭირდება ბევრი რვეული,
ნიკოლოზისა ხელშია,
სულ ვიყავ გამომწყვდეული,
მუშები მყავდნენ მფარველად,
როს ვიყავ გამოქცეული,
არ მოვკვდი, კიდეც მოვესწარ,
რწმენასა ვიყავ ჩვეული.
დღე გამითენდა დიდების,

ვეფე დავამხეთ წყეული,
ორთავ არწივის სამეფო,
ხო, ვნახე ჩამონგრეული,
მისი ფლაგები ხო, ვნახე,
სუყველგან ჩამოხეული,
სიხარულისგან დავდივარ,
ჭკვაზე შეშლილი, ეული.

მომაგონდება, თუ ვისმეს,
ჩემგან თუ რამე სწყენია,
დღესაც კი მტკივა წყლულები,
ვისაც რომ ჩემთვის კბენია,
მხოლოდ კი ჩემსა ენასა,
სწორე გზა ჩაუდენია,
რევოლუციის დარაჯად,
შვილები გაუფრენია.

მუზა თავში მყავს ყოველთვის,
არ მინდა სხვაგან მაგრება,
მე რაც მიყვარდა, ის მიყვარს,
ღღესაც კი მას ელოდება,
სირცხვილი შვილსა წითელსა,
იცოდეს ტირილ-გოდება.

ხიდის კეთებას მეც ვიყავ,
ბოლოს არ მიმიკარეთა,
წითელი ბაღის შვილი ვარ,
დავდივარ ღობის გარეთა.
შავი ბნელეთის შვილები

დღეს ჩამიქრობენ მწარეთა,
ტყვიას პირველს მე მივიღებ,
ჩემს გვამზედ გადიარეთა.

ჩემი პროგრამა ეს არის,
სწორედ დავიწყო პირათა,
არვის დავუთმობ, არც მივცემ,
რაც რომ დამიჯდა ძვირადა,
დედა შეერთოს იმ კაცსა,
ვიძახი დასაყვირადა,
მეოცე საუკუნეში,
ვინც რომ მაიქცეს ვირათა.

1922 წ.

იბეჭდება პირველად,
5961

მე განგებამ

მე განგებამ ერთი რწმენა, შემაყვარა მტკიცედ
გულში,
სანამ სული ამომხდება, მე ვარ იმის სამსახურში,
არ გავუცვლი, დამერწმუნეთ, ქვეყნის განძში,
ოქრო-ფულში,
ტყვიასავით გულს ვეცემი, მასზედ ცუდი მესმას
ყურში.
ქვეყნის მეფობა მე მომცენ, ვბატონობდე
ხმელეთ-ზღვაზე,
როგორც მინდა განვაგებდე პლანეტებსა მაღლა
ცაზე,
მე გულს ვერავინ შემიცვლის, რომ მომნათლონ
თავიანთ ჭკვაზე,
არ იფიქროთ, მომატყუონ, მომაშორონ ჩემსა
გზაზე.

ათასი წლისა სიცოცხლე, მომცენ, მართლა
დამიმტკიცონ,
რაც რომ გულით მოვინდომო, ამისრულონ,
ნამსვე მტკიცონ,
რაც ვინატრო საჭმელადა, მომიხარშონ და
შემიწონ,
მაინც გეტყვით არ იქნება, მე სხვა ხატზე
დამაფიცონ.

ანუ მიმცენ წამებასა, წყვილი თვალები
დამთხარონ,
სათითაოდა კბილები მე პირიდან ამომყარონ,
გახურებული შამფური შიგ ენაში გამიყარონ,
არა-მეთქი, კიდევ ვიტყვი მე სხვა რამე
შემაყვარონ.
აი, გითხრათ, ჩემი ღმერთი, მუშა-გლეხი მიწერია,
სამარისა კარამდინა წითელი დროშა მიჭერია,
სოციალიზმი სამოთხეა, მითქვამს და დამიჯერია,
წყეული იყოს იეთიმ-გურჯი, თუ ტყვილად
დამიწერია.

1920 წ.

იბეჭდება პირველად

მე კომუნას ვეკუთვნი

მე კომუნას ვეკუთვნი,
ძველი პროლეტარია,
ჩემი ბიოგრაფია,
რო აღვწერო მწარეა,

რევოლუციის გზაზედა,
მე ვარ ამაგდარია,
მთლად სიცოცხლე შავწირე
ლხინსა გავეყარია.

ჩვენი დროშა, წითელი,
ყველგან დამიფარია,
ძლივს მეღირსა, გაიღო,
ჩვენი ბედის კარია.

მე მოვესწარ ტანჯული,
ნახევარი მკვდარია,
ენა-პირი გამეხსნა,
სულით მეც მიხარია.

ვიცი, ჩემი ლექსებით,
ბევრსა გაუხარია,
ვინც რო რიგზედ ვერ მიცნობს,
იგი თავი ქარია.

ჩემ ოთახში რა უნდათ,
ვინც რო ჭკვასთან მწყრალია,

სად მწერალის მაგიდა,
სად ქანქაჩი ალია.

ბლიანჩიკსა უთხარი,
სჭედოს ვირის ნალია,
წერვაში ხელს მიშლიან,
გულმა შხამი დალია.

რა სურთ მილიციონერებს,
არ მაქვს მათი ვალია,
რატო არ სჯის კანონი,
კომისარის ბრალია.

24 აგვისტო, 1921 წ.
იბეჭდება პირველად

უნდა ვიყოთ ძმასავითა

ბატონებს რა თავში ვიხლით,
გვწოვოს წურბელასავითა,
ან რჯულები რას გვიქვიან,
არის მგელი თხასავითა.

ჩვენ სუყველა მიწის შვილნი,
უნდა ვიყოთ ძმასავითა,
ერთ მიწაზედ ერთად ვიყოთ,
იეთიმ-გურჯის თქმასავითა.

1921 წ. 22 თებერვალი,
იბეჭდება პირველად

ვინც რომ მიყვარს

ვინც რომ მიყვარს, იმას ვუმღერ,
აღარ ვწერავ ლექსებს სხვაზე,
რა დღიდანაც გავიცანი,
დავიკარგე სუმთლად ჭკვაზე.

ოდეს ვხედავ ენა მეკვრის,
მონასავით ვუმზერ თვალზე,
ოცნებისა ნავში ვზივარ,
სადღაც მიმაქანებს ზღვაზე.

ერთხელ აღარ მეკითხება,
სიტყვას სევდიანსა ხმაზე:
„ძლიერ წვალობ, მეგობარო,
ეგრე ვინ გწვამს ცეცხლის ალზე“.

ბრმაც რო ვიყო, თვალს ავახელ,
ავესობი მიკრულ ჯვარზე,
ბუნებამა, ვეტყვი, მომცა,
ამირჩია, შენსა გზაზე.

ჯალათს მიმე, მომჭრან თავი,
აღარ ვიყო ქვეყანაზე,
ნუთუ დღემდე ვერ გაიგე,
ოხვრა ჩემი სევდის ხმაზე.

ვფიცავ ქვეყნის გამჩენელსა,
სალოცავად მყავხარ ცაზე,

იცან სიყვარულის მონა,
ესე ნუ მსვამ ნარ-ეკალზე.

თვალი შენს გზაზე მიჭირავს,
იმის იქით მიწის კარზე.
მომკალ ანუ შემიბრალე,
ამასა ვწერ პირობაზე.

აკროსტიხია, იკითხება — „ვარდო მოსეს ძე
ბაბაჯანოვს იეთიმა“
იბეჭდება პირველად

დღემდინ ვერვინ გამოიცნო

მეც დამიდგა ჩივილის დრო,
თავი ბედსა ემდურება,
ვატანჯული დიდი ხნისა,
გულსა სევდა ეწუხება.

ჩემი წყლულისა ექიმი,
მე არსად არ მეგულება,
მოსამართლე მსაჯულს ვეძებ
ვის კანონი ეყურება.

მე წამალი ვერსად ვპოვე,
უპატრონოდ ასე ვწვალობ,
ლამის ყველამ დამივიწყეს,
მე სიცოცხლეს აღარ ვყვარობ.

უწალკოტო ბულბულივით,
ღობის გარეთ ვხეტიალობ,
დღემდინ ვერვინ გამოიცნო,
მე რა ნოტზედ რასა ვგალობ.

ჩემ ობოლი კალმის წვერით,
ხალხისათვის ძმობას ვთესი,
ბატონების მოსასპობად,
თანაც ჩემსა ლეკურს ვლესი.

ახალ ცხოვრების პროგრამის,
ვგონებ, ვიცი ყველა წესი,
დამფასებელ კაცს ვერ ვხედავ,
ეს მაწუხებს, ამას ვკვნესი.

ვის სახელსაც ვადიდებდი,
მაგიერად ისა მგმობენ,
ვისიც დარაჯი ვიყავი,
ისინი ჩემს მტერსა სძმობენ.

ვინც სახალხოდ გავაშავე,
რა თქმა უნდა რომა მტრობენ,
თავსაფარი საცა მქონდა,
ის მოყვრებიც აღარ მცნობენ.

ისინი დღეს მბატონობენ,
ვინც იმთავად უქმად ვლიან,
მე კი ძველსა მომუშავეს,
დღესაც გარე კაცად მთვლიან.

მაშ, ამ დროებას რა ვუთხრა,
ლომსა რომ მელაზე მცვლიან,
მე ამ დღესაც მოვესწარი,
ძმები რომ დავთარშიც მშლიან.

03141, 5991/6
იბეჭდება პირველად

რატო არავინ არ მშველით

ახლა ჩემ ბედსა ვემდური,
გადამეკიდა ჭირადა,
არ იქნა ჩემი შავი დღე,
ველარ ვაქციე ლხინადა.

გარიყულ ნავად ვტივტივებ,
ვერავის ვერგე წილათა,
ბნელსა სარდაფში ვაგდივარ,
ლექსთა საწერსა ბინათა.

გორის პოლკომიც არ მიშვებს,
ჩავიდე დასაძინათა,
მაინც ხელობას არ ვიშლი,
ის ვარ, რაც ვიყავ წინათა.

არ ვუღალატებ ჩემ გზასა,
რასაც შევწირე თავია,
სოციალიზმის გზას მივფრინავ,
იქით მიჭირავს ნავია.

ნიჩაბი ჩემი ენაა,
კალამი კიდევ კავია,
ჩემ მუზას იქით მივყავარ,
ვერაგზით შამიკავია.

არც ზემოთ ბინას მაძლევენ,
არც მაყენებენ ძირშია,
კონტრ-რევოლუცნერი არა ვარ,
აქა ვარ გასაკვირშია.

წითელ შვილებსა ვუმღერი,
სიზმარში ვწერავ, ძილშია,
რატო არავინ არ მშველით,
ენა ვისა გაქვთ პირშია.

იბეჭდება პირველად

სტალინს

სამასი წლისა არწივსა,
ორთავი გავაგდებინე,
ღმერთსაც მოვხადე გვირგვინი
მიწაზე დავადებინე.

ნაკოცნ-ნაფურთხი ჯვარები,
რეიკად გავადებინე,
ის მოკვდა, ეხლა ჩვენა ვართ,
ქვეყანას გავაგებინე.

ვინცა სთქვა: „ეგრე არ უნდა“
მას შხამი ჩავადებინე,
ვიფრინე, ვეულიტე ათასნი,
ძვლები ქვად დავაყრევინე.

ტურავ და მელავ, რას მიზამთ,
აქ რისთვის დარჩი, ირბინე,
— აქ შემომხედე თვალებში, —
ბევრ ბრმას ვერ გავაგებინე.
იეთიმ-გურჯმა რომ შემხედა,
კალამი დავაგდებინე.

იბეჭდება პირველად,
5966/6 ფურცელი 120

ვამიკონა

ერთი ჩიტი მამიფრინდა,
არ ვიცი, რათ მამიგონა,
იმ დღის სახელი დავარქვი,
უძახოდი მამიკონას.

ჩემთან ვალობა დაიწყო,
შევატყე რომ მამინონა,
ღმერთისავით ვდარაჯობდი,
არ წამსვლოდა მამიკონა.

სუფრის თავში ისა მყავდა,
როგორც მაზა, ვარდის კონა,
ჩემსა ხატად ვლოცულობდი,
არ გამიწყრეს მამიკონა.

ერთი კვირა მეჭიკჭიკა,
ტკბილად თავი მამაწონა,
სიყვარული გულს ჩამიგდო,
და გაფრინდა მამიკონა.

აღარა ვარ კაცი ჭკვაზედ,
იეთიმს გული დამილონა,
რათ მეჩვენე, რისთვის წახველ,
სირცხვილი შენ, მამიკონა.

1922 წელი, 13 ივლისი,
იბეჭდება პირველად

სიმღერა

რას მიყურობ, ყმაწვილო?
მოხუცობაც რამეა,
პარტიული ბრძანდები?
ამნესტია მამია.

იქნებ მღვდელი გგონივარ,
დღეა განა ღამეა,
იქნებ თავადს მამგზავსე,
ტყვია გულში დამია.

სამოცი წლის კაცი ვარ,
მწარეთ ვცვითე ჟამია,
ჩემი არა მქონია,
სხვისიც არ მიწამია.

რას აკეთებ მეც ვიცი,
გამიფრინდა სამია — (ხსოვნა, თვალები,
ჯანი ი.გ.)
უსწავლელი კაცი ვარ,
დღენი ჩემი წამია.

თქვენთვის არაფერი ვარ,
ვარ ზედმეტი ნამია — (ჭია, ი.გ.)
მხოლოდ ერთი რამ მახსოვს,
არ გეგონოთ ხამია.

დაბადების დღიდამა
შხამი შამიჭამია,
გაზრდილი ვარ ქუჩებში,
ლოგნად მიწა, ცა — მია.

დიდი გვყვანდა ხელმწიფე,
მგელსაც შაუჭამია,
ჭამა ჩემი სიცოცხლე,
მე დამისო „ამია“.

ციხეებში დამალპო,
ჰქონდა ოქროს სკამია,
იძახიან, მორჩაო,
მე არ ვიცი, ძამია.

ამქვეყნადა ერთი რამ,
მწამდა დროშა ზნამია,
მოესწარით, ძიაო,
პირი გამიღიაო.

ძველი ბოლშევიკი ვარ,
ღმერთი არ მიწამია,
დავავიწყდი სუყველას,
ნეტა მქონდეს ჭა — ღია (რო ჩავვარდე, ი.გ.)

1935 წელი,
იბეჭდება პირველად,
5966/6 ფურცელი 119

ღილის სალამს მოგილოცავ

ღილის სალამს მოგილოცავ
თუ არა გწყინს, მოგცემ ნებას,
თუ შენს სახეს ვერ ვიხილავ,
რაში ვიქ მე გათენებას.

მე უშენოდ , არც იქ შავალ,
ვინდ, მილონ სამოთხის კარიც,
ქმაც შენა ხარ, ამხანაგიც,
ქვეყნის შვილიც, მეგობარიც.

ღმერთად, ხატად, სალოცავად,
ამქვეყნადა შენა მწამხარ,
მომკლავ, დამწვამ, ეგ შენ იცი,
მე კი გეტყვი, რომ მიყვარხარ.

მკლავებს დამჭრი, თვალებს დამთხრი,
ამომგლიჯო პირში ენა,
რაც გსურს მიყავ, კარგად იყავ,
მხოლოდ იცოცხლევი შენა.

პირის ფარდა ამიხდია,
სწორედ ნახე ჩემი სახე,
შვიდი თვეა შენი ცეცხლი,
გულში ჩუმად შევინახე.

ვეფე იყავ, ტყვედ ჩამთვალე,
ეკმარა, კარი გამიღევი,
შვიდი თვეა ტყვედა გყევარ,
მანიფესტი მაიღევი.

მე რაში ვარ დამნაშავე,
სიყვარულის გამჩენს ჰკითხე,
მაგ თვალებში გენაცვალე,
მიხვდი, რიგზედ წაიკითხე.

1933 წელი,
იბეჭდება პირველად

სარჩევი

ნინასიტყვაობის მაგიერ 3
იეთიმ-გურჯი — იოსებ სტალინის მეგობარი 5
სტალინს 81
ლამაზებზე მეტად მიყვარს 82
მუშას უფრთხილდით 84
დავთმობ ქვეყნის დიდებასა 85
უქმად რას ზიხარ, ძმობილო 87
შენა გთხოვ შველას 89
მეგობარს ვერსად იპოვნით 90
გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო 91
ნეტავ ბოლო როდის უნდა მოელოს 92
რისთვის მინდა მე ეს მოძმე 93
ყველა მოკვდება, რაცა ჩანს 94
კაცი მეგონე 95
მათრახი 96
რასაც ვნატრობდი, მოვესწარ 97
ციხე საკნად აღარ არი 98
ვინ დამწყევლა 99
ჩემს ბედს 100
რაც დავწერე 101
თვალები გაქვს ცაზე ლურჯი 101
ცივ ზამთარი უსახლკაროდ 102
შუა წყალში გადამაგდე ნავიდან 103
შენი სიყვარული მშივა 104
ლამაზების პრეზიდენტო 105
ღმერთმა მწარე ბედი მომცა 106
იეთიმ-გურჯი შენ მოჰკალი 109
სატკივარი კაცს რომ დასძლევს 111
შენ წალკოტში გამატარე 112

სად არის შოთას საფლავი 113
აღარც ღმერთი მწამს... 114
პასუხი 115
რაც მომივა შენგან, ჩემზე ახია 116
არა, ვარდებს აღარ ვუმზერ..... 118
რად მინდოდა 119
რად მაღონებ..... 120
მეც დრო მქონდა 121
სინაგოგია..... 122
ჩემ სიმღერას ვინ გაიგებს..... 123
ედემისა ყვავილო 124
თავად ჩემი ბრალი არი 125
შეხვედრის დღეს..... 126
ათი წელი..... 128
ანას 129
შუა ცეცხლში ვარ, არ ვარ ჭკვაზედა..... 130
ოცი წელი..... 131
იეთიმ-გურჯი გილოცავთ 133
ჩემი ბაღი გადაშენდა 134
ჩემი სიმღერა..... 135
დამეკარგა მე კალამი..... 137
ჩემი ნაბადი..... 138
თქვენ გიმღერით, მეგობრებო!..... 139
მრწამს..... 140
ქართლის ქალაქ გორშია 141
მწარე სიმღერა..... 142
გასწი, გამშორდი 143
დარდიანად დამიწყია მღერა..... 144
ვირის ჩივილი 145
გლოვის სიმღერა 146
რასტი 147
ჩემი აზრი..... 148

ბულბულის გალობა მესმა 149
მიყვარხარ გლოცულობ!!! 150
გულში ვმღერი საიდუმლოდ 152
აღსრულდა 153
სცენაზედ 154
ერთი მიყვარს 155
შიმშილისგან მეძინება 156
გრცხვენოდეს 158
ამისთანა გამოცანა 159
ჯავრისაგან ავადა ვარ 160
პირველად სალამს მოგიძღვნი 161
შენც გნახავ 162
ხიდის კეთებას მეც ვიყავ 163
მე განგებამ 166
მე კომუნას ვეკუთვნი 168
უნდა ვიყოთ ძმასავითა 169
ვინც რომ მიყვარს 170
დღემდინ ვერვინ გამოიცნო 171
რატო არავინ არ მშველით 173
სტალინს 175
მამიკონა 176
სიმღერა 177
დილის სალამს მოგილოცავ 179

გამოყენებული ლიტერატურა:

იეთიმ-გურჯის ლექსები — თბილისი, 1913 წ.

იეთიმ-გურჯის ლექსები — თბილისი, 1979 წ.

იოსებ გრიშაშვილი — თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტომი III, თბილისი 1963 წ.

ნიკო ჩუბინაშვილი — ქართული ლექსიკონი, გვ.233, თბილისი 1961 წ.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიები, ტომი III, V, IX, თბილისი, 1979 წ. 1980 წ. 1985 წ.

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდები:
5998; 5992; 5991/1/2; 5989/1; 5989/1/6; 5989/7; 5976; 5975; 5971; 5970; 5969; 5966; 5994; 5986; 5987; 5988; 5995; 5993; 5990; 5989/8/9/10/11.

გ. ბერძენიშვილი — სტალინი, პერმანენტული გამარჯვებების ღმერთი. გორი, 2006 წ.